“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

# ლიტერატურული მესხეთი

№2 (254)
თებერვალი
2020 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეორე წელი "LITERATURULI MESKHETI"

# ერმილო ბერა

(რომელიღაც ლექსის ნაწყვეტი; ეხება ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენელს)

***

ხელში თოფით მოდარაჯეს ძალაც გვქონდა ერთობ დიდი,
კაცის სიკვდილს შევხაროდით, მით დავიდგით გზა და ხიდი,
საგინებელ, სალანძღავად არსით გვქონდა არვის რიდი,
ტყვიისათვის სულ ერთია, ბრძენი იყოს, თუ გინდ ფლიდი.
ხალხი ერთობ გავანათლეთ, უწოდეთ მათ პლორეტარი,
კერძო საკუთრების პატრონს, ვათქმევინეთ მყის უვარი,
მიუსიეთ ერთმანეთსა ცოტას მქონე და მდიდარი,
ცეცხლს და მახვილს მივენდევით, სვინდისს მივუშვირეთ ფარი.
გადვიყვანეთ ჩვენს მხარეზე ზოგი ძალით, ზოგი ნებით,
ხელთჩავიგდეთ ეს ქვეყანა, აზრზე ამცდარ ხალხის კრებით,
დავიპყარით არე მარე, თვით მპყრობელად შევიქენით,
ენა-პირი ვერ გამოთქვამს, უტაქტიკოდ რაც რომ ვქენით.
ნაცვლად ბაჟის და ხარკისა, დავაწესეთ წრისა ფული,
არ მოგვცემდა, რა გზა ჰქონდათ, უქრებოდათ შიშით სული,
ურჩისათვის გამოვჭედეთ ქალაქ-სოფლად ბორკილები,
ასის თავებს ჩავაბარეთ ჩვენ წინ მუხლ ქედ მოხრილები.
ხელთ ჩავიგდეთ რკინის გზები, ხაზინა და ნავთის მილი,
ყველგან ფეხი მოვიკიდეთ, ყველა იყო ჩვენი წილი,
სადაც იყო რკინის გზებში ვაგონები დატვირთული,
ჩვენს სიაში ჩავიწერეთ, ჩვენი იყო ღმერთი, რჯული.
მფლობელობა შევიტანეთ ხმელეთიდგან შუა ზღვაში,
სარგებლობა იქაც გვქონდა, ნეტარება ვპოვეთ მასში,
ქაღალდის ფულს არა ვკარით, ვეძიებდით ოქროს მეტად,
ბევრიც კი ვერ მოვიპოვეთ ჯიბეებში ჩასახვეტად.
ვაჭრებს ბედი ვაწყევლინეთ, მღვდლებსაც მიუსიეთ მრევლი,
გადავჩეხეთ მთა და ბარი, ტყე ვაქციეთ როგორც ველი,
თავადსა და აზნაურსა გაუჩინეთ ფილოქსერა,
ღმერთი, რჯული ვაწყევლინეთ,
წაუხდინეთ პირჯვრის წერა.
სადაც წამოვეწეოდით, მიდიოდნენ ცოცხლად ვერა,
ზოგი ძალით შევიპყარით, აუტეხეთ გულის ძგერა;
მუხუცები დავადუმეთ, ბალღებს ამოუბით ენა,
თოფხანჯალი ჩავაბარეთ, შეულახეთ ნიჭი, რწმენა,
სკოლის კარი დაუკეტეთ, იწყეს ქუჩა-ქუჩა მღერა.
მიდიოდნენ ქალაქ გარეთ, საქეიფოდ ყველა ვერა,
მიჰყვეს ყაჩაღობას ხელი, იკითხევით თუ არ გჯერა,
დაერივნენ პედაგოგებს, აუშალეს ზაფრის მღერა.
ბოლოს აღარც ეს ვიკმარეთ, ჩაგვივარდა
ხელში ფული,
აოხრებულ ქართველთათვის
ხარბინელთა შეწირული.
საით გაქრა, ვინ წაიღო, საკითხია ერთობ რთული,
და მე მართალს მოგახსენებთ, გინდ
მაფიცოთ ღმერთი, რჯული,
დამიჯერეთ, მას ჟამს შინა,
მართალს ჯობდა ყველგან ტყვილი.
და ესდევთა მრავალ გმირმა მას
შესწირა მსხვერპლად სული,
შეაყოლეს საზღვარ გარეთ, გაიჯერეს ამით გული.
ქართველთათვის შემოწირულს გაჰკრეს
მაგრა კლანჭი, კბილი,
მოიარეს საფრანგეთი, ავსტრალია, იტალია,
რაც დარბეულთ აქ დააკლეს, სადღეგრძელოთ იქ დალია.

ეხლა მესმის რომ ლაყბობენ, ვართ ყველანი მართალნიო,
მაგრამ სცდებით, ამხანაკნო, სიყალბით ხართ დამთვრალნიო.
ტყვილის თქმისთვის არ ვწითლდებით, შუბლზე გვაკრავს რკინის რვალი,
ესრეთია ესდევთ რწმენა, ესრეთია ესდევთ გვარი.
ერთად ურევთ ტყვილს და მართალს, ესრეთი გვაქვს იდეალი,
და ჩვენ ყველას თვითოეულსა სჯულად გვაძევს ესე ვალი.
არ დავზოგეთ ქვეყანაზე ჩვენი ქვეყნის მოღვაწენი,
და იმდენი ჩვენ ვიცოცხლოთ, რამდენს დაუბნელეთ დღენი.
ხელთ გვიპყრია ათ მცნებათა ყველა ჩვენგანს კაპიტალი,
და მის ძალით აღარ ვარჩევთ, ვინ მტყვანია, ვინ მართალი.
და ჩვენც მისთა მიმდევრებთა ხანჯალს გავიკარით ხელი,
რა თქმა უნდა, გვიხაროდა, დრო რომ გვედგა სანატრელი.
ამ ნაირად გავათრიეთ სანატრელო, ორი წელი,
მაგრამ ბოლოს უკუღმართათ ჟამი დადგა ერთობ ცხელი.
დაგვიარსდა სადღაც დუმა, გავაგზავნეთ დეპუტატი,
ისიდორე, ივანიკა და ბიკენტი ჭიჭი ფრანტი,
ნოეც იქა ბრძანდებოდა და სერგია ადვოკატი,
აქ რომ ენას აბრტყელებდნენ, იქ გამოდგა ყველა ბატი.
მეორეჯერ ბედი ვსცადეთ, ავირჩიეთ დელიყანლი,
მაგრამ სამწუხაროდ ჩემდა, შეაგლიჯეს გულზე ბანტი.
მესამეჯერ ბედი ვცადეთ, გადავჰკიდეთ მარქსის ხატი,
თურმე ტყვილა არა თქმულა – აღმართს ხნავსო მეტი ძალა,
რაც რომ გვსურდა კულაკისტებს, ვმალეთ და არ დაიმალა.

***1913 წ. მაისს, სტამბოლი.***

*ტექსტი დაცულია სტამბოლის ქართველთა სავანის არქივში.*

***შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე, თამილა ლომთათიძე, ელზა ფუტკარაძე, ნაილა ჩელებაძე, შორენა ფუტკარაძე***

***– „სტამბოლის ქართული სავანიდან“,***
*გვ.* 987-8



## მაია დიაკონიძე

# მანანა

ლამაზი ქალი იყო მანანა, დიდი მწვანე ვარსკვლავებივით მოციმციმე თვალებითა და ჩამოქნილი ტან-ფეხით, ღიმილიც საოცარი ჰქონდა, სიცილიც, გადამდები და ხალისიანი. ახალგაზრდობაში, არც ახლაა ბებერი, სოფლის თვალი იყო, სოფლის საუკეთესო ყმაწვილსაც გააყოლეს ცოლად, გამგეობაში მხატვრად მუშაობდა, სამხატვრო სასწავლებელი, მაშინ ნიკოლაძეს რომ ეძახდნენ, ის ჰქონდა დამთავრებული. აბა, კომუნისტების დროს გამგეობაში მხატვარს რა საქმე უნდა ჰქონოდა, ხანდახან თუ დაავალებდნენ რაიმეს ღონისძიებებისთვის, ისიც, ძირითადად, თბილისიდან რომ უნდა ჩამოსულიყვნენ სტუმრები, უფრო იმათ დასანახავად, ერთ-ორ სიტყვას დააწერინებდნენ პლაკატზე: „გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!“, „დიდება ლენინს!“ ანდა „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდითო!“, ისე, მგონი, არც ისე ცუდი იყო ეს ბოლო ლოზუნგი, პროფკავშირები მაინც მოქმედებდნენ მშრომელი ხალხის დამცველად და საკეთილდღეოდ, ასე თუ ისე, ახლა ხომ აღარც პროფკავშირი უქნია ღმერთს და აღარც მშრომელებს იცავს ვინმე, შრომის კოდექსიც კი ფარატინა ქაღალდად უქცევიათ, არა და, იმხელა წიგნი იყო, იმ ავადსახსენებელი კომუნისტების დროს, ხელში ვერ აიღებდი, აი, ეგ იყო სულ მაშინ სოფლის *გამგეობაში* მხატვრის საქმე. ამიტომაც, სამღებრო სამუშაოებს უფრო ხშირად ასრულებდა უფროსების სახლებში, — მეტი გემოვნება გაქვს და ფერების დაწყობაც უფრო გეხერხებაო. ფულსაც გვარიანად უწერდნენ ხოლმე, კომუნისტებმა ფულის დანანება არ იცოდნენ, მშრომელ კაცს აფასებდნენ, თუ კი მათ სამსახურში იდგა! შესაბამისად, ანაზღაურებაც კარგი ჰქონდა, ოჯახიც კმაყოფილი ჰყავდა და თვითონაც არ იყო უკმაყოფილო, თუმცა, ხანდახან, ნაღვლის ჭია შეუძვრებოდა ხოლმე, ხატვა მოენატრებოდა, მაშინ გადმოიღებდა ზეთის საღებავებს, სტუდენტობის დროიდან შემორჩენილს, და ხატავდა თავისი სოფლის სანახებს, მდინარეს, რომელზეც გაიზარდა, ალვებს, გზის პირზე ჩამწკრივებულთ, საქართველოს გასაბჭოების მერე რომ ჩაერგოთ, — ქარსაცავი ზოლიაო. მთების, ტყეების, ხეხილის ბაღების, განსაკუთრებით ვაშლის ხის ხატვა უყვარდა, მასთან ერთად რომ გაიზარდა და მისი წლოვანების იყო, წითელ ვაშლებს ისხამდა. ხანდახან დასვამდა ხოლმე მანანას ხის ქვეშ, ეტყოდა, ევა ხარო და ხატავდა. მის ნახატებზე ვაშლები სისხლის წვეთებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ვაშლებს, — რატომ ხატავ ესეო, შეეკითხებოდა ცოლი, რომელსაც არაფერი გაეგებოდა მხატვრობაში. — არ ვიცი, ასე ვხედავო, — უპასუხებდა.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარს სამი შვილი ეყოლათ, — გოგონა და ორი ვაჟი, ხარობდნენ, ახალი სახლის აშენებას აპირებდნენ, ძველში ვეღარ ვეტევითო. გაჭირვება შემოვიდა ქვეყანაში, მათ სოფელშიც, ოჯახშიც, სამუშაოც დაკარგა, მეურნეობას მიჰყო ხელი, მანანაც მხარში ამოუდგა, მასთან ერთად მუშაობდა, გაერუჯა სახე, ხელები, გახდა, მძიმე შრომა ჰქონდათ, შემოსავალი — ცოტა, ყველაფერი კაპიკებში იყიდებოდა იმ ბედუკუღმართ დროში. აბეჩავებს გაჭირვება ქალსაც და კაცსაც, ვერც ერთს ვეღარ იცნობდი... სადღა იყო პირმცინარი მანანა, ხელები დაეშაშრა, გაუშავდა... ქმარსაც გაუფუჭდა ნერვები, სმას მიჰყო ხელი, დღე არ გავიდოდა, ერთი კარგად არ გამობრუჟულიყო სოფლის სხვა კაცებთან ერთად. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, პოლიტიკური თუ ეკონომიკური, ტელევიზორიდან რომ ესმოდათ, ისიც დენი რომ მოვიდოდა მაშინ და გაანათებდა მათ ღარიბულ, ქონებისგან დაცლილ სახლებს, ყველაფერს ხომ ნელ-ნელა ყიდდნენ, ანტიკვარიაო და კარგ ფასებში იყიდებოდა, კიდევ უფრო უმწარებდა სულს მამაკაცებს, დაანთებდნენ ცეცხლს, ააშიშხინებდნენ მწვადებს, რომელიმე მეზობელი საქონელს ან ღორს თუ დაკლავდა და არჩევდნენ ქვეყნის ავან-ჩავანს, ხშირად მთვრალები ერთმანეთს დაერეოდნენ კიდეც პოლიტიკოსებისადმი თავიანთი სიმპათიების გამო. სულ უფრო ხშირად იკვლებოდა საქონელი, რჩენის თავი აღარავის ჰქონდა, საძოვრებიც აღარ იყო, ყველამ დაინაწილა და მიისაკუთრა კოლმეურნეობის მიწები, მაგრამ დამუშავების თავი არავის ჰქონდა, თითო-ოროლაღა შემორჩენილიყო ტრაქტორი, კომბაინი, იმათზეც რიგში იდგნენ, ზოგს რიგი არც უწევდა და მოსავალი უფუჭდებოდა. ბევრი მანქანა თურქეთში ჯართში ჩააბარეს, ვინ, ისიც არ იცოდნენ, შემოაწყვეს ერთ დღესაც უზარმაზარ ტრაილერებზე და წაიღეს, ამბობდნენ, ამ საქმით ბევრი კაცი გამდიდრდაო, უზარმაზარი სახლები წამოჭიმეს ზღვისპირეთში, აბა, აქაურ ხალხს ხომ არ დაანახებდნენ თავიანთ ქონებას. სახლში მისული გადარეული და აღგზნებული თამაზი ცოლს დაუწყებდა ძებნას, ისიც სულ უფრო ხშირად არ ხვდებოდა სახლში, მეზობლის ქალებთან ლაპარაკს აყოლებდა გულს, იკრიბებოდნენ იმასთან, ვისაც ე. წ. „დვიჟოკი“ ჰქონდა, დაეწყობოდნენ ქალები ბავშვებით, ვისაც სახლში დამტოვებელი არ ჰყავდა, და უბავშვებოდ, ვისაც დამტოვებელი ჰყავდა, მიემართებოდნენ წყება-წყებად, გუნდ-გუნდად, სერიალებს უყურებდნენ, მექსიკურს, მონა იზაურას ამბავს ჩიოდნენ, იმას გულშემატკივრობდნენ, თვითონაც, ლამისაა მონურ ბედში მყოფნი. მაშინ ეგ მექსიკურები იყო მოდაში, მერე — ბრაზილიურები შემოვიდა, იმის მერე — თურქულები, ინდურებსაც ხშირად აჩვენებდნენ, მგონი, ეს რომ არა, ვერც გადაიტანდა ხალხი იმ დიდ გაჭირვებას, გაგიჟდებოდა კაცი, მაშინვე დატოვებდა ყველა ქალი საქართველოს, მაგრამ იმ დროს ქვეყნიდან წასვლის გზები ჯერ კიდევ არ იცოდნენ, იზაურაზე კარგად ხომ ვცხოვრობთო, თავს იმშვიდებდნენ, სერიალის ბოლოს მდიდარმა კაცმა რომ წაიყვანა ცოლად, მთლად გაიხარეს, რა იცი, ჩვენც ბედნიერება გვეწვიოსო, მშვიდად ელოდნენ ცხოვრების გამოკეთებას, სანამ ყველა იმედი არ გაუცრუვდათ და ახალი ცხოვრების ძიება თვითონვე არ დაიწყეს. მანანაც, ბავშვებს დედამთილს დაუტოვებდა და შეუერთდებოდა ცხოვრებისგან დაჩაგრულ სხვა ქალებს, პომადის და სახის საცხის ყიდვას ვინ ჩიოდა, კაბა და საცვალიც რომ ვერ ეყიდათ...

შესჩივლებდა დედა შვილს, — ორ საათზე მეტია, წასულია შენი ცოლი და არ გამოჩენილაო, არ სიამოვნებდა დედის წუწუნი თამაზს, გადასძახებდა მანანას, სახლში მოდიო, მერე სახლში მოსულს, დედის გასაგონად ერთ-ორ უხეშ სიტყვას ეტყოდა, ლოგინში კი ბოდიშებს უხდიდა, დედის გამო გითხარი საყვედურიო, მიეჩვია ნელ-ნელა ქალი ქმრის უხეშ ლაპარაკს, გინებასა და ჩხუბსაც, რომელიც სულ უფრო ხშირად გაისმოდა მათი სახლიდან. სულ უფრო შეწუხებული დაიარებოდა ქალი სოფლის ორღობეებში, საქონლის დევნაში დაღლილი. ქმარი, ნაბახუსევი, დილით ვეღარ დგებოდა ადრიანად და სამწყემსურში საქონლის წაყვანა მანანას უწევდა, ბოსტანსაც ის უვლიდა, სათოხარშიც დადიოდა, ეცოდებოდათ მეზობლებს, ერთმა თბილისში მერძევედ სიარული შესთავაზა, ერთ-ორ კაპიკს იშოვი, ოჯახში მეტს შეიტან, ეგრე მუშაობით წელში გაწყდებიო. თვითონვე წაიყვანა, თავისი მუშტარი გააცნო, ერთი კვირა შენ იარე, მეორე კვირას მე ვივლიო. ერთი კლიენტი განსაკუთრებით მოეწონა მანანას, მასზე ცოტა უფროსი ქალბატონი, სახლში შეიპატიჟებდა, ყავას დაალევინებდა, მანანამ ყავაზე მარჩიელობა იცოდა და მასპინძელისთვის რომ ესიამოვნებინა, ჭიქაში ჩაიხედავდა. ქალს გააოცებდა თავისი ნიჭით, ნიჭი კი მართლა ჰქონდა, ბევრს უთქვამს, შენი ნამკითხავები სიტყვა-სიტყვით გვიხდებაო. ქალბატონი დოდო თვითონაც სამი შვილის დედა იყო და ბავშვები განსაკუთრებით უყვარდა, მანანას შვილებსაც სიხარულით ღებულობდა სახლში, ზოგჯერ მანანა ქალაქში იმათაც წამოიყოლებდა ხოლმე, როცა რამე ჰქონდათ საყიდელი სკოლისთვის, რაიონშიც შეეძლო ეყიდა, მაგრამ დედაქალაქში არჩევანი მეტი იყო. ბევრი კეთილი ადამიანიც გაიცნო ქალაქში, ბავშვებს ტანსაცმელს, ფეხსაცმელს ჩუქნიდნენ, მართალია, ყველა ახალი არ იყო, მაგრამ სოფელში გამოდგებოდა, თავიდან ორ კვირაში ერთხელ დადიოდა ქალაქში, რძე და მაწონი მიჰქონდა თავისი ძროხებისა, მერე კვირაში ერთხელ დაიწყო სიარული, სოფელში მეზობლებისგან ხან ყველს იყიდდა, ხან — კომშს, შინდს, ქაცვს. ყველაზე საყვარელ თავის კლიენტს, ქალბატონ დოდოს, პატარ-პატარა გოგრებს წამოუღებდა ხოლმე საჩუქრად, მადლიერი იყო მისი, სახლში რომ შეიყვანდა, დაასვენებდა, რაშიც შეეძლო, სხვა საქმეებშიც, ეხმარებოდა. ერთხელ მანანასებმა მოზვერის დაკვლა გადაწყვიტეს და რეალიზაციაში დახმარება ქალბატონ დოდოს სთხოვა, იმანაც უარი არ უთხრა, — კორპუსის წინ ეზოში მოიტანეთ და ყველა გამვლელ-გამომვლელი იყიდისო. საცხოვრებელი სახლის წინ ერთი სკამი იდგა, საღამოობით მოხუცები ჩამოსხდებოდნენ ხოლმე, ხან — ქალები, ხან — კაცები, ვინც დაასწრებდა, იტყოდნენ ამ მთისას და იმ ბარისას, კაცებს პოლიტიკაზე უყვარდათ საუბარი, ქალებს — სხვებზე ჭორაობა. სწორედ იმ სკამზე გაშალეს ხორცი დილაუთენია, მანანას ქმარმა მეზობლის მანქანით ჩამოიტანა, დაიტაცეს მეზობლებმა, ოჯახისააო, ის მაინც ვიცით, სოფელში გაზრდილი საქონელია, თორემ რას ვყიდულობთ, რასა ვჭამთ, კაცმა არ იცისო, ისიც დაუბარეს კაცს, სხვა დროსაც ჩამოიტანე, ვიყიდითო. თამაზი ყველას მოეწონა, ზრდილობიანი კაცი ჩანდა, დიდი ნათელი თვალებით. ქალბატონმა დოდომ ყველაზე დიდი ხორცის ნაჭერი აიღო, დიდი ოჯახი მაქვს, დავჭრი, მაცივარში შევაგდებო, მართალია, დენი ქალაქშიც ჭირდა და ხორცის გაფუჭების პერსპექტივაც დიდი იყო, მაგრამ მანანას ხათრი ვერ გაუტეხა, რომ შესძლებოდა, მეტსაც აიღებდა, ოღონდ დახმარებოდა მის ოჯახს, მართალია, ძვლები ცუდად იყო დაჩეხილი, წვრილად დაქუცმაცებულ-დაფშვნილი, ამასაც ცოდნა სჭირდება, — ყასაბის პროფესია ტყუილად როდი არსებობსო, გაიფიქრა. მერძევეს სთხოვა, თუ გაქვს სახლში თამაზის ნახატები, ჩამომიტანე, შევხედავ, იქნებ ვიყიდო კიდეცო. ერთი ჩამოუტანა, მოეწონა, ვაშლის ხესთან ბავშვით ხელში მჯდარი მანანა ეხატა, საოცარი ნახატი იყო, იყიდა. დანარჩენებს კარადაში ინახავს, ჩაკეტილი აქვს, არ მაძლევსო, უთხრა ქალმა.

სულ უფრო იშვიათად ჩნდებოდა მანანა ქალაქში, მეორე მერძევემ ლოდინით დაღლილ კლიენტებს ამცნო — დედამთილი ჰყავს ავად, თავზე დგომა სჭირდება, წამლებში იმდენი ფული მისდით, ვალებით აივსნენო. მოკვდა დედამთილი, ვერ უშველეს, ქელეხიც გადაიხადეს, პატივით დაასაფლავეს. ვალების გამო, თურმე, სახლიც გაყიდეს და ის ხეხილიანი ბაღიც, სადაც თამაზის საყვარელი ვაშლის ხე იდგა. მანანას დედასთან გადავიდნენ საცხოვრებლად. თანაც, როგორც გახმაურდა, სულ 200 დოლარად გაეყიდათ ხეხილის ბაღი, სხვა გზა რომ არ ჰქონდათ, მევალე აღრჩობდათო, ეწყინა ეს ამბავი ქალბატონ დოდოს, სხვა ქალაქელებსაც.

როგორც იქნა, გამოჩნდა ქალაქში მერძევე მანანა, ცოლ-ქმარს ახალი სახლის ყიდვა დაესახა მიზნად, უჭირდა თამაზს სიდედრთან ცხოვრება, ვერ იყო თავის გემოზე. თურქეთში წასვლა გადაეწყვიტა სამუშაოდ სხვა ქართველებთან ერთად, თამბაქოს პლანტაციაში უნდა ემუშავათ, წავიდა კიდეც. რამდენიმე კაცი ცხოვრობს თურმე ერთ ოთახში, ასე ნაკლები ეხარჯებათო, — ყვებოდა კლიენტებთან ქმრის ამბებს მანანა. ზოგმა კაცმა დახმარებაც შესთავაზა, უკაცოდ ხარ დარჩენილი, იქნებ, რაიმეს გაკეთება შეგვიძლია შენთვისო, სახლშიც შეიპატიჟეს, შემოდი, გათბი, ყინვაა გარეთ, ხელები გაგთოშვიაო, მაგრამ მანანა ყოველთვის უარობდა, მხოლოდ ქალბატონ დოდოს სტუმრობდა, რომელიც აფრთხილებდა: ხომ იცი, ეშმაკს არა სძინავს, რა იცი, რამე ცუდი არ მოუვიდეთ აზრად, ლამაზი ქალი ხარო, იცინის მანანა, აჩენს თავის ლამაზ კბილებს. ცოტა წელში გაიმართა ქალი, რაც ქმარი სამუშაოდ წავიდა, მეტი რძე, მაწონი, ყველი ჩამოაქვს გასაყიდად, მეზობლებისგან ყიდულობს, ამასობაში ბავშვებიც წამოიზარდნენ, უფროსი ქალიშვილი, თვალსა და ხელ შუა, ლამაზ ყვავილად იქცა, მორცხვია და ყველაფერზე წითლდება დედამისივით, სკოლაც დაამთავრა, სანამ მანანა გაარკვევდა, რა გზაზე დაეყენებინა, უნდოდა საექთნოზე ჩაებარებინა, უცებ გაიპარა, გათხოვდა. ქმარს დაურეკა მანანამ სასწრაფოდ, ახალი ამბავი გააგებინა, ფული გამომიგზავნეო, სთხოვა. მესამე დღეს თურქეთიდან დაურეკეს, შენი ქმარი ყელგამოჭრილი იპოვეს ოთახშიო, გაშრა, გამიტკლდა. თურმე რამდენიმე თვის წინ ამხანაგისთვის, იქ მომუშავე ქართველისთვის, ფული ესესხებინა, 400 ევრო, ახლა მოეთხოვა, შვილი გამითხოვდა, მჭირდება, მომეციო, ღამით თამაზისთვის ყელი გამოეჭრა იმ უბედურს, ბნელი წარსულის კაცი იყო, თურქებიც კი გაოცებულან, რა ხალხი ხართ, ქართველები, ერთმანეთს არ ინდობთო. ტირის მანანა, ცრემლები ჩამოსდის ლამაზი თვალებიდან, საკინძეზე ეწვეთება, ამშვიდებს ქალბატონი დოდო, თამაზის სურათები გაყიდე, რამდენიმე მაინც, მშრალ ხიდზე იბარებენ ნახატებს, რაღაცა ფულს იშოვი, კარგი სურათებია, იქნებ, მკვდარი მაინც ჩამოასვენოო. კიდევ კარგი, უბედურ ქალს სახელმწიფო დაეხმარა მეუღლის ჩამოსვენებაში, სურათები კი მაინც გაიტანა გასაყიდად, შვილებისთვის ფული სჭირდება, გოგო ხომ უნდა გაამზითვოს, ბიჭებიც გამოაწყოს სკოლისთვის, მამა აღარ ჰყავთ, ობლებად დარჩნენ. დაუტოვა მანანამ მშრალ ხიდზე ერთ გამყიდველს თამაზის სურათები, ცუდად თუ კარგად, მაინც იყიდება, ორ-სამ თვეში — ერთი, იქიდანაც მეხმარებაო, უხარია მანანას. ამოვიდა ყველა, შვილებსაც დაუტოვეო, ეუბნება ქალბატონი დოდო, მაგრამ არ ესმის, ფული სჭირდება, ერთი სურათიღა დარჩა სახლში, შიშველი ქალი ზის ვაშლის ხესთან, „ევა“ აწერია, ძალიან ლამაზია, უნდა ესეც წაიღოს გასაყიდად, მაგრამ რცხვენია, შიშველი ქალი რომ არის ზედ დახატული, სხვანაირად არ გაიგონო, ბოლოს თავს მაინც სძლია და მშრალ ხიდზე წავიდა თავის ნაცნობ გამყიდველთან, უცებ შემოეხვია ხალხი სურათს, უყურებენ, ტკბებიან ქალის სილამაზით, იქვე შორიახლოს მამაკაცი დგას, მორიდებით, ისიც სურათს შესცქერის, იცინის გამყიდველი, შემთხვევით შენ ხომ არ დაგხატაო შენმა ქმარმა, სხვა კაცებიც იღიმებიან, ხელიდან გამოგლიჯა სურათი ქალმა, შავი თავსაფარი გაისწორა, ილლიაში სურათამოჩრილი გაიქცა, არ უნდა წამომეღო ეს სურათი, ღმერთმა დამსაჯაო, ტირის, ხომ მეუბნებოდა ქალბატონი დოდო, შვილებს თითო-თითო მაინც დაუტოვეო, აი, რა მომივიდა, ბუტბუტებს თავისთვის, მტკვრის სანაპიროზე შეჩერდა, მოაჯირს დაეყრდნო, გადავაგდებო და... სურათი მოიქნია, მოულოდნელად ვიღაცამ გააჩერა, ის კაცი აღმოჩნდა, მორიდებით რომ იდგა განზე მშრალ ხიდზე, სურათი ხელიდან ფრთხილად გამოართვა, უხმოდ ანიშნა, გამომყევი, მე ვიყიდიო სურათს, რუსთაველზე ავიდნენ, სასტუმროს ფოიეში დასვა კაცმა სურათით ხელში, თვითონ სადღაც გაქრა, ცოტა ხანში გამოჩნდა, 1000 დოლარი გადაუთვალა მანანას, ხვალაც მოდი, 5 საათზეო, ისევ ხელით ანიშნა, კიდევ დაგიმატებო. კაცი უცხოელი აღმოჩნდა, ერთმანეთის ენა არ ესმოდათ, მაგრამ თვალები ხომ ყველაფრის მთქმელია, ზოგჯერ მეტსაც გამოხატავს, ვიდრე სიტყვები. მომდევნო დღეს რუსთაველზეც გაისეირნეს, კაფეშიც დაპატიჟა უცნობმა, რატომღაც მანანას არ ეშინოდა მისი, ეს ხომ არაფერს იტყვის ჩემზე, არ იჭორავებსო, ახსენდებოდა, რას არ თხზავდნენ მასზე, ქმარი რომ იყო წასული უცხოეთში, თბილისში ვიღაც კაცთან დავინახეთ, მანქანაში უჯდებოდაო, ან ქალიშვილი გაათხოვა და თვითონაც გათხოვებას აპირებს, საქმროს არჩევს, ხან ვისთან ერთად ვხედავთ, ხან ვისთან, ქმარი კი გაისტუმრა საიქიოსო. ფრიდრიხი გერმანელი აღმოჩნდა, სამეცნიერო მასალების მოსაძიებლად იყო საქართველოში ჩამოსული, თვითონაც ვერ მიხვდა მანანა, ისე დაახლოვდნენ, დამეგობრდნენ, სიმპათიებით აივსნენ ერთმანეთის მიმართ. ეს რა ბედნიერება გამოჩნდა ჩემს გზაზეო, ფიქრობდა ქალი. შვილი კარგად გაამზითვა, არავისი სალაპარაკო არ გახადა, მამამისის ხელით შექმნილი ნახატი გავყიდე და ის მივეციო, ბედნიერი იქნებაო თამაზიც საიქიოში.

ფრიდრიხს სახლში დაბრუნების დრო დაუდგა, მანანას ხელი სთხოვა, დაქორწინდნენ, უჩუმრად, პატარა სუფრაც გააკეთა კაცმა, მარტო ყველაზე ახლობლები ისხდნენ მაგიდის გარშემო. მერე მზადება წასასვლელად... ვინ იცის, რა შიში და უბედურება უნდა გადაიტანოს ადამიანმა, რომ თავის ქვეყანას მოშორდეს, მარტო სიყვარული არის კი საკმარისი?! სამშობლოს სიყვარულზე ძლიერი გრძნობა ხომ არ არსებობს, რამ უნდა მოგწყვიტოს შენს ფესვებს? ფიქრობდა მანანა. მგზავრობა სხვა ქვეყანაში, ემოციები, შეხვედრა სხვა ადამიანებთან, ადვილი როდია! ფრიდრიხმა ქალი ვაჟებთან ერთად წაიყვანა… თანასოფლელები მის ბედს შეჰნატროდნენ, მაგრამ ის კი იყო ბედნიერი?! სამშობლო ენატრებოდა, ქალიშვილს, მალე შვილი ეყოლება. მართალია, ფრიდრიხი სულ თავზე ევლება და ეფოფინება, შენ დაგხატაო შენმა ქმარმა, ეუბნება. სრულყოფილია ევა, ქართველი ქალის სახით, ვეღარ იგებს, ქმარს ის უფრო უყვარს თუ სურათი.

... ილვიძებს, საქართველოშია, ჩიტების ჭიკჭიკი ესმის ბაღიდან, დედა ქათმებს ეძახის: „წია,წია, წია...“ ბედნიერებისგან ლოგინში სწორდება, იზმორება, ხელს გადაიქნევს, გვერდზე ცარიელია ლოგინი, ფრიდრიხი ახსენდება... ნეტა, რას იტყვის, სახლში რომ აღარ დავხვდებით მე და ბავშვებიო... ნერვიულობით საბნის პირს წიწკნის, დგება, ხალათშემოცმული, ფეხშიშველი გადის ეზოში და ტერფებით ბალახებს ეფერება, მომრავლებულა, დედა ვეღარ ერევა, თოხი გამოაქვს საბძელიდან, მიწას ჩიჩქნის, არაფერი ესმის, ისეა დაკავებული თავისი საქმით, უმცროსი ბიჭი ტელეფონს მოარბენინებს, — ფრიდრიხია, — ეუბნება და ტელეფონს ხელში აწვდის. არ უნდა, უპასუხოს, მაგრამ პატარა მუდარით შესცქერის და ძალით უდებს ტელეფონს ხელში, მერე გარბის. ნაცნობი ხმა ჩაესმის ყურში, — ხვალ მოვფრინავ, ჩემო ევა, ჩემო განუმეორებელო ... გგონია, მიგატოვებ?! არასოდეს.... არასოდეს... - უხარია მანანას, მეზობელთან გადადის, ვინც თამაზის ბაღი იყიდა, მიდის და ვაშლის ხეს კოცნის, რომელიც მეუღლის სახელზე დარგეს მისი დაბადებისას, ალბათ, ორმოციოდე წლის წინ, არ გამხმარა, ვაშლებიც ბლომად დაუსხამს, იქვე ნორჩი ნერგებიც ამოწვერილა, — ერთი მომეცი, ახლადშეძენილი შვილიშვილის სახელზე უნდა დავრგო, იმისთვისაც თამაზი დაურქმევიათო, — ეუბნება მეზობელს და იცინის, ვარდ-ყვავილი იშლება მის ლამაზ სახეზე, საქართველოს მინდვრებივით ლამაზი.



ნახ. ავტორისა

# მიხეილ გელაძე

## ლადო ასათიანს

სადაც ყაყაჩო შემხვდება –
შენ მახსენდები, **ლადო**,
შენი „ბებერი კრწანისით“
დაღვრილად ცრემლ-სისხ**ლადო**.
„დაუკარ“ სამშობლოსათვის,
აენთე მწველ ცეცხ**ლადო**,
ჩამოუფრინე „ბარდნალას“
გაზაფხულის მერცხ**ლადო**.
„ქართული ლექსის რაინდო“,
მოგვედ ტანს ტკივი**ლადო**,
თბილისს, ფიროსმანს უმღერე
რა თბილად, რა ტკბი**ლადო**,
შენი ლექსები ჩაგვესმის არწივის
ყივი**ლადო**,
გულებს მალამოდ დაედე, სატრფოს –
სიყვარუ**ლადო**.
„ოქროყანელო ჭაბუკო,“ გაგვეცან
ადვი**ლადო**,
შენ ავლაბარი გვიქციე საყვარელ
ადგი**ლადო**,
თბილისი მოახატვინე ნიკალას
ზღაპრუ**ლადო**,
რუსთველზე ჩამოატარე ანიკო
დედოფ**ლადო**.
გავაზის მართვე „მოქნიე“ სამას
არაგვე**ლადო**,
ორბელის ციხეს დაუდექ დარაჯად
და მცვე**ლადო**.
ლაჯანურიდან მომართე ქნარი
გულის მწვე**ლადო**,
მეტეხის ციხეს შემოდექ
ღირსეულ ქართვე**ლადო**.
არ გაგვიცივდე, ჩაგისვით
დიდუბეს „ცხელ გუ**ლადო**“,
გისმინეთ საქართველოსთვის
– ერთ მუშტად, ერთგუ**ლადო**!
ერთხმად დავჭექეთ „მარაბდა“ –
დავუხვდით მტერს მტრუ**ლადო**,
მით „ქართვლის დედა“ არ ითვლის
„ცხრა ძეს“ დაკარგუ**ლადო**.
როგორ უყვარხარ ქართველებს,
ნეტავ თუ იცი, **ლადო**,
„თამარ დედოფლის დარბაზმა“
ჩაგიკრა გულს შვი**ლადო**,
ვის ჩაუთვლია არწივი ქათმად ან
წიწი**ლადო**,
შენი ლექსების სურნელი მინდა
მეც ვიწი**ლადო**.
ჭრილობად შეგვრჩა ქართველებს,
დრო-ჟამ შეწყვეტი**ლადო**,
გვიჭირს ვუმზერდეთ მანანას
თვალცრემლდაწრეტი**ლადო**,
გულს აბნევიხარ ათასებს
ყაყაჩოდ, ყვავი**ლადო**,
ქართველს ეგულვი მარადჟამს
ზეცად აყვანი**ლადო**.

## გუდამაყარი

***(ამ ხეობის მოსახლეობისაგან დაცლა გულში დარდად ჩამრჩა, რამდენი სოფელი გაუკაცრიელებულა, ზოგში თითო კომლიღა სახლობს. გუდამაყრის სკოლაში 11 ბავშვი სწავლობს, რამდენიმე კლასი ცარიელია. როგორ არ მინდა მთის დაცლა. ღმერთო, „მთას დაუბრუნე მთიელი„არსად და არასდროს მსმენოდეს: „სოფელი სოფელს გასძახის: დაილიე თუ ხარაო“).***

ჩემი გუდანი,
გუდარახი,
გუდანაბადი,
ჩემი გუთანი,
გუდასტვირი,
გუდამაყარი,
სად გაფრენილა, გაკრეფილა
მართვე ნაყარი,
საქართველო ხომ მუდამ აქ არი?!
ვინ დამიცალა
ძველი მუქო,
მაქართა, მუცო,
ჩემი დუმაცხო,
უკანახო,
ჩემი შუაფხო,
რატომ აღარ ჩანს ჩანადირი,
სადა ჰყავს ცხორი,
ხუთი წელია გარდაცვლილა
თურმე, ანზორი,
ვეფხიას ფარებს ხომ იცავდა
ბობმბორა ორი,
სანათას აღარ უწიოკებს
კრუხ-წიწილს ქორი.
რატომ არ ყივის აქ მესერზე
ისევ მამალი,
სად წაუღია თინა ბებოს
წინდა, წამალი?!
მოჩანს ეულად დარჩენილი
ჭალა-ტრამალი,
სად არის შიოს ლურჯა ცხენი,
რაში-ფრთამალი?!
საით წასულა, მითხარ, ძმაო,
ფიცხელაური,
მომნატრებია სალამური მე აქაური.
სად გადავიდა საცხოვრებლად
აფციაური,



ვინ გამოკეტა ჩოხელი და
ჩობალაური?!
დადუმებულა ძველი დიხჩო,
ძველი ათნოხი,
მიძინებულა ქვემო ხევი,
ზემო კიტოხი,
ეზოში ყრია დაჟანგული
ნამგალი, თოხი,
მეცარიელა უგოდერძოდ
სოფელი ჩოხი.

ჩამონგრეულა ბექაურის
ფარეხი-ზღუდე,
ხევზე ვინ გადო გაუთლელი
ბოგირი მრუდე?!
გემუდარები, ძმაო, ისევ,
უკან მობრუნდე,
სიცოცხლე მისცე გუდამაყარს,
აღარ მოდუნდე.
გიხმობს გუდანი,
გუდარახი,
გუდანაბადი,
შენი გუთანი,
გუდასტვირი,
გუდამაყარი,
სად ხარ ქართველო,
შენი ფუძე მუდამ აქ არი,
გმართებს ამ მთების პატრონობა,
ვაჟას მაგვარი...

## გიორგი ლეონიძეს

პატარძეულში ჩავედი გოგლას
კვალსანახ**ავადა**,
იების დასაკრეფად და სიტყვების
საჩარხ**ავადა**,
მარგალიტების საძებრად,
გულისგულს ჩამსახ**ავადა**,
მისი არწივად აფრენის ჩემ
თვალით დამნახ**ავადა**.
მზეს ოქროს კაბა ჩაეცვა კახეთის
სახატ**ავადა**,
ალაზნისპირა ქალების
სავარცხნ-საბარხატ**ავადა**,
მონუსხული ვარ ნანახით,
ლექსად სახარატ**ავადა**,
აწ მეც ფიროსმანს დავეძებ ფერთა
საპალიტრ**ავადა**.
„თვალსამოთხეში“ ჩამოვჯექ მის
ამბის საკითხ**ავადა**,
ბროწეულს ძოწი ეფინა
უხვყვავილსარიცხ**ავადა**,
ქალები სიმინდს რეცხავდნენ,
მზით საშრობ-საფიცხ**ავადა**,
ისევ „ნატვრის ხეს“ ეხვივნენ
„მარიტას“ საკიცხ**ავადა**.
ვენახს სიმები გაება ჰანგების
დასაკრ**ავადა**,
ჭიგოს უსობდა გოგია ვაზებს
რქაგასაკრ**ავადა**,
დედალს დასდევდა ცოლ-ქმარი
სტუმრისთვის დასაკლ**ავადა**.
ფშატი და წნორი ყვაოდა
თვალსულგულსაქარგ**ავადა**,
ცვარ-მარგალიტი ბრწყინავდა
აქა-იქ საკარგ**ავადა**,
შმაგი და თოლგა მეახლნენ
ნუშ-ატმის დასარგ**ავადა**,
ვერ ვიმეტებდი ვერავის ქალაქში
საბარგ**ავადა**.
კვლავ იდგა „ჩვენი ჭერამი“
ნარინჯთვალსახუჭ**ავადა**,
ვარდის დაკრეფა დავიწყე სახლსაფენ,
სამუჭ**ავადა**,
ცაცხვს შესეოდა ფუტკარი
ყვავილის საფურჩქნ**ავადა**,
დოქით მომადგა ბედია,
სალხენად-საბუქნ**ავადა**.
„ვერცხლულა“ იორს დავუყე
თევზების საფანტ**ავადა**,
კამეჩებს გუბე მიეგნოთ საწოლად,
საზანტ**ავადა**,
ვერ იმეტებდა მდინარე ნაპირებს
საბლანტ**ავადა**,
„ოლე“ – მარტო ხე ჩავითქვი
ფიქრების სატახტ**ავადა**.
„ბროლისნამსხვრევა“ ზვირთები
წელში მწვდა საკეც**ავადა**,
გოგლას თევზები მიხმობდნენ
სამღერად, საცეკვ**ავადა**,
ხოხბის ყოვილი მომესმა მიდამოს
საძეწკვ**ავადა**,
წნორებში დურაჯს დასდევდა
საჭერად-საძეწკვ**ავადა**.
მგოსანო, ღირდა ჩამოსვლა შენ
წალკოტსანახ**ავადა**,
ვინ იმეტებდა შენს კახეთს, ნეტავ,
საპარტახ**ავადა**,
აწი ვერავინ მოგდგება
საჯიჯგნ-სატალახ**ავადა**,
შეგაქსოვთ ჯაჭვის პერანგებს
აკვანთ საარტახ**ავადა**.
მართლაც გდებია სამშობლო
საგულედ საფეთქ**ავადა**,
„სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელო“ –
მკითხველის სათუთქ**ავადა**,
იგულე სრულ საქართველო შენ
განძის დამლუქ**ავადა**,
შენი ლექსები სჭირდება თაობებს
სასუნთქ**ავადა**.

## „აღმაშენებელი ბათუმს მობრძანდება...“

დავითის ძეგლი დაამშვენებს ჩვენს
ქალაქს – ბათუმს,
მისი სიმაღლე კვლავ მისწვდება
მეცხრე ცის სართულს,
ქართულ მიწაზე ვინ გაბედავს
აბამდეს მავთულს
ჭრიდეს, კერავდეს საქართველოს
ათასგზით ხლართულს.
მაღალი მთიდან გადმოხედავს
„მტირალა“ ბათუმს,
აღარ იტირებს, მოჰკრავს რა ყურს,
ლაპარაკს ქართულს,
აქ მეფე დავითს დაიგულებს
„ძლევაით“ გართულს,
„მონეტას“ ნაცვლად არ მიიღებს
არასდროს „ალთუნს“.
ბათუმის გულში ვნახავთ დავითს
ძეგლად აღმართულს,
დიდგორის ველზე ქართველობას –
მახვილშემართულს,
გონიოს კარებს გამოვაღებთ
„ხორუმით“ მართულს,
ისევ ვიხილავთ ჩვენს კახაბერს
„ხრიდოლში“ ჩართულს.
სულ მალე ვნახავთ მეფე დავითს
აქ წამომართულს,
მერე სრულიად საქართველოს
წელში გამართულს,
პატივს მივაგებთ სამშობლოსთვის
დამწვარ-დაშანთულს,
დიდგორის ველზე ერთმანეთზე
დამკვდარ-დასართულს.
სხალთა-ხიხანი არწივს აფრენს
ყოველდღე ბათუმს,
ქართულ საქმეში არ დაუშვებს
სხვის ხელის ფათურს,
სელიმის სიტყვებს შეახსენებს
დავთარზე დართულს,
„პეტრას ციხიდან“ გააყოლებს
ყვავებს გაფანტულს.
„მეფე ქართველთა“ შემოიკრებს
გარშემო ბათუმს,
„შავფაროსნებს“ და „შავჩოხოსნებს“
ბრძოლებში ჩართულს,
არ გვინდა თამარს უწოდებდნენ
კვლავ „გურჯი-ხათუნს“,
ჩვენ საქართველო გვირჩევნია
მილიონ ალთუნს.
„შვილნო, ქართველნო“, – ხმა
მისწვდება ყველა სახლ-სართულს,
„ვისი გორის ხართ“, „ვისი სისხლის“, –
ხომ ახსოვს ბათუმს?!
მაშ, გაუმარჯოს, ჩვენს „ჰერიოს“,
ჩვენს ცეკვა „ქართულს“,
ქართული დროშით მეფე დავითს
ზეცად აღმართულს.

## ღები

სამოთხის ბჭე გამოვაღე – ცქერით
ველარ ვძ**ღები,**
„რაჭა – ჩემი სიყვარული“ – გონა,
გლოლა, **ღები**,
მთებს სხივებად დაფენია ცხრათვალა
ჭა**ღები,**
შემომდგარა, დატვირთულა ზვრები
და ბა**ღები.**
მწვერვალები დახატული, ძირს
იალა**ღები**,
ქართველს ხელში ჩავარდნია
ოქროს გასა**ღები,**
ორღობეში ჯირითობენ
ცხენებით ბალ**ღები,**
მოჩანს გოგო აივანზე ფოტოს
გადამ**ღები.**
აზვირთული ფერდობები,
ვით მწვანე ტალ**ღები,**
კაკლის ძირას პურმარილი
სტუმრის მისა**ღები,**
ლობიანი, ყველი, პური, ღვინო
ქვევრნა**ღები,**
ხარიხაზე ჩურჩხელები – ქალაქს
წასა**ღები.**
აივანზე შეკრებილან ბიჭები ლა**ღები,**
გოგონები წინსაფრებით
– ბარხატ-ბაირა**ღები,**
ჭიანურის ხმა გაისმა, ახსნა
ცას თა**ღები,**
„ტაში, ბოშო, გიორგუნა“,
– ყანა ასა**ღები.**
დგას დუროიანი კოშკი
– მტრის ბოლოს მომ**ღები,**
რაჭველები – ქართველები,
– ყველა ყოჩა**ღები,**
„ხვანჭკარა“ თუ „იზაბელა“
– მარნის ყონა**ღები,**
„რაჭა – ჩემი სიყვარული“
– გონა, გლოლა, **ღები.**

# არტეფაქტების ექსპერტიზის ისტორიისათვის

## ექსპერტი ყალიბდება არა ბიბლიოთეკაში, არამედ მუზეუმის ფონდებსა და გალერეებში

ჯოვანი მორელი

საბჭოთა პერიოდში არტეფაქტების მხატვრული დონის, ორიგინალობის და შეფასების საკითხების შესწავლა მეცნიერთა ყურადღების მიღმა აღმოჩნდა. განსაკუთრებით რთული გახდა ფაქსიმილის გარეშე შემორჩენილი ძველი ნამუშევრების ავთენტურობის გარკვევა. კვლევები, რომელიც იდეოლოგიურად დაშტამპული თეორიების განხილვას ეთმობოდა ვერ წვდებოდა ნაწარმოების არსსა და ესტეთიკის სიღრმეებს. ხელოვნებათმცოდნეობაში „აკადემიური" მეთოდოლოგია, რომელიც ხელოვნების ნიმუშს ცალმხრივად იკვლევდა, დღესაც ერთადერთ ინსტრუმენტად რჩება. ნაწარმოებისადმი სუბიექტური მიდგომა განდევნილი იქნა ფერწერის, გამოყენებითი ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის კვლევის პროცესებიდან. ამ მხრივ სიცარიელის შევსება ვერ მოხერხდა. როგორც ირკვევა, საუნივერსიტეტო წრეები საექსპერტო საქმეში საბჭოური ტრადიციების ერთგულნი დარჩნენ.

საქართველოში საექსპერტო კვლევის დონე სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. პრობლემა გამოწვეულია, როგორც კვალიფიცირებული ექსპერტების არ არსებობით, ასევე სპეციალური მატერიალური ტექნიკური ბაზის უქონლობით. აღნიშნული პრობლემის წინაშე დგას საქართველოს სამუზეუმო პრაქტიკაც. ამ კუთხით საინტერესოა ს.ჯანაშიას სახელობის თბილისის სახელმწიფო მუზეუმში ბოლო წლებში „შემოწირული" ნივთების ე.წ. „სამეცნიერო" დასკვნები, რომლის შესახებაც ცალკე გვექნება საუბარი.

ექსპერტის უნარ-ჩვევებითა და მეთოდოლოგიით შეუიარაღებელ მუზეუმის თანამშრომელს უჭირს პასუხი გასცეს უცნობ ფერწერულ თუ გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებთან დაკავშირებულ შეკითხვებს. ახალგაზრდა თანამშრომლისათვის რთულია არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალის ავთენტურობის განსაზღვა, რომელიც ერთ დროს მოსახლეობაში ინახებოდა. პრობლემა კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ნივთის მოძიების ადგილი უცნობია. სამწუხაროა, რომ „სპეციალისტებს" უძნელდებათ განასხვავონ ვერცხლისა და ფაიფურის ნაკეთობებზე მანუფაქტურის ფალსიფიცირებული დამღები ორიგინალისაგან. მუზეუმის არაპროფესიონალიზმი კიდევ ერთხელ გამოაშკარვდა პრეზიდენტის სასახლის ინტერიერის სამშვენისების ექსპერტიზის დროს.

თუ ავთენტურობის ხარისხი არ დადგინდა და ასლის მონაცემები სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა, ისტორიული ჭეშმარიტება „ნაგვით" აივსება. ამით წარსულს შეურაცხყოფას მივაყენებთ, რაც მეცნიერებაში ქაოსის გამეფების მიზეზი გახდება. ნივთის დამახიჯებულად წარმოჩენა არადამაჯერებელს ხდის მკვლევარის მოღვაწეობას. მატერიალური კულტურის არასწორი ექსპერტიზის შემთხვევაში, ჭეშმარიტებას დაუპირისპირდება ტყუილი, რომელიც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამომჟღავნდება.

საბჭოთა პრაქტიკამ ცხადყო, რომ მხოლოდ აკადემიური თეორიებით მიდგომა ვერ ხსნის არტფაქტების შემოქმედებით ნიუანსებს. „აკადემისტები" ნაწარმოებში არ ეძებენ შემოქმედებით რიფებს, რომელიც დამალულია, მიღმური და მისტიკურია.

რამ გამოიწვია საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობაში „აკდემიური" მეთოლოლოგიის უპირატესობის დამკვიდრება?

მოძრავი მატერიალური კულტურის ძეგლებს კვლევის თვალსაზრისით განსხვავებული კუთხით უდგება ხელოვნებათმცოდნე, ისტორიკოსი, ესთეტი, სიძველეთა მცნობი,*1 (Знаток-Exspert-Connoisseur), მოყვარული და შემგროვებელი.

ხელოვნებათმცოდნე და ისტორიკოსი ნაწარმოების ობიექტურ კრიტერიუმებს კვლევის მთავარ წყაროდ მიიჩნევს. მათი აზრით, პასუხი უნდა გაეცეს ავტორის შემოქმედებით მოღვაწეობას, დამზადების ტექნოლოგიას, მხატვრულ ღირებულებას, ნაწარმოების სტილსა და პერიოდიზაციას. აკადემისტი მკვლევარი ასევე სწავლობს ნივთთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტურ წყაროებს, რომლის საშუალებითაც დგინდება ოსტატისა და შემკვეთის ბიოგრაფია, დამზადებისა და აუქციონებზე მოძრაობის ისტორია, რესტავრაციის ჩატარების დრო და სხვა.

ნაწარმოების კვლევას სრულიად განსხვავებულად უდგება ხელოვნების ესთეტიკოსი. იგი ფორმალისტური შემეცნე-





ბის საშუალებით ცდილობს ნაწარმოებში შემოქმედებითი კანონზომიერებისა და მხატვრული ღირებულების ამოცნობას, რისთვისაც ფსიქო-ანალიტიკურ მეთოდოლოგიას იშველიებს.

სიძველეთა მცნობი ავთენტურობის დასადგენად ინდივიდუალური მეთოდით ხელმძღვანელობს, რომელშიც ჰარმონიულად არის შერწყმული მეცნიერული განსჯის ლოგიკური უნარი და ესთეტიკური სილამაზის წაკითხვის ნიჭი. იგი ინტუიციური გამოცდილებით ადგენს არტეფაქტის-ავტორს, მის ორიგინალობას, სანდოობას, რესტავრაციის ხარისხს და საბაზრო ღირებულებას, რათა ყიდვის დროს კლიენტმა შეცდომა არ დაუშვას. აცნობიერებს რა ხელოვნების ნიმუშთან დაკავშირებულ ფინანსურ რისკებს, ცდილობს ავთენტურობის დასაზუსტებლად ყველა მონაცემი და კვლევის ხერხი ერთდროულად გამოიყენოს.

ხელოვნების ნიმუშისადმი განსხვავებული მიდგომა აქვს რარიტეტის მოყვარულსა და ანტიკვარიატის შემგროვებელს (Collectioner). შემგროვებლი დაინტერესებულია იცოდეს ავტორის ფაქსიმილი, მანუფაქტურის ნიშანი, მონოგრამა, ოსტატის დამღა და სხვა. იგი სკურპულოზურად სწავლობს ნივთის ფიზიკურ მონაცემებს, რათა ანტიკვარიატი არ იყოს გაყალბებული ან რესტავრირებული.

რაც შეეხება რარიტეტის მოყვარულს, მისთვის მნიშვნელობა არა აქვს ავტორის ვინაობასა და რესტავრაციის ხარისხს, მთავარია ნივთი მყიდველს ვიზუალურად მოეწონოს. თუ შემგროვებლისთვის მცნობარის დასკვნა მნიშვნელოვანია, მოყვარულისათვის მსგავსი დასაბუთება აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ლიტერატურიდან დგინდება, რომ ხელოვნების ნიმუშების სამეცნიერო-საექსპერტო კვლევის მეთოდოლოგიაში რამდენიმე მიმართულება ჩამოყალიბდა. მათ შორის უნდა აღინიშნოს: 1) არტე-ფაქტების ისტორიული მონაცემების ბაზაზე არსებული მეცნიერული შესწავლა; 2) ხელოვნების ნიმუშების ინტუიტიურ ფსიქო-ანალიტიკური კვლევა; და 3) ექსპერტიზაში სუბიექტური (ინტუიტიური) და ობიექტური (აკადემიური) მონაცემების ერთობლივი ჩართულობა. სამივე მიმართულებას თავისი დანიშნულება, შესწავლის ობიექტი, პრინციპები და კვლევის თავისებურებები გააჩნია.

ბოლშევიკებმა XX-ს-ის 30-იანი წლებიდან ხელოვნებათმცოდნეობა, როგორც მთლიანად კულტურა და მეცნიერება, ცენტრალიზებულ მართვას დაუქვემდებარეს. ჰუმანიტარულ მეცნიერებაში მეთოდოლოგია იდეოლოგიურ მიმართულებას შეერწყა, რამაც თეორიული კვლევები პრიორიტეტული გახადა. რაც შეეხება ხელოვნების ესთეტიკის კვლევას, როგორც შემოქმედების შესწავლისა და მხატვრული კანონზომიერების ამოცნობის ინსტრუმენტი სამუზეუმო პრაქტიკიდან და სახელოვნებო სწავლებიდან ამოიღეს.

იდეალისტური მსოფლმხედველობის თანახმად, ხელოვნების შემეცნება, როგორც სამყაროს სრულყოფილი ესტეთიკური გამოვლინება, მხოლოდ მისივე კანონებით არის შესაძლებელი. მათი შეხედულებით, განვითარების ძალა ხელოვნების თვითკრიტიკულ ბუნებაში მოიაზრება. არტე-ფაქტების შემოქმედებითი სამყარო თავად ქმნის საკუთარ ენას, მხატრულ ფილოსოფიურ აზრსა და ესთეტიკას. დეკადენტური ლოზუნგი „ხელოვნება ხელოვნებისათვის", რომლის არსი ფორმალისტურ მიდგომაში ვლინდებოდა, უარყოფდა მის არაესტეთიკური მიზნით გამოყენებას. იდეის თანახმად, ხელოვნება მხოლოდ ხელოვნების განვითარების სამსახურში მოიაზრებოდა. XX-ს-ის დასაწყისში „პარნასელების" „წმინდა ხელოვნების" თეორიამ განსხვავებულ სოციალურ, ისტორიულ თუ კულტურულ გარემოში სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძინა.

ხელოვნების დანიშნულების იდეალისტურ ხედვას მწვავედ უპირისპირდებოდა მატერიალისტური მსოფლმხედველობა. მარქსისტული ესტეთიკის (ხელოვნება ხალხისათვის) თანახმად, ხელოვნების განვითარებას საზოგადოების წიაღიდან წამოსული შემოქმედებითი ენერგია განაპირობებდა, რომელსაც „მასების" სოციალური აქტივობა ქმნიდა. მხატრული შემოქმედებისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ უარყო ფორმალისტური შემეცნების ფაქტორი. ფორმალიზმი, როგორც ესთეტიკის კვლევის ინსტრუმენტი, ბოლშევიკებმა დეკრეტით აკრძალეს. ამით უარყვეს ხელოვნების კვლევით საქმიანობაში დასავლეთის სამეცნიერო წრეების მიღწევები. განსხვავებული იდეოლოგიური ხედვა გახდა ერთ-ერთი მიზეზი საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობაში „აკადემიური" მეთოდოლოგიის უპირატესობის დასამკვიდრებლად.

ტოტალიტარულმა ეპოქამ ხელოვნების დანიშნულებისა და კვლევის მეთოდოლოგია კარდინალურად შეცვალა. ხელოვნების ნაწარმოები ფიქრისა და განსჯის საგანი არ უნდა გამხდარიყო. „კულტმუშაკისათვის" კაზიმირ მალევიჩის სუპრემატული ნახატები იმდენად იყო საშიში, რამდენადაც იგი ცნობიერების გამოღვიძებას პროვოცირებდა. ბოლშევიკების აზრით, დასავლეთის ბურჟუაზიულ-ფორმალისტური ხელოვნება სოციალისტური მენტალობის „ახალი ადამიანის" შექმნის იდეას ეწინააღმდეგებოდა.

ურთიერთსაპირისპირო იდეოლოგიამ ხელოვნების კვლევის საქმეში განსხვავებული მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება განაპირობა, როგორიცაა: ა) აკადემიური (საბჭოეთი) და ბ) ფორმალისტურ-ინტუიტიური (დასავლეთი).

რევოლუციის პირველივე წლებიდან, ბოლშევიკებმა ჰუმანიტარულ დისციპლინებში ურყევი კანონების დამკვიდრება დაიწყეს. ახალი იდეოლოგიური მეთოდით მხატვრული ღირებულების საკითხის განსაზღვრა არაპროდუქტიული გახდა. აკადემისტი ხელოვნებათმცოდნეები ნივთში ხედავდნენ იმას, რასაც იდეოლოგია კარნახობდა. აქედან გამომდინარე, სწავლულებმა წინასწარ იცოდნენ კვლევა როგორი შედეგით დასრულდებოდა.

საზოგადოებრივ საკუთრებაზე ორიენტირებულმა ეკონომიკამ აკრძალა ხელოვნებისა და ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობა. შეჩერდა მხატვრების სარეიტინგო კატალოგების გამოცემა, დაიხურა აუქციონები. არტ-ბაზრიდან გაქრა ექსპერტშემფასებელთა კორპუსი. სახელმწიფომ ხელოვნების ნიმუშებსა და ანტიკვარულ ნივთებზე მონოპოლია გამოაცხადა. ბოლშევიკებმა სამუზეუმო ფონდებში არსებული ნივთების ერთი ნაწილი არასამუზეუმო ექსპონატებად გამოაცხადეს (საქ. სახ. მუზეუმი. კონსტანტინე ვაისერმანის საქმე), რის შემდეგ ე.წ. „ჩამოწერილი ნივთები" პირდაპირი შესყიდვით დასავლეთის ფინანსურმა წრეებმა შეიძინეს. ამ მხრივ განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა ამერიკელი კოლექციონერი არმანდ ჰამერი. ხელოვნების ნაწარმოებებზე სახელმწიფო მონოპოლიამ არტეფაქტების საექსპერტო საქმის გაქრობის წინა პირობა შექმნა. ხელოვნების ექსპერტიზამ პრაქტიკული დანიშნულება დაკარგა.

საბჭოთა ხელოვნებაში „აკადემიური კვლევის" არსებობას თავისი პრეისტორია აქვს. ჯერ კიდევ XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან რუსეთის იმპერიის შემოქმედებითი წრეები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ევროპის, კერძოდ კი, ავსტრიის ხელოვნების სკოლასთან, რომლის გავლენასაც განიცდიდნენ. რუსი ხელოვნებათმცოდნეები, ვენის სკოლის მსგავსად, აკადემიურ (ისტორიციზმი) მეთოდოლოგიას პრიორიტეტად მიიჩნევდნენ. მათი აზრით, ისტორიულ დოკუმენტებსა და არტ-ტექნოლოგიას ნივთის საექსპერტო კვლევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ავსტრიაში აკადემიურ კვლევას ემხრობოდნენ ხელოვნების სკოლის ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: ალიოს რიგლი და ჰანს ტიტცე. მათი აზრით, „ხელოვნების კარგ მკვლევარად მიიჩნევა მხოლოდ ის, ვინც უარყოფს და არ გააჩნია გემოვნების ინდივიდუალური შეგრძნების ფაქტორი, რადგანაც ხელოვნებისათვის მთავარია ისტორიული განვითარების ობიექტური კრიტერიუმები."

XIX ს-ის ბოლოს, ხელოვნების საექ-

---

1 *მცნობი/მცნობარი -მწყემსი, რომელიც დოლის დროს მიჰგვრის დაკარგულ ბატკანს დედა ცხვარს. იგი გამოირჩევა ინტუიტიური აღქმის ბუნებრივი ნიჭით.(უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი. ტ-3. თბ. 2006.წ). ქართულ ყოფაში შემორჩენილი ტერმინი შინაარსობრივად ზუსტად ესადაგება რუსულისა (знаток) და ინგლისურის (Exspert) არსს.

პერტო პრაქტიკაში ესთეტიკოსები კვლევის ახალ მეთოდოლოგიას ამკვიდრებენ, რომელიც ვიზუალურ მეხსიერებასა და ფსიქო-ემოციურ შეგრძნებას ეყრდნობა. ვიზუალური „აზროვნება“ და ინტუიტიურ-ანალიტიკური ფაქტორი ავთენტურობის განსაზღვრის მთავარ იარაღად აღიარეს. ახალი მეთოდოლოგიით ექსპერტს უნდა შეეძლოს: ა) უეცარი შეგრძნებისგან განცდილი ემოციის გონებაში სტრუქტურულად დალაგება; ბ) ცნობიერების მიერ ნივთთან დაკავშირებული ისტორიული ძიებების სწრაფად კლასიფიცირება; გ) განცდილ ემოციასა და კლასიფიცირებულ ისტორიულ მასალას შორის შემოქმედებითი პარალელის გავლება.

XX ს-ის დასაწყისში მკვლევართა ერთი ჯგუფი მხოლოდ ინტუიტიურ მეთოდს იზიარებდა და ობიექტურ კრიტერიუმებს არაფრად მიიჩნევდა. ამ მოსაზრების მომხრე ხელოვნების კრიტიკოსი ბერნარდ ბერენსონი (1865-1959.წ) აღნიშნავს: „როდესაც მე წარმოვთქვავ სიტყვებს – კარავაჯო, ჯოტო, ჯორჯონე, დიურერი, მენე და ასობით სხვა მხატვარი, ჩემს ცნობიერებაში ჩნდება, ცალკე აღებული მხატვრისათვის დამახასიათებელი სიმბოლოები. ვცდილობ ჩემს გონებაში ამ ნიშნებით მივაკვლიო ფერწერას, რომელისთვისაც ეს სიმბოლოები ნიშანდობლივია, მაგრამ თუ ჩემი ვარაუდი არ გამართლდა, მაშინ ვერავითარი არგუმეტი, დოკუმენტური და ბიოგრაფიული მტკიცებულება, ისტორიული, ფსიქოანალიტიკური, რადიოგრაფიული თუ ქიმიური ანალიზი ვერ დამარწმუნებს ექსპერტიზის სისწორეში“. აღნიშნული მოსაზრება მკვეთრად განსხვავდება საბჭოთა და ვენის სკოლის მეთოდოლოგიისაგან. ხელოვნებათმცოდნეებში დღესაც გრძელდება კამათი, რომელი უფრო საიმედო დასკვნის შესაძლებლობას იძლევა: აკადემიური კვლევა თუ ინტუიტიური მეთოდოლოგია.

უნდა აღინიშნოს, რომ არტეფაქტების სუბიექტურ-ფსიქოანალიტიკური კვლევისას არ არსებობს ერთი რომელიმე მტკიცედ არგუმენტირებული ხერხი. განსაკუთრებით ეს ეხება ქვეცნობიერი განსჯის მეთოდს, რომელიც გონებაში ფსიქო-ოპტიკური ინფორმაციის ჭარბი შეგრძნებით წარმოიშვება. ეს არის ნახვის დროს პირველი შთაბეჭდილებისაგან მიღებული ეფექტი. ინტუიტიური მეთოდოლოგიით შეუძლებელია ზეპირი სწავლებისა და გადმოცემის პროცესში რაიმე კანონზომიერების დადგენა, რომელიც დასახულ მიზანთან მიგვიყვანს. პროფესიონალი მცნობარის განსჯა ხშირად სცილდება შემეცნებით ზღვარს და ქვეცნობიერია. მსჯელობის დროს ნივთის ობიექტურ მხარეზე ყოველთვის შეიძლება მინიშნება და აზრის გამოხატვა, მაგრამ ინტუიტიურ მხარეზე ამის ახსნა ვერ ხერხდება. მცნობარისათვის არ არსებობს განსჯის პროცესში ჩამოყალიბებული მწყობრი მოძღვრება. ამიტომაც ექსპერტის საუბარი ყველას დილეტანტურად ეჩვენება, რადგან მსჯელობა სუბიექტურია, ხოლო არგუმენტაცია გადაჯაჭვულია გრძნობათა განწყობასთან.

ხელოვნებაში ინტუიტიური მეთოდის დამკვიდრებას გერმანელი მეცნიერის ი.ი ვინკელმანის (1717-1768.წ) მოღვაწეობას უკავშირებენ. ანალიტიკურ მოძღვრებაში – „ხელოვნების ისტორია“, პირველად გახმოვანდა კვლევის ფორმალისტურ-სტილისტური ანალიზი (დეტალის ვიზუალური აღქმა, სტილი, ტენდენცია, ინდივიდუალიზმი, ფერთა გამა, სინათლის ინტენსიობა, შუქჩრდილი და სხვა), როგორც ესთეტიკური ფენომენის შემეცნების ხერხი. თუმცა ხელოვნების ისტორიულ-კრიტიკული კვლევა ისევ რჩებოდა არტფაქტის შესწავლის მთავარ იარაღად. მისი თეორიით, ფორმალისტურ-მხატრული ანალიზი კომპლექსური შესწავლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. მეცნიერის მოსაზრებით, შემოქმედებით პროცესში შექმნილი ერთი რომელიმე ფორმა ნაწარმოების მთლიანი დიზაინის პატარა სეგმენტს წარმოადგენს, რომელიც მჟღავნდება ნაწარმოების ცალკეული დეტალის – შემოქმედებით გადანაწილებაში, პროპორციაში, დაბალანსირებულ კონტრასტში, რითმში, აქცენტებში და სხვა. ნაწარმოებზე შემოქმედებითი ფორმების ლოკალიზება ფერისა და შუქჩრდილების საზაღვრო ხაზების გასწვრივ დგინდება. ერთი მხატვრული ფორმა მთავრდება იქ, სადაც იწყება შემდეგი ფერის ახალი ნათება. ხელოვნების ნიმუშზე არსებული პარამეტრები ჰარმონიულ თანხვედრაშია ერთმანეთთან. ვინკელმანის აზრით, ფორმალიზმი ესტეთიკური კატეგორიაა, რომელიც ნაწარმოებში „სილამაზის“ შემეცნებით გვევლინება. პირველმა მან სცადა არტფაქტის შესასწავლად სისტემურ-სტილისტური ანალიზის გამოყენება. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ნივთის ცალკეული დეტალის ფოკუსირებულ აღწერას. ამიტომაც ხილვით შთაბეჭდილებას ხელოვნებაში ესთეტიკის შეფასების აქტი უწოდეს.

ახალმა მეთოდოლოგიამ ხელოვნების ექსპერტიზას მეტი პასუხისმგებლობა შემატა. მსოფლიოში ინტუიტური ხერხით აღჭურვილ მცნობარზე მოთხოვნილება გაიზარდა. ინვესტიციის დაბანდების მსურველები ყველაზე მეტად ვიზუალურ-იტუიტიური მეთოდიკით აღჭურვილ ექსპერტებს ენდობოდნენ.

ნოვატორული მეთოდოლოგია ინტუიციისა და „ვიზუალური აზროვნების“ განსაკუთრებული უნარის გამომუშავებას მოითხოვდა. მკვლევარი ავტორის შემოქმედებითი პროცესის სათავეს უნდა შეხებოდა. იგი აღქმისა და გააზრების საწყისი ეტაპიდანვე უნდა ჩაწვდომოდა ჭეშმარიტების არსს და ნამუშევრის შექმნის ყველა სტადია განეცადა. ახალი თეორიის მიხედვით, მხოლოდ უეცრად წარმოქმნილი სტიქიური გრძნობა იძლეოდა ავთენტურობაზე სწორ და დამაჯერებელ პასუხს.

ხელოვნების კვლევის პრაქტიკაში ინტუიტიური ხერხების დამკვიდრების პირველი მცდელობა იტალიელ მხატვარსა და თეორეტიკოსს ჯოვანი მორელის ეკუთვნის. თეორიას, რომელსაც ექსპერიმენტალურს უწოდებდა, ინტუიტიურ კვლევას აკადემიურთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა. მისი აზრით, ხელოვანის გემოვნება სილამაზის განცდის პროცესში მჟღავნდება, რომელიც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ინდივიდუალური სტილის შექმნას განსაზღვრავს. ხელწერის თავისებურება განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს თავს სახის ფორმის კომპოზიციაში, რომელიც ყურის, ცხვირისა და ყვრიმალების გამოსახვის მანერით ყალიბდება.

იტალიელი თეორეტიკოსის თანახმად, არტექსპერტი კარგ მხედველობით მეხსიერებას უნდა ფლობდეს, რომლის დახმარებით ვიზუალურ ინფორმაციას ფსიქოანალიტიკური ხერხით გონებაში ელვისებურად და თანმიმდევრობით გააანალიზებს. მისი მეთოდით, ფერწერის ნიმუშებში განსაკუთრებული ყურადღება ადამიანის ანატომიურ ნაწილებს უნდა დაეთმოს, რომლის ურთიერთშედარებით სწორი პასუხის მიღების შესაძლებლობა იქმნება.

ჯოვანი მორელის ჰიპოტეზის მიხედვით, მხატვარი ერთი და იგივე მანერით გამოსახავს ადამიანის სხეულის ისეთ ნაწილებს, როგორიცაა: ყური, ხელის მტევანი, ფრჩხილი, ნუნა და სხვა. სწორი დასკვნის მიღება ცალკეული დეტალების შედარებითი მეთოდით არის შესაძლებელი, რომლის შემდეგ ცნობიერებაში ოსტატის ინდივიდუალური მანერა იკვეთება.

აღნიშნულ თეორიას იზიარებდა ხელოვნების კრიტიკოსი და ჯოვანი მორელის თანამოაზრე ბერნარდ ბერენსონი. იგი ცდილობდა აეხსნა, რატომ არის, რომ ყური, ხელის მტევანი და ფრჩხილი, რომელიც ნახატის ფორმებში უმნიშვნელო მახასიათებლად ითვლება, განსაკუთრებულ როლს თამაშობს ავთენტურობის ამოსახსნელად? მისი აზრით: „მხატვარი იცავს რა ანატომიურ მოცემულობას, უმნიშვნელო დეტალებს ადრე არსებული მოდელის მიხედვით ხატავს, რომელიც გონებაშია ჩაბეჭდილი. ცნობიერებაში დაშტამპული დეტალი ქმნის ზოგიერთი ფორმის გამოსახვის წინაპირობას. შემოქმედებითი ძიებით ნაკარნახევი ნახატისთვის ყურის ფორმა და ფრჩხილი არ წარმოადგენს ექსპრესიისა და ხასიათის გადმოსაცემად მნიშვნელოვან მოცემულობას. მათი გამოყვანის დროს მხატვარი არ განიცდის განსაკუთრებულ აღმაფრენას. იგი თავს არ იწუხებს გადალახოს მის ცნობიერებაში არსებული გამოსახვის ტრადიციულად ჩამოყალიბებული ჩვევები. სწორედ ეს აპირობებს ადამიანის ანატომიური დეტალების ერთი და იგივე დაშტამპული მანერით გამოყვანის ხელწერას. ამიტომაც ყველა ნახატში აღნიშნული დეტალები ერთმანეთს ემსგავსება.“

**ნოდარ ახალკაცი,**
*სამუზეუმო საქმის ექსპერტი*

(გაგრძელება იქნება)




# დე გრაი დე ფუას ცნობის სანდოობის შესახებ

## რომან გოგოლაური

რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომს სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მონოგრაფია თუ ცალკეული ნაშრომი მიეძღვნა რუსულ და ქართულ ენებზე. მათ შორის აღსანიშნავია პ. ბუტკოვი, ნ. დუბროვინი; ო. მარკოვა; ა. ცაგარელი; ვ. მაჭარაძე; შ. ლომსაძე; ს. ხოსიტაშვილი და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვეჩინა ის ხარვეზები და უზუსტობანი იმ უცხოელი ავტორებისა, რომელთა მონათხრობი ხშირად ლაყბობაშიც კი გადადის. ყოველივე ეს კი იმაში გვარწმუნებს, რომ ყველა წყაროს ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ბ. გიორგაძე დე გრაი დე ფუას შესახებ წერს: შევალიე დე გრაი დე ფუა ფრანგი ოფიცერი, გენერალ გოტლიბ კურტ ჰაინრიხ ტოტლებენის (1715-1773) ადიუტანტი ტოტლებენთან კონფლიქტის შემდეგ თბილისში დარჩა ერეკლე II-ის კარზე. საფრანგეთში დაბრუნებულმა აღწერა ქართლში მოგზაურობა, ქართველთა ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ, კერძოდ კი – აწყურის ბრძოლა, რომლის დამსწრეც თვითონ იყო. იგი მართებულად აფასებს ერეკლე II–ის სტრატეგიას და ტაქტიკას.

დე გრაი დე ფუას აღნიშნულ ცნობას პირველად მზის შუქი მოჰფინა ინგლისელმა ისტორიკოსმა, ქართველოლოგმა დევიდ ლენგმა.2 ქართველ მეცნიერთაგან დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა: შ. ბადრიძემ, ნ. ასათიანმა, და ჯ. ოდიშელმა.

ცნობილია, რომ 1769 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოვიდა რუსთა კორპუსი გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. მათი მიზანი იყო ქართველებთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც რუსეთ-თურქეთის 1768-1774 ომის გამოძახილს წარმოადგენდა.

ერეკლე II-ის საბრძოლო გეგმის მიხედვით, რუს-ქართველთა ჯარს 1770 წლის გაზაფხულიდან უნდა დაეწყო მოქმედება ახალციხის მიმართულებით. 1770 წლის 17 აპრილს რუს-ქართველთა ჯარი უკვე აწყურში იყო. 19 აპრილს ტოტლებენმა ბრძოლის ველი მიატოვა და აწყურიდან უკან გაბრუნდა. ტოტლებენის ღალატით და ქართველთა უწესრიგო უკანდახევით გამხნევებული მტერი შეტევაზე გადმოვიდა, მაგრამ, ქართველთა კონტრშეტევით დამარცხებული ისევ ციხეს შეეფარა.3

ერეკლე II-ის მემატიანე ომან ხერხეულიძე აწყურთან ბრძოლას ასე აღწერს: „ტოტლებენის ღალატის მხილველნი ოსმან-ლეკნი რუსის ჯარის გამობრუნებისთანავე გაამაყებული გამოვიდნენ და ერეკლე მეფეს შეებნენ. სამსაათიანი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ლეკ-ოსმალნი დამარცხდნენ და სიმაგრეს (აწყურის ციხეს – რ.გ) შეაფარეს თავი.

თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით: „წარმოიშვა შორის მეფისა და გრაფისა სამდურავი, სადაცა აწყურით დაბრუნდა გრაფი (ხოლო) იხილეს რა დაბრუნება რუსისა ქართველთა იწყეს ლტოლვად, სადაცა გზისა ზედა შეემთხვა მეფესა მხედრობაი დელუბაშებისა, რომელსაც სძლია მეფემან“.

რუსეთის წარმომადგენელი ანტონ მოურავოვი 1770 წ. 30 აპრილით დათარიღებულ წერილებში გენ. ტოტლებენს აწყურის ბრძოლის შესახებ წერდა: „ნახევარი საათის მერე, მას შემდეგ რაც ერეკლე დაბრუნდა თავის ბანაკში, მთელ ჯარში დიდი ხმაური ატყდა, ყოველი მათგანი გაჰყვიროდა, რომ მათი განადგურება ახლოს არის და დაიწყეს უწესრიგოდ უკან დახევა. ამან მეფე ერეკლე აიძულა დიდი დაშინებითა და ხმლის ქნევით დაეწყნარებინა მთელი ლაშქარი და აწყურიდან სამი ვერსის მანძილზე დახევის შემდეგ შეაჩერა, მე ვურჩიე ერეკლეს, რომ ბრძანება გაეცა, რაც შეიძლება მალე შეეტიათ მტრისათვის. მან (მეფემ – რ.გ) რჩევით აღფრთოვანებულმა ხუთასი ცხენოსანი ქართველით შეუტია თურქებსა და ლეკებს, დაამარცხა, აწყურის ციხეში შერეკა. მომხვდურთაგან რამდენიმე კაცი მოიკლა, მისი (ერეკლეს – რ.გ) მხრიდან კი ერთი მოიკლა და სამი დაიჭრა.

აწყურის ბრძოლის შესახებ ს. ხოსიტაშვილს ნაშრომში „ასპინძის ომი“, გამოქვეყნებული აქვს გენერალ ტოტლებენის ყოფილი ადიუტანტის დე გრაი დე ფუას ცნობები, რომელიც 1964 წელს ახალციხის რაიონულ გაზეთ „წითელ დროშა“-ში გამოქვეყნდა კ. გურულის მიერ. ამ ცნობის მიხედვით, დე გრაი დე ფუა თვითმხილველია აწყურის ბრძოლისა, სადაც მოწინააღმდეგეს რვაათასიანი ცხენოსანი ჯარი ჰყოლია. ერეკლე მეფეს ჯარი სამ ნაწილად გაუყვია და აწყურთან 17 აპრილს მომხდარ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვებია. ბრძოლის შემდეგ ერეკლეს თავისთან გამოუძახებია დე გრაი დე ფუა და უთქვამს: წადით და მოახსენეთ თქვენს გენერალს, რაც თქვენი თვალით ნახეთ. უთხარით მას, რომ არ გელალატა ერთ კვირაში ავიღებდით ახალციხეს-თქო. მე დავბრუნდები თბილისს და თქვენ გენერლის მოქმედების შესახებ ყველაფერს მის უდიდებულესობას იმპერატორს შევატყობინებო“

ჩვენთვის საინტერესოა, თუ რამდენად სანდოა დე გრაი დე ფუას ზემოთ მოყვანილი ცნობა აწყურთან ბრძოლის შესახებ. როგორც ზემოთ დავინახეთ, სხვა წყაროებში (მოურავოვი, ომან ხერხეულიძე, თეიმურაზ ბაგრატიონი) დე გრაი დე ფუას მოტანილი ცნობები არ დასტურდება. თუ მოვლენებს გავუსწრებთ, ეს ცნობა უფრო შეესაბამება ასპინძასთან მომხდარ ამბებს. კერძოდ, ასპინძის ბრძოლის მონაწილე ზაალ ორბელიანის მონათხრობს. მისი ცნობით, ერეკლეს ჯარი სამ ნაწილად დაუწყვია: მარჯვენა ფლანგის სარდლობა დავით ორბელიანისთვის მიუნდვია (ზაალიც იქვე მდგარა), მარცხენა – გიორგი ბატონიშვილისთვის, ცენტრს თვით ერეკლე მეფე სარდლობდა.

როგორც ვხედავთ, დე გრაი დე ფუას ცნობის მიხედვით, აწყურთან მობილიზებული ლეკ-ოსმალთა რვაათასიანი ჯარის რაოდენობა იდენტურია ასპინძასთან მობილიზებული ლეკ-ოსმალთა ჯარის რაოდენობისა. ასევე აწყურის ხიდთან მომხდარი ინციდენტი მსგავსია ასპინძის ხიდთან მომხდარი ფაქტისა. რატომღაც ავტორი არაფერს ამბობს ასპინძის ბრძოლაზე და აწყურთან მომხდარი ამბით ამთავრებს ერეკლეს საბრძოლო კომპანიას.

ბუნებრივად იბადება კითხვა: არის თუ არა ნამდვილად დე გრაი დე ფუა აწყურთან მომხდარი ბრძოლის თვითმხილველი?

ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო ისტორიულ არქივში დაცული ერთი დოკუმენტი, რომელიც აწ გარდაცვლილმა მკვლევარმა, პროფ. ვ. მაჭარაძემ გამოაქვეყნა, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ აწყურისა და ასპინძის ბრძოლების დროს დე გრაი დე ფუას ადგილ-სამყოფელი.

1770 წლის 11 აპრილს ქვიშხეთში ყოფნის დროს, ტოტლებენს თავისივე თხოვნით გაუთავისუფლებია დე გრაი დე ფუა და მისთვის პორუჩიკის წოდება უბოძებია და მიუცია ატესტატი, რომ თავისუფლად გაეტარებინათ. ერთი კვირის შემდეგ იგი დუშეთში მისულა.

ამგვარად აწყურისა და ასპინძის ბრძოლების დროს დე გრაი დე ფუა დუშეთშია და იგი არ შეიძლება ამ ბრძოლების თვითმხილველი ყოფილიყო. ხოლო ცნობა აწყურთან მომხდარი ბრძოლის შესახებ მისი უშუალო ნანახიდან არ მომდინარეობს და რეალობასაც არ შეესაბამება.

# ქართველი კათოლიკეები – „ფრანგები"

**როლანდ თოფჩიშვილი**

ქართველთა ეროვნული რელიგია ქრისტიანობის მართლმადიდებლური მიმართულება იყო. IV საუკუნის დასაწყისიდან ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ქართული კულტურა მას ეყრდნობოდა, მისით საზრდოობდა. 1852 წელს არქიმანდრიტი *თეოფანე გაბუნია* სამართლიანად აღნიშნავდა: „ქრისტიანობა არს გინა სჯული შემკვრელი ერისა და შემაერთებელი საზოგადოებისა". თავის დროზე საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში ქრისტიანობის გავრცელებას გარკვეული წინააღმდეგობა ხვდებოდა. ამ მხარეების (ფხოვის, თუშეთის...) მკვიდრნი თავს, ბუნებრივია, ქრისტიანებად მიიჩნევდნენ, მაგრამ გვიან, შუა საუკუნეებში, საეკლესიო მესვეურებს კიდევ უხდებოდათ ძალისხმევა ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენების აღმოსაფხვრელად. ახალ რელიგიას მაზდეანობასთან ჭიდილიც უხდებოდა. XI საუკუნის მემატიანე ლეონტი მროველი შენიშნავდა, რომ „რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასვე შინა დღესაქომამდე" *(ქც 1955: 126).* მთიელთა არასრულყოფილ ქრისტიანობაზე საუბრობდა XIX საუკუნის 30-იან წლებში გერმანელი ავტორი *კარლ კოხიც* (კოხი 1981: 256). სხვათა შორის XIX საუკუნეშიც კი ხევსურეთიდან ჩამოსახლებულები უგულებელყოფდნენ ჯვრისწერას, ამიტომაც მოსახლეობის აღწერის დავთრებში ჯვარდაუწერელი წყვილის შვილები არაკანონიერად არიან ჩაწერილები.

საქართველოს სახელმწიფოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, გავრცელება იწყო სხვადასხვა რელიგიებმა და კონფესიებმა. ისლამი ძირითადად ოსმალეთის იმპერიაში მოქცეულ სამხრეთ საქართველოში გავრცელდა. თავიდან ის მხოლოდ ზედაფენაში შევიდა, გლეხობამ კი, ძირითადად, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მიიღო. მონოფიზიტობამ ადრიდანვე გაიკაფა გზა ქვემო ქართლში. შესაბამისად ისლამის მიმდევრებს თუ „თათრებს" უწოდებდნენ, სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების წარმომადგენლებს „სომხებად" მოიხსენიებდნენ, რომლებიც „ენით, ქცევა-ზნით" ქართველები იყვნენ. ქართველთა მონოფიზიტობაზე გადასვლის შემთხვევები გახშირდა XIX საუკუნის ათიანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია დაკარგა *(1811 წ.).*

ქართველ ხალხში კათოლიკობაც გავრცელდა. ქართველთა ნაწილმა თავის გადარჩენის ერთ-ერთ გზად კათოლიკობა მიიჩნია. კათოლიციზმმა ფეხი განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში მოიკიდა. კათოლიკე ქართველები დანარჩენ საქართველოში, ძირითადად, ქალაქებში ცხოვრობდნენ. კათოლიკე ქართველები თავის თავს და გარშემომყოფნიც „ფრანგებს" უწოდებდნენ. საქართველოში კათოლიკობა ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან გავრცელდა. ამ დროს თბილისში ორი კათოლიკური ეკლესია ყოფილა, ახალციხეში – ერთი. კათოლიკობის მიმართ სრულ შემწყნარებლობას ამჟღავნებდნენ. განსაკუთრებული თანაგრძნობა და მფარველობა აღმოუჩენია კათოლიკეებისადმი გიორგი ბრწყინვალეს, რის შედეგადაც „საქართველოს ბევრ პროვინციაში ქართველები გადავიდნენ კათოლიკობაზე" *(თამარაშვილი 1902: 31).* საქართველოში კათოლიკობის გავრცელების მასშტაბზე უდავოდ მიუთითებს ის, რომ XIV-XVI საუკუნეებში არსებობდა კათოლიკეთა საეპისკოპოსო (პაპაშვილი 1995: 99). კათოლიკეებისადმი საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება უდავოდ პოლიტიკური მომენტით იყო გამოწვეული – ქვეყანა ხომ ერთგვარი იმედით შეჰყურებდა დასავლეთს.

ქართველი კათოლიკეების შესახებ ა. ფრონელი (ა. ყიფშიძე) წერდა: *„ოსმალოს თვალის საამებლად და ქრისტიანობის დასაცველად ქართველმა კათოლიკეებმა განიზრახეს, შემოეღოთ წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე. სომხურად მლოცველი ქართველი კათოლიკე თამამად ეტყოდა გამძვინვარებულ ოსმალოს, რა გინდა, დაწყნარდი, ხომ ხედავ, აღარც ლათინი ვარ და აღარც ქართველიო. მართლაც, ამ დიპლომატიურმა ხერხმა გაჭრა, ქართველმა კათოლიკეებმა შეინარჩუნეს ქრისტიანობა, მაგრამ დღეს, ლამის, ქართული ეროვნება დაკარგონ. თუ სცოდნოდათ მაშინ, რომ გულუბრყვილო დიპლომატიური ხერხი მალე გადაექცეოდათ, რომ პავლე და იაკობი პოღოსად და აკოფად გადაინათლებოდა, შესაძლებელია, რომ მაჰმადიანობაზე უარი არ ეთქვათ და სახიფათო, კისერმოსატეხი დიპლომატიისათვის არ მიემართათ. ერთმა არლელმა, ესე იგი, ს. არლიდან, ქართველმა კათოლიკე მკვიდრმა „ტეტია" მალვენ თათეოზოვმა (იგივე თომაშვილი) ასეთი მარილიან ქართულით დაასურათა ზემოთ მოხსენიებული ისტორიული მომენტი: „თათარი სომეხს არ ერჩოდა და ჩვენმა მამა-პაპებმა იმიტომ მიიღეს სომეხ კათოლიკეთა აღსარებაო"* *(ფრონელი 1991: 39).*

კათოლიციზმი უფრო მეტად ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე იყო გავრცელებილი. კათოლიკე ქართველები ცხოვრობდნენ აგრეთვე თბილისში, გორში, ქუთაისში, უფრო მეტად კი, ახალციხეში. კათოლიციზმის გავრცელების დადებითი შედეგი ის იყო, რომ კათოლიკე მისიონერების საშუალებით საქართველოში ვრცელდებოდა იმდროინდელი ევროპული სიახლენი.



სტამბოლის ქართველთა სავანეში მოღვაწე სასულიერო პირები (სხედან მღვდლები: კონსტანტინე, პიო ბალიძე, პეტრე ტატალაშვილი, ბენედიქტე ვარდიძე, შალვა ვარდიძე), საქართველოდან დევნილ ეროვნული მთავრობის წევრებთან ერთად.

კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარ ქართველებს *ფრანგები* ეწოდებოდათ, მაგრამ ისტორიული ვითარების კვალობაზე ქართველი კათოლიკეებისათვის რიტის (ტიპიკონის) პრობლემა შეიქმნა. თავდაპირველად ქართველ კათოლიკეებს ქართული ტიპიკონი ჰქონდათ. მაგრამ XVI საუკუნის შუა ხანებიდან ვითარება შეიცვალა. პაპმა ქართველი კათოლიკეები სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას დაუქვემდებარა, რომელსაც ლათინურის ნაცვლად სომხური ტიპიკონი ჰქონდა დაკანონებული, ე. ი. წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე მიმდინარეობდა. ამიტომ, დროთა განმავლობაში, ქართველი კათოლიკეების („ფრანგების") ნაწილი სომხებად მიიჩნიეს. მათი სომხებად მიჩნევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ისინი სომხურ-კათოლიკური ეკლესისიისადმი იყვნენ დაქვემდებარებული. სომხური ტიპიკონის გამო, ქართველ კათოლიკეებს გაუჩნდათ სომხურფუძიანი ახალი გვარ-სახელები. შესაბამისად სომხურფუძიანი გვარების გამო ცდილობდნენ ქართველ კათოლიკეთა სომხური წარმომავლობის „დამტკიცებას", თუმცა მათ საამისო არგუმენტები არ გააჩნიათ. ქართველ კათოლიკეთა ქართული წარმომავლობა კარგადაა დადასტურებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

XIX ს-ის რუსული აღწერების თანახმად, კათოლიკე ქართველები ძირითადად ცხოვრობდნენ ჯავახეთსა და სამცხეში (1901 წელს მათი რაოდენობა აქ 6.408 სული იყო). ქართველ კათოლიკეთა ქართული წარმომავლობის დამადასტურებელია XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრები. 1886 წლის საოჯახო სიებში ქართველ კათოლიკეებს ეროვნების გრაფაში ყველას *ქართველი* აქვს მიწერილი, რაც, რა თქმა უნდა, მათი ნებისა და, ამდენად, ცნობიერების გამომხატველი იყო. სარწმუნოების გრაფაში კი „სომხურ-კათოლიკური" უწერიათ. მას შემდეგ, რაც 1845 წელს ცარიზმმა საქართველოდან განდევნა ევროპელი კათოლიკე მოღვაწენი და აეკრძალათ საქართველოში მოღვაწეობა, მათი სრული ბატონ-პატრონი სომხურ-კათოლიკური ეკლესია შეიქმნა. იქამდე თუ ქართველი კათოლიკეები ზოგჯერ ახერხებდნენ ლათინური ტიპიკონის გამოყენებას და ლათინურთან ერთად ქართულად წირვა-ლოცვას, ახლა ყველასი და ყველაფრის პატრონად სომხურ-კათოლიკური ეკლესია იქცა. ქართველმა კათოლიკეებმა კი ახალი ენერგიით გააჩაღეს ბრძოლა ქართული რიტისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთის კათოლიკეები გამოირჩეოდნენ. მაგალითად იკმარებს პეტრე ხარისჭარაშვილის მიერ კონსტანტინეპოლში 1861 წელს დაარსებული ქართული კათოლიკური ეკლესია თავისი ქართული რიტით, სასულიერო სასწავლებლითა და სტამბით. ქართველ კათოლიკეთა ნაწილი მაინც გასომხდა. ეს მოხდა ჯავახეთში, სადაც 1830 წელს თურქეთიდან გადმოსახლებული სომხები დასახლდნენ. სომხურმა ენობრივ-ეთნიკურმა გარემომ, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. აქ ქართველი კათოლიკეები გადმოსახლებული იყვნენ არტაანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან (სოფლები ური და ველი). სიმართლე რომ ვთქვათ, საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა მათი თანდათანობითი გასომხება, რადგან გაუხსნეს სომხური სკოლები და სომხური გვარებიც მიაკუთვნეს. ცარიზმის დროს ისინი ორენოვანნი იყვნენ (თურქული და ქართული) და სომხური, საერთოდ, არ იცოდნენ. კარგად ახსოვდათ თავიანთი ქართული გვარები. გიორგი ბოჭორიძე, რომელმაც აქაურობა მოიარა, XX საუკუნის 20-იან წლებში, წერდა: *„კარტიკამი, ხულგუმო, ბავრა და ტურცხი, ესენი არტაანის ოლქის სოფ. ურიდან გადმოსული არიან 1828 წელს. ქართველი კათოლიკეები. ისინი გამაჰმადიანებული არ არიან"* *(ბოჭორიძე 1992: 148).* ნიკო ბერძენიშვილი 1930-იან წლებში აღნიშნავდა: *„ხულგუმოში თურქულად მოლაპარაკე კათოლიკური სარწმუნოების მოსახლეობაა. ასეთივეა ბავრა, კარტიკამი და, როგორც გადმოგვცეს, ტურცხი. სომხურს ესენი ეხლა ითვისებენ. ... 35-ოდე ყმაწვილი ახალქალაქის ქართულ შვიდწლედში ... სწავლობს და ამიტომაც თავს ქართველს უწოდებენ. სოფელში სომხური სკოლაა გახსნილი და სომხურად მოსწავლენიც თავს სომხად აღიარებენ. ... ჩვეულებრივ ისინი თავის თავს ფრანგებს* („ფერენგ") *უწოდებენ"* *(ბერძენიშვილი 1964: 53, 107, 109).* ამ სოფლების მკვიდრთა ქართულ წარმომავლობას 1886 წლის საოჯახო სიებში დაფიქსირებული გვარ-სახელებიც ადასტურებენ: ხუციევი, ილიაძე, ოქროევი, ელიზბაროვი, გაბოევი, ჩეჩელოვი, გინოევი, გეორგიევი... *(სცსსა 254-3, საქ.N 1881, 1892)*

1886 წლის საოჯახო სიებში მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ახალციხის მაზრის ქართველი კათოლიკეების შესახებ. ქართველ კათოლიკეებში აშკარად გამოიყოფა სამი ტიპის გვარ-სახელები: 1. ქართულფუძიანი, 2. სომხურფუძიანი და 3. თურქულფუძიანი. საერთოდ, ეს გვარები, უმეტეს შემთხვევაში, - ოვ (- ევ) სუფიქსებითაა გაფორმებული. „ნაროდნოსტის" გრაფაში ყველას მიწერილი აქვს „ქართველი", სარწმუნოება – სომხურ-კათოლიკური, საოჯახო ენა - ქართული. ქართული ძირებით არიან: *ნებიეროვი, დათებოვი, გოკიელოვი, დავლაშერიძე, ზაზაძე, ბეთანოვი, ბალახაძე, ბერიძე, ვარძიელოვი, კაჭკაჭოვი, ფირალოვი, მეფისოვი, მესარკოვი, მომცინარიძე, ფეიქაროვი, ხარისჭაროვი, ხუციანოვი, მაისურაძე, მესარკოვი, ხმალაძე...* არაქართული ძირებით: *კევორკოვი, ნაზაროვი, ხოჯევანოვი, აკამოვი, სეხპოსოვი, ხითაროვი...* სომხური ძირებით ქართველ კათოლიკეთა გვარ-სახელების წარმოქმნა დაკავშირებულია იმასთან, რომ ისინი სომხურ კათოლიკურ ეკლესიას ექვემდებარებოდნენ და არა ლათინური რიტისას. ეს კი ქართველ კათოლიკეთა წრეში ჯერ სომხური სახელებისა და შემდეგ სომხურძირიანი გვარ-სახელების გავრცელებას იწვევდა *(XIX საუკუნის მანძილზე მესხი მოღვაწეები ივანე გვარამაძე, მიხეილ თამარაშვილი და სხვები იბრძოდნენ სომხურის ლათინური ტიპიკონით შეცვლისათვის – კუტალაძე, ჟუჟუნაშვილი, ტალახაძე 2007: 206-313).* საოჯახო სიების მიხედვით, ქალაქ ახალციხის გარდა, სომხური კათოლიკური ტიპიკონის მიმდევარი მოსახლეობა გვხვდებოდა სოფლებში: *არალში, ვალეში, უდეში, ვარგავში, ხიზაბავრაში.* ოფიციალურად გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით ხიზაბავრის მოსახლეობა *(137 კომლი, 1.274 სული)* სომხებადაა დაფიქსირებული *(კრებული... 1893).* 1886 წლის საოჯახო სიების დედნის მიხედვით კი, ხიზაბავრას მოსახლეობა ქართველი კათოლიკეები იყვნენ *(სცსსა 254-3-2064, გვ. 1-166).* ზოგიერთ ქართველ კათოლიკეს გამოკვეთილად სომხური გვარი ჰქონდა, მაგრამ საოჯახო სიების დედნებში მათი ადრინდელი ქართული გვარებიცაა ფიქსირებული. მაგალითად, სოფელ უდეში მცხოვრები *კაზაროვების* ადრინდელი ქართული გვარი *გზირიშვილი* ყოფილა, *ნარიმანოვებისა – აბულაძე, ყულიჯანოვებისა – პეტრეშვილი, ბუხიევებისა – გრიგოლაშვილი, ვართანოვებისა* და *ბაღდოევებისა – აბულაძე* *(სცსსა, 254-3-1852, გვ. 52-189).* ახალციხელი კათოლიკე ვართანოვების ადრინდელი გვარი კი ჯავახელი ყოფილა, გალუსტოვისა – აჭარელი *(სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N 281, გვ. 377, 380),* მირაქოვისა - ბერიძე *(1850 წლის აღწერა, სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. N 2070).* სამცხეში ქართველ კათოლიკეებს თურქულფუძიანი გვარებიც ჰქონდათ. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ *ჩილინგარიშვილები* (ადრინდელი გვარი *ვარდიძე*), *ყაუხჩიშვილები* (ძირი-გვარი *დარდაგანიძე*), *პარმახსიზაშვილი* (ძირი-გვარი *ვანაძე*), ისკანდერიშვილები (ძირი-გვარი კიკნაძე). 1932 წელს ვალეში სულ 400 კომლი ცხოვრობდა. „ამათში ქართველი კათოლიკეები – 250 კომლი, ქართველი მართლმადიდებლები – 60, ქართველი მაჰმადიანები – 90 კომლი. ქართველ მაჰმადიანთა გვარები: ჭავჭავაძე – 2 კომლი, ამილახვარი – 3 კომლი, ბოჭოშვილი – 5 კომლი, ჩიტაძე – 2 კომლი, ბერიძე – 7 კომლი, ნადირაძე (ტირილანთები) – 6 კომლი, კაპანაძე" *(ბოჭორიძე 1992: 160).* ნადირაძეთა „ჩამომავლები ქართველი მაჰმადიანებიც არიან და ქართველი მართლმადიდებელნიც" *(ბოჭორიძე 1992: 161).* გ.ბოჭორიძეს გულმოდგინედ გადმოუწერია ახალციხელ ქართველ კათოლიკეთა საფლავის ქვების ეპიტაფიები, რომლებიც ძირითადად XVIII საუკუნის ბოლოთი და XIX საუკუნის დასაწყისით თარიღდება. ყველა ისინი ქართულ ენაზეა შესრულებული *(ბოჭორიძე 1992: 168-178).*

„ახლანდელ ჯავახეთსა და ახალციხის მაზრაში სულ ქართველ კათოლიკეთა რიცხვი 1901 წელს იყო 6.408 სული ორივე სქესის. ქართველი კათოლიკენი, რაღა თქმა უნდა, წმინდა ქართული ენით ლაპარაკობდნენ, მხოლოდ საშინლად შეუბღალავათ წმინდა ქართული სახელები და

გვარები სომეხ კათოლიკეთა ეკლესიის აღსარების ზეგავლენით“ (*ფრონელი* 1991: 43).

„ზოგ ქართველ კათოლიკეთა სამრევლოს მოძღვრებად ჰყვანან მკვიდრი სომეხნი, რომელთაც ჩიქორთული ქართული მრევლში შეუსწავლიათ. წირვა-ლოცვა და დანარჩენი ღვთისმსახურება სომხურადაა. ოფიციალურად და სხვა საბუთის ქაღალდებში იწერებიან ასე: სომეხი კათოლიკე, ეს ოფიციალური ტერმინი აღმნიშვნელია ქართველ კათოლიკეთა სარწმუნოებისა, ანუ აღსარებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, სარწმუნოების აღმნიშვნელი ტერმინი ეროვნების და წარმომავლობის აღმნიშვნელად გარდაიქმნა. მდაბიო ქართველ კათოლიკეს რომ ჰკითხავ, ვინა ხარო? გიპასუხებთ – სომეხი კათოლიკეო. თუ წყრომის, ან გაჯავრების კილოთი ჰკითხე, რას მიედ-მოედები, მამა-მამით ქართველი იყავ და სომხად როგორ გადაკეთდიო? მორცხვი პატარძალივით თავს ჩაღუნავს და მოკრძალებით გიპასუხებს: დიახ, ამბობენ, რომ წინათ ჩვენი მამა-პაპანი ქართველები ყოფილანო“ (*ფრონელი* 1991: 43).

სომხური და თურქული ძირებით წარმოდგენილი გვარ-სახელები მეორეული მოვლენაა და ყველა ასეთ გვარ-სახელს თავდაპირველი ქართული გვარი უეჭველად ჰქონდა. მაგალითად, ხითარიშვილების (ახალციხე, ვალე) ერთი შტოს ძირი-გვარი თამარაშვილი ყოფილა, მეორესი – ნანობაშვილი, გოზალიშვილებისა – კოჭიბროლაშვილი. 1886 წლის აღწერაში ქართველ კათოლიკეთა სომხურძირიან გვარ-სახელებს ადრინდელი, თავდაპირველი ქართული გვარებიც აქვთ მიწერილ-მითითებული. მაგალითად, ქართველი კათოლიკე ყაზაროვების (ყაზარაშვილების) ძირი-გვარი გზირიშვილი იყო, ვართანოვებისა და ბაღდოევებისა – აბულაძე... ცხადია, შეუძლებელია „ქართულენოვანი სომეხი კათოლიკე“ უწოდო, სომხური წარმომავლობა ამტკიცო ისეთი გამჭვირვალე ქართული გვარებისა, როგორებიცაა: *ნებიერიძე, გოკიელი, ვარძიელი, ბეთანიშვილი, ბერიძე, მეფისაშვილი, ხუციშვილი, კაჭკაჭიშვილი, ნადირაძე, ჩიტოშვილი, გაბელაშვილი, ბეჩიტაძე, ბალახაძე, ზაზაძე, ჩილაშვილი, აბულაძე, შემაბერიძე,* რომლებისაც სომხურ-კათოლიკურმა ეკლესიამ მათი ქართული წარკათოლიკეს ხარისჩაროვს (ხარისჭარაშვილს) 1886 წლის აღწერაში მიწერილი აქვს: „მღვდელი, ცხოვრობს კონსტანტინეპოლში“, იობ თომას ძე ხითაროვს (ხითარიშვილს) – „ბერი. იმყოფება კონსტანტინეპოლში“ (*სცსსა* 254-3-1831). მეორე ხითარიშვილი კი გამოსულა სომხურ-კათოლიკური ეკლესიის დაქვემდებარებიდან, რომელსაც სარწმუნოების გრაფაში „რომაულ-კათოლიკური“ უწერია. ასეთები სხვებიც იყვნენ (მაგალითად, ასტვაცატუროვი, რომელსაც ეროვნების გრაფაში „ქართველი“ უწერია, ენის გრაფაში – „ქართული“, სარწმუნოების გრაფაში კი – „რომაულ-კათოლიკური“. იგივე შეიძლება ითქვას ტიტიკოვზე, ვარლამოვზე, ბეზირგანოვზე, მაისუროვზე, ყანდინოვზე, ჩარუხჩევზე). აღსანიშნავია, რომ 1817 წლის გორის აღწერაში შეყვანილია ქართველი კათოლიკე პავლე სიმონიშვილი, რომელიც გადმოსახლებულა „ახალციხის საფაშოს სოფელ არტანუჯიდან“ (*სცსსა* 254-1-540, *გვ.* 100). აქვე ცხოვრობდნენ ზუბალოვები/ზუბალაშვილები, ბეჟანოვები/ბეჟანიშვილები, ფირიევები/ფირიაშვილები, ფარემუზაშვილები, მამულაშვილები, მებურნუთიშვილები, ჯულაბაშვილები, ულუპიაშვილები... აღნიშნულ წელს გორში ქართველ კათოლიკეთა რაოდენობა სულ 131 სული იყო. ახალციხელი კათოლიკე ქართველების უმრავლესობის გვარები აღწერის დავთრებში რუსული სუფიქსებითაა ჩაწერული, მაგალითად, *ფიროევი, ნებიეროვი, დათებოვი, ზაზაევი, სადათიეროვი, გოკიელოვი, ბალახოვი, ბეთანოვი, ფეიქაროვი, ვარძიელოვი, მესარკოვი, ობოლოვი, ჩილინგაროვი, გრძელოვი, თამაროვი, მჭედლოვი, ლალებოვი...* ზოგიერთი კი ქართული გვარით – *მაისურაძე, თეთრაძე/თეთრაშვილი, ჩილაშვილი, მანანაძე, ზაზაშვილი, მონასელიძე, ბეჩიტაძე., ხიზაბავრელი...* არის შემთხვევები ქართველ კათოლიკეთა გვარ-სახელების -ეთ სუფიქსით ჩაწერისა (ისე, როგორც ადგილობრივები გამოთქვამდნენ). შეიძლება დავასახელოთ უდელი *გიგო პეტრეთი, მიხაკო პეტრეთი და პეტრე პეტრეთი, აგრეთვე ანტონ გულიჯანათი, სერო ჩილათი.* XVIII-XIX საუკუნეების მიჯნის ახალციხის კათოლიკეთა საფლავის ქვებზეც ეპიტაფიებზე მიცვალებულთა გვარები ძირითადად -ეთ (-ათ) სუფიქსითაა გაფორმებული *ახალი ნაკადი შეემატა*“ (*ლომსაძე* 1997: 33).

გაკათოლიკების საინტერესო ფაქტს ეხება 1775 წლის არზა: *„ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს გორელს ამილახვრის მიკედლებულს მეჩითე თამაზას. მე მკუიდრი იმერელი ვარ. მამაჩემს ათი წლისა გაუსყიდნივარ ახალციხეს თათარზედ, თათრისაგან ერთმა ფრანგმა დამიხსნა და თავის სარწმუნოებაზედ ფრანგათ გამზარდა. მერე აზატი მიყო, ქართლში ჩამოველ და ქრცხინვალს ფრანგი ქალი შევირთე. მაგრამ იმ ჟამად პატრები ექსორიანნი იყუნენ და სომხის ტერტერამ დამწერა ჯვარი. მას აქეთ გორსა ვდგევარ და ფრანგის სარწმუნოებაზედ ვიმყოფები*“ (*ქსძ* 1981: 305-306). ამ საბუთით „ფრანგებს“ ცხინვალშიც უცხოვრიათ და ჯვარისწერის საშუალება არ ჰქონდათ, რადგან პატრები ექსორიაქმნილნი ყოფილან.

1886 წლის საოჯახო სიებით თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ერთად სომხურ-კათოლიკური სარწმუნოების 4.554 სული იყო აღრიცხული. ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა 2% იყო, დასავლეთ საქართველოში – 0,97%. უმნიშვნელო პროცენტულ რაოდენობას შეადგენდნენ რომაულ-კათოლიკური სარწმუნოებისანი: თბილისის გუბერნიაში – 0,46%, ქუთაისის გუბერნიაში – 0,07%.

ქართველი კათოლიკეები მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ქართულენოვანი ტიპიკონისათვის იბრძოდნენ. ამ ბრძოლის ერთი ნაწილი იყო სტამბოლში 1859 წელს ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის დაფუძნება. სამართლიანადაა შენიშნული, რომ პოლიტიკური მოსაზრებებით გაკათოლიკებულ ქართველობას თავისი „ტომობრივი მიზიდულობა“ არ შეუცვლია და არც სხვათა მიერ თავზე მოხვეული ტიპიკონების მიხედვით თავისი ეთნიკური ვინაობა არ უარუყვია“ (*ლომსაძე*: 1997: 103). ქართველი კათოლიკეები სომეხი ავტორების თეზისს („ისტორიულად არ არსებობდნენ ქართველი კათოლიკენი. ვინც თავს ქართველ კათოლიკედ აცხადებდა, მათ ქართული ენის გამო დაიბრალეს ქართველობა“; სომეხები ყველაფერს „ლათინის პატრებს“ აბრალებდნენ, რომლებმაც თურმე *ბი და ათასი კიდევ სხვანი?*“ (*ლომსაძე* 1997: 114). ქართველ კათოლიკეთა ეროვნული უფლებების აღდგენისათვის ბევრს იბრძოდა მამა მიხეილ ვარძელაშვილი/ვარძიელი (1854-1913), რომლის მიერ შეგროვებული შემოწირულობებით 1898 წელს აიგო ხიზაბავრის კათოლიკური ტაძარი. ქართველ კათოლიკეთა ეთნიკური ცნობიერების მაღალი დონის გამომხატველია უდის კათოლიკური საყდრის წარწერა: „უდეს არის კათოლიკეები **2120** სული მაშენებელნი ამა საყდრისა. მაჰმადიანები **520** სული, ორივე ტომით ქართველნი“.

ირკვევა, რომ გვიან შუა საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში კათოლიკობის გავრცელებას გარკვეული წინააღმდეგობა ხვდებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით სომხები გამოირჩეოდნენ. ეს კარგად ჩანს XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის დონ პიეტრო ავიტაბილეს მიერ რელაციონში ნიკიფორე ჩოლოყაშვილის (ირბახის) სიტყვებით, რითაც მას როსტომ მეფისადმი მიუმართავს: „ყოველ დღე ჩვენი თვალებით ვხედავთ, რომ ქართველები სომხდებიან და უმრავლესობა კი თურქდება... განა რატომ არ უნდა მიიღოს კაცმა ფრანკობა?“ (*ავიტაბილე* 1977: 66).

საინტერესო მონაცემები გააჩნია ქართველი კათოლიკეებზე ფრანგ ავტორს პოლ გიბალს, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა 1818-1819 წლებში. ქუთაისში მას კაპუცინმა ბერებმა უმასპინძლეს. იმ დროს იტალიელი მისიონერები მღვდელთმსახურებას მცირე ეკლესიაში ატარებდნენ, რომელსაც ბერები საკუთარი თანხით აშენებდნენ. წმიდა მამების საქმიანობა, ქადაგებასთან ერთად, ხალხის მკურნალობაც ყოფილა. აღნიშნავს: როდესაც ქუთაისელ კათოლიკეებს ეკითხები, თუ რა ეროვნების არიან, პასუხი ასეთია - კათოლიკეები. მათი რაოდენობა უმნიშვნელოდ იზრდება და არიან უმეცრები. ქუთაისელი კათოლიკეების რაოდენობას სამასი კაცით განსაზღვრავს. ფრანგი, იმასაც აღნიშნავს, რომ ქუთაისში მყოფმა კათოლიკე მღვდელთმსახურებმა ცუდად არ იციან სომხური და თურქული ენებიო, რაც იმ დასკვნის საშუალებას გვაძლევს, რომ იტალიელი კათოლიკე მღვდლები საქართველოში ოსმალეთის იმპერიიდან შემოსულებად მივიჩნიოთ. XIX საუკუნის 10-იან წლებში

# XIX საუკუნის რუსული აღწერებით

მომავლობის დაფარვისა და ქართული გვარის ფორმის, შინაარსისა და ჟღერადობის დაკარგვის მიზნით, გვარ-სახელების მაწარმოებელი ქართული სუფიქსები რუსული სუფიქსებით შეუცვალა.

1850, 1860 და 1873 წლების აღწერის დავთარებში ახალციხიდან ქართველ კათოლიკეთა მიგრაციაცაა დადასტურებული. ახალციხეში აღრიცხულთ მიწერილი აქვთ, რომ გადასული არიან საცხოვრებლად ქუთაისში. თითოეულ ოჯახს ქუთაისიდან გადასახლების დროც აქვს მიწერილი, მაგალითად, „**15** წელია იმყოფებიან ქუთაისში“ (7 კომლი), „**32** წელია იმყოფებიან ქუთაისში“ (3 ოჯახი), „**19** წელია იმყოფებიან ქუთაისში“ (2 კომლი)... 1860 წლის აღწერაში ქუთაისში გადასახლებულთა სულ 22 კომლია აღრიცხული. 1873 წლის აღწერის დავთარში ქალაქ ქუთაისში (აგრეთვე ბათუმში) შემდგომი მიგრაციული პროცესებია დაფიქსირებული – ეს პროცესი 1870-იანი წლებიდან მოყოლებული XX საუკუნის დასაწყისამდე გრძელდებოდა (*სცსსა, ფ.* 254, *ან.* 3, *საქ.* N 281). ქართველი კათოლიკეები კონსტანტინეპოლშიც მიგრირდებოდნენ (*სცსსა* 254-2-243, *გვ.* 453-461). ახალციხელ ქართველლი: *„ყაუხჩიანთ აკოფას ძე ანტონი“, „ქაჩუხაანთ მათოსას მეუღლე“..., „კრუხიჭამიანთ ყაზარას ქალი...“, „მაქანდარაანთ პოღოსას მეუღლე...“, „ყაუხჩიანთ სტეფანეს მეცხედრე მაგთარინა“, „გოგინათ სტეფანეს ძე მელქონაი“, „მეფისათ პავლეს ასულის რისიმესი, მჭედლიანთ ლუკას მეუღლის“, „ბეთანათ რძალი იელე“, „მოლოზნან პოღოსას ქალი და მეუღლე ჩახალათ ოსეფასი ანა“* (*ბოჭორიძე* 1992: 166-174, 51-53). ირკვევა, რომ ყმა-გლეხები ჰყოლია გორის კათოლიკურ ეკლესიასაც. ხსენებულ აღწერაში ამ ეკლესიის ყმებად არიან მოხსენიებული კათოლიკე ქართველები: *ფარემუზაშვილი, მამულაშვილი, მებურნუთიშვილი* (*სცსსა* 254-1-540, *გვ.* 84). უნდა ითქვას, რომ გორში კათოლიკედ მონათლულთა შორის ეთნიკური ოსების ორი კომლიც იყო (*სცსსა* 254-1-540, *გვ.* 100).

XIX საუკუნეში თბილისში კათოლიკე ქართველები ძირითადად სოლოლაკის უბანში ცხოვრობდნენ. ისინი ჯერ კიდევ რუსების მიერ სამცხე-ჯავახეთის შემოერთებამდე იყვნენ გადმოსახლებული. *„სამცხე-ჯავახეთის შემოერთების შემდეგ ძველ „სოლოლაკელებს“ ხიზაბავრელთა* გადაიბირეს და ქართული ძალით ასწავლეს და სომხური დაავიწყეს) ებრძოდნენ და მათ „არგუმენტებს“ სიმართლეს უპირისპირებდნენ. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მ. თამარაშვილი, ივ. გვარამაძე... ერთ-ერთი მათგანი ასე წერდა: *„... სომხის კათოლიკები ჯერ სად იყვნენ, რომ საქართველოს მკვიდრ კათოლიკებს წირვა-ლოცვა თავის დედაენაზედ ქონდათ. ამას დღესაც ამოწმებენ მათ ეკლესიებში აქამდე შემონახული ქართული ხელნაწერი ლოცვები, წირვები და მთელი მათი ისტორია. დღესაც ოჯახს ვერ ნახავთ ახალციხის მკვიდრ კათოლიკებში, ძველისძველი ქართული ხელნაწერი ლოცვები ხელში არ ეჭიროს და არ ლოცულობდეს ეკლესიებში, რომელთა გვარტომობა მუდამ ქართული ყოფილა. ... ესეც არ იყოს, ენის გარდა რა ვუყოთ ჩვენს განსხვავებულ ზნე-ხასიათს, ჩაცმულობას, იერს, ჩვენს გვარებს. მაშ ვინ არიან თუ არა ქართველები ეს: ბაქრაძეები, თამარაშვილები, გაბაევები, თარხანოვები, ათაბეგოვები, ხუციშვილები, მოცოშვილები, წალდაძეები, ომიაძეები, შემაბერიძენი, ჭონაშვილები, ანდრონიკაშვილები, ჯაყელები, ზუბალაშვილები, ისარლიშვილე*იტალიელი კაპუცინები მოღვაწეობდნენ ქალაქ გორშიც, სადაც ასევე ერთი კათოლიკური ეკლესია ყოფილა (*პოლ გიბალი* 2017: 320).

დასასრულს ერთი უცნობი საისტორიო ფაქტის შესახებ. მოგვიანო პერიოდში ქართველი კათოლიკეები მოგვევლინენ ქრისტიანობის ამ მიმართულების ერთგვარ დამცველებადაც. 1922 წელს სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა სავანემ დაბეჭდა ვინმე მხედრის წიგნი „ქართველო ქრისტიანებო შეერთდით“ (2014 წელს გადმომცა სტამბოლში მცხოვრებმა ტუფან ლომინაძემ, რომელმაც ის იტალიელი ბერების მიერ წიგნების დაწვას გადაარჩინა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეზოში). წიგნს ქართული ქრისტიანული აზროვნების შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს და ის გამოცემას იმსახურებს. წიგნის წინასიტყვაობის ბოლო ასე მთავრდება: „ნეტავ წარსულმა გაკვეთილმა თავისი ნაყოფი გამოიღოს და ახლო მომავალში, ყველა მორწმუნე ქართველებს თავი მოგვიყაროს „ერთსა, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაში“, რათა, გაერთიანებული ძალით, ახალი სული ჩავუდგათ გაპარტახებულ საქართველოს“.

## ეს შენ ხარ, შენ ხარ...

*(ასპინძის სიახლოვეს გაშენებულ მესხურ ვაზს)*



**კახა ყავრელიშვილი**

ნუთუ ეს შენ ხარ, ნუთუ ეს შენ ხარ?
იქნებ წარსულის მართლა ლანდი ხარ,
თუმცა, რას ვამბობ, აწმყო ხარ, აწმყო,
შენი არსობით მსურს ვიამაყო.

მოვედი, შეგხვდი და მოგეფერე,
მესხური მზით და მიწით ნაფერებს,
გადარჩა მესხი თავისი ვაზით,
მესხურ ტერასებს დღეს დავუზავდი.

მოვედი, განხე, ძარღვებში ტალღა
სისხლის აგორდა ალმა და დალმა,
გიცანი, შენ ხარ, შენი ჭირიმე,
მესხურო ვაზო – აღარ ვტირი მე.

ეს შენ ხარ, შენ ხარ, მესხურო ვაზო,
ლხინის მომტანო, ასულო ნაზო,

„მესხურო მწვანევ“ და „ხარისთვალო“,
თქვენი ცქერით მსურს თვალი დავღალო.

„სამარიობოვ“ და „როკეთულავ“,
მესხის მარჯვენამ კვლავ გიერთგულა, –
„ცხენის ძუძუს“ და „მესხურ საფერავს“
ხელი მოვხვიე მოსაფერებლად.

ეს შენ ხარ, გიცან, კვლავ კლერტმაგარო,
არ ვიცი ნეტავ რას შეგადარო.
საოცრება ხარ „ახალციხურო“,
შენ იდღეგრძელე, ვაზო მესხურო.

„თეთრ ბუდეშურას“ და „საფარულას“
მზე ეფერება ჩემგან მალულად,
როცა მის სხივი კრთება და დნება,
მესხური ვაზის ფოთლებს ადნება.

გაიზრდება და მტევანი ვაზის –
წითელი, თეთრი, საწნახელს დაღლის,
ქვევრში მესხური ჩადგება ღვინო,
„მამლი მუხასა“ მსურს ვილიღინო.

ეს შენ ხარ, შენ ხარ, მესხურო ვაზო,
დიდო იმედო, ასულო ნაზო,
არა წარსული, აწმყო ხარ, აწმყო,
მარადჟამს შენით მსურს ვიამაყო!

ჯავახეთი მესხეთის აღმოსავლეთის ნაწილს შეადგენს. ამას საზღვრავს აღ. წალკა, ანუ ჯავახეთისავე მთა; დას. ახალციხე ერუშეთი; სამხ. ლორი, ანუ პალაკაციოს ტბა და ჩრდ. თრიალეთის მთა, ანუ ქართლი ჯავახეთის (სივრცე. აღ-ად. დას-დე 35 ვერსია, ხოლო სამ.-დან ჩრდ-დე 30 ვერსი, მთელი ეს მიდამო ვაკე, უტყეო მინდორია, რომელსაც ერთ ჩირგვსაც კი მოკლებული არის; შუა ცენტრზე კი, თითქოს განგებითაო, სვეტივით აღმართულია თვალუწვდენი, მეტათ მაღალი კონუსის მგზავსი მთა „აბულათ“ წოდებული, რომლის უზენაესი მწვერვალი სრულს თერთმეტს თვეს თოვლით მოსპეტაკებულია; მკათათვის ნახევრიდან მარიამობისთვის ნახევრობამდის.

„აბულის მთა“ 10,820 ფუტით მაღლა ძევს ზღვაზედ. აქედან 12 ვერს მოშორებით სამხრეთ დასავლეთისკენ, თაფარავნის ულრმეს ხეობას თავზედ, მარჯვნივ, გაშენებულია პატარა და ლამაზი ახალქალაქი, 5000 მცხოვრებლით, რომელთა შორის 100-მდე ქართველია, 40-მდე ებრაელი და დანარჩენი კი სომეხი.

„აბულის მთა“ წვერვალს დაბლა, მეორე ნაყარს წვერვალს შენიშნავთ მცირე აბულათ წოდებულ მთას, რომლის წვერზედ, განგებით ტბა და უზარმაზარი ლოდებით ნაგები შენობა ყოფილა, რომელსაც ქოროღლის[1] ციხეთ გადმოგვცემენ.

ელი რყევაც მოჰყვა მას. ერთი წამი მის ფთებზედ, რამდენიმე სოფელი ისე დააქცია, რომ ქვაქვაზედ აღარ დატია. მცხოვრებნი თავიანთი ქონებიან და ოთხფეხცხოველებ-ფრინველებიან ბევრი ქვეშ მოჰყვა; რომელთა შორის ამოთხრის შემდეგ ბევრი დახოცილი აღმოჩნდა ადამიანთაგანი და ცხოველებთაგან კი მრავალი. იმსხვერპლა 200-მდის ადამიანი. გადარჩენილნი დიდ თოვლ-ყინვაში გარბოდნენ შეშინებულნი მახლობელ გადარჩენილ სოფლებში, იქ შესახიზნელად. სურათი საშინელი იყო.

საშინლად დაასახიჩრა შემდეგი სოფლები: თოკ-სამსარი, ეხტილა-სამსარი, მერენია ჯანლა და ბულაშენი. სუბუქათ დააზიანა: ბარალეთი, რქათ... ველთა შორის და თითო ოროლა შენობა ხომ ყველა ჯავახეთის სოფლებში დააქცია (სომეხთა შორის).

გეოლოგიის გამოკვლევით, აბულის მთის წვერვალს თურმე კიდე მოელის რამოდენიმე საუკუნოებით შეჩერებულს, ცეცხლის ფრქვევის განახლება, რომელიც შეიძლება სულ მალე მოხდესო და ამის წინამორბედ ნიშნებათ აწინდელი მიწის ძვრის დროს, იქითგან გამოგრგვინავი გუგუნი და თითქმის ორი კვირის განმავლობაში მალმალი რყევა აღნიშნეს. ამიტომ დანაქცევი სოფლების აღდგენის ნება აღარ მისცეს გადარჩენილ მკვიდრთა და სხვაგან უშიშარო მხარეს დაასახლეს.

# ჯავახეთი

## ეთნოგრაფიული წერილი



ძველი ოდა
ფოტოები კუკური მეტრეველისა

ეს ციხე საკმაოთ დიდი ყოფილა და ნაბაგარებიც ეტყობა, თურმე ქოროღლის საუკეთესო ცხენების საბანაოთ, რომელთა შორის „ყირი“ და „არაბა“ (ცხენებია) სანაქებო ყოფილა. სამხრით „აბულის მთას“ (ჩრდილოეთის მთას) მიებჯინება უზარმაზარი და მოგრძო მთა „გოდორათ“ წოდებული, რომელიც თრიალეთ-ბაკურიანის მთის შტოებს უერთდება ათიოდე ვერსის გაგრძელებითა.

„აბულის მთის„[2] აღმოსავლეთით, 10-ოდე ვერსის სიშორეზედ, თავფარავნის ტბა ძევს, რომელიც საღამოს ტბას უერთდება თაფარავანის მდინარეთა, 10-ოდე ვერსის სიშორეზედ.

„აბულის მთა“ დიდ მნიშვნელოვანია არამც მარტო ჯავახეთისთვის, არამედ ჯავახეთის გარეთისათვის, რადგან მის ბუმბერაზს მწვერვალზე ატყობენ ჰაერის ცვლილებას და მით ასრულებს ის მთა მეტეოროლიგიურს ობსერვატორიობას, მაგ., ეს წვერვალი თუ ხან დაყოვნებით მოშავო ღრუბლებმა მოიცვა, იმ დღეს გაწვიმდება იმ არე მარეში, საიდანაც კი მოჩანს იგი, ეს თვით მეც შემინიშნავს ჯავახეთში, ნათელმა ღრუბლებმა თუ დაჩდილა მწვერვალი, აღნიშნავს საეჭვო დარს. თუ მოწმენდილია, მაშინ დარებია. ასეთსავე ობსერვატორიობას სწევს დასავლეთიდან მისი მოპირდაპირე „საკვირიკო მთა“, რომელიც ახალციხის მხარეს ჯავახეთიდან ასიორონებს მაგ., თუ „საკვირიკო მთის“ წვერები მზის ჩასვლისას თეთრმა ღრუბლებმა დაჩრდილა და იგი მზის სხივებით გაწითლდა, მეორე დილას ქარი იქნება, თუ დაბნელდა, მაშინ კი წვიმა მოელის მეორე დღესა.

ზეპირ გადმოცემით „აბულის მთა“ ცეცხლის მფრქვეველი ყოფილა (ვულკანური). რამდენიმე საუკუნის წინათ, ამ მწვერვალიდან ამოგრიალდება თურმე საშინელი ცეცხლი და შადრევანსავით ამოსჩუხდა თან გადადუღებული ნაცარტუტის ლაფი. ამას კარგად ამტკიცებს დღესაც „აბულის მთის“ კალთებზე იმ დროინდელი ამონასხამი გაყინული ლაფი, ლავა და სხვა ნივთიერებანი.

1899 წლის დიდმა მიწის ძვრამ უკეთ დაგვიმტკიცა, „აბულის მთის“ ქვესკნელიდან საშინელი გრიალი და გუგუნი. მალე ძრი-

[1] შენიშვნა: ქოროღლი უწინდელ დროში ოსმალოს ავაზაკების მოთავე ყოფილა, 3363 კაცი შეიარაღებული ყოლია ქოროღლის, რომელიც ხშირად ფაშებს ეომებოდა ხოლმე და გამარჯვებით გადიოდა ყოველთვის. ამაზედ მთელი რომანებია ქართულს ენაზედ. მეც ბევრი მაქვს მასზედ ხალხური ცნობები, რასაც შემდეგში დავბეჭდავ.

[2] საღამოს ტბიდან 160-დე წისქვილის დასაბრუნებელი წყლები გამოდის სხვა და სხვა ადგილებიდან დაფანტვით და ბოლოს ისევ უერთდებიან თაფარავნის ხეობაში, სადაც მდ. თაფარავანი მორბის. ახლა ახალქალაქის წყალს ერთვის.

ჯავახეთი დასახლებულია ნარევი ერისაგან, სადაც 76.870 მცხოვრები ითვლება, მათ შორის უმეტესი ადგილი სომხებს[3] უჭირავთ და ირიცხებიან 50 000 სული, ორივე სქესი, შემდეგ ქართველთ უჭირავთ სარწმუნოების გაურჩევლად და ირიცხებიან 12 872 სული, მერმე ადგილი თარაქამ-ქურთი 6500 სული, შემდეგ რასკოლნიკები არიან 4430 სული, ებრაელი 120 სული, პროტესტანტი 376 და არა ქრიატიანი სხვა ეროვნებიდან 26 სული.

ჯავახი ქართველები განიყოფებიან სარწმუნოებით – კათოლიკენი 5000 სული, მართლმადიდებელნი 5029 სული, დანაჩენი 2730 მაჰმადიანია.

ჯავახეთის სოფლები, სადაც ხსენებული ქართველები ცხოვრობდნენ, ისე მცირეა, რომ შეიძლება აქვე მათი აღნუსხვა. იხილეთ ცხრილში.

ამათ გარდა ჯავახეთის სოფლები არიან შემდეგნი: ხოსპიო თათ. გოკია თათ. ალასტანი. სომეხთა კათოლიკენი: ვარევანი ს. კა.

ეშტია ს.კ.
კოთელია – ქართ.
ბალანთა – ქართ.
ჩუნჩხა – ქართ.

ახალი გადმოსახლებული სომეხთა სოფლები შემდეგი არიან:

ვაჩიანი. ს.გ.
დილიცკა,
გულიკამი, აბული.
თახჩა, ს. საღამო ს.გ.
კარწახი ს.გ. ულკა ს.გ.
გულიკამი ს.გ. მაჭატია, ს.გ.
ბურნაშეთი ს.გ, ლომატურცხი ს.გ
ჯანჯლა ს.გ, სამსარი ს.გ
ორჯვა ს.გ. არაგუა ს.გ.
მოლითი ს. მოდიგამი,
ხანდო, კაჭო, დიდი და პატარა ჩანდურა,
ოროჯალარი,
ყულალისი, მერენია.
ტირგინა, გომანი,

[3] ჯავახეთში სომხები გადმოსახლდნენ 1828 წ. კარაპეტ ეპისკოპოზის შემწეობით არზრუმიდან, ხოლო თარაქამა ქურთები მათზე ადრე ყარაბოღჩალოდან გადმოსულან ოსმალოს დროს.

| სოფ რიგ. | სოფლის დასახელება | კომლი | მცხოვ-რები | სარწ. | რა ენაზე ლაპარაკობენ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხიზაბავრა | 161 | 2813 | კათ | ქართ. მოლაპ. |
| 2 | ვარგავი | 25 | 150 | კათ. მ. | ქართ. მოლაპ. |
| 3 | ———— | 3 | 41 | კათ. | ქართ. მოლაპ. |
| 4 | ბნელა | 8 | 46 | კათ. მ. | ქართ. მოლაპ. |
| 5 | ———— | 2 | 20 | კათ. თ. | ქართ. მოლაპ. |
| 6 | ხულგუმო | 56 | 510 | კათ.მ. | ქართ. მოლაპ. |
| 7 | ბავრა | 40 | 405 | კათ.მ. | ქართ. მოლაპ. |
| 8 | ტურცხი | 70 | 603 | კათ.მ. | ქართ. მოლაპ. |
| 9 | თითო ხარ. (!) | 50 | 425 | კათ. | ქართ. მოლაპ. |
| 10 | პტენა | 41 | 357 | კათ. | თათრ. მოლაპ. |
| 11 | ვარევანი | 38 | 180 | მართლ.მ. | თათრ. მოლაპ. |
| 12 | ————- | 15 | 80 | მართლ.მად. | თათრულ. მოლაპარ. |
| 13 | კარტიკამი | 130 | 1167 | კათ. | ქართ. მოლაპარ. |
| 14 | სარო | 61 | 70 (?) | მართლ.მად. | ქართ. მოლაპ. |
| 15 | ———— | 2 | 8 | მართლ მად. | თათრ. მოლაპ. |
| 16 | კოთელია | 98 | 717 | მართლ მად. | თათრ. მოლაპ. |
| 17 | ბარალეთი | 64 | 495 | მართლ მად, | |
| 18 | ბალანთა | 35 | 261 | მართლ მად. | |
| 19 | აფნია | 20 | 320 | მართლ მად. | ქართ. მოლაპ. |
| 20 | ჩუნჩხა | 56 | 530 | მართლ მად. | ქართ. მოლაპ. |
| 21 | ქილდა | 68 | 566 | მართლ მად. | ქართ. მოლაპ. |
| 22 | ჭიხარული | 12 | 67 | მართლ მად. | ქართ. მოლაპ. |
| 23 | გოგაშენი | 28 | 24 (?) | მართლ მად. | ქართ. მოლაპ. |
| 24 | ხუმრისი | 1 | 12 | მართლ მად. | ქართ. მოლაპ. |
| 25 | წით. საყდ. | 3 | 17 | მართლ მად. | ქართ. მოლაპ. |
| 26 | აზავრეთი | 68 | 533 | მართლ მად. | ქართ. მოლაპ. |
| 27 | ქ. ახალქ....(!) | 2 (!) | 11(!) | მართლ მად. | ქართ. მოლაპ. |
| 28 | ხერთვისი | 10 (?) | 40 (?) | მართლ მად. | ქართ. მოლაპ. |
| 29 | მარგასტანი | 200 | 2000 | მართლ მად. | ქართ. მოლაპ. |
| 30 | ოკამი | 15 | 80 | მართლ მად. | ქართ. მოლაპ. |
| 31 | კვარშა | 65 | 560 | მართლ მად. | ქართ. მოლაპ. |
| 32 | თოკი | 15 | 80 | მართლ მად. | ქართ. მოლაპ. |
| 33 | ——— | 5 | 40 | მაჰმად. | ქართ. მოლაპ. |
| 34 | შვიდრევანტა | 12 | 67 | მაჰმად. | თათრ. მოლაპ. |
| | სულ | | | 1499 | 12872 |

### ქართული ხელოვნება

*(კუმურდოს ტაძარი ჯავახეთის, სამხრეთ დასავლეთის მხრით)*

ჯავახეთი შეიცავს ახალქალაქის მაზრას, რომელიც ორ საბოქაულოს შეადგენს: ბოგდანოვკის და საბარალეთოს, დაყოფილია 11 საზოგადოებათ (სამამასახლისოთ) და შეიცავს 2454, ოთხკუთ ვერს სივრცესა, ანუ 242, 611 დესეტინას. ჯავახეთში სულ ერთავათ სახნავ სათესი და საბალახო ადგილებია. დაცდენილი ადგილები არაა აქა.

ჯავახეთი. ხოსპიო. სახაზინო და მემამულეების საკუთრებას შეადგენს:

ჯავახეთის მემამულეები ცხოვრობენ თოკში: აბაშიძეები, გოდებაძენი და ხიზაბავრაში, მარგასტანში, ფალავანდიშვილები. დანარჩენები კი ახალციხელები არიან.

აი ჯავახეთის მემამულეებათაც სახელგვარი, რომელნიც ახალციხეში ცხოვრობენ და მასთანავე ახალციხის მემამულეებათაც ითვლებიან: ფეზულ-ნეგ-ათაბაგი, პეტრე ყირქესლიშვილი, იაკობ ორბელიანი, მუსხელოები და ბაიბურთნელი. ჯავახები ბატონებს აძლევენ ათში ერთს ღალასა და საბალახოდან კი ფულათი დაახლოებით 25 კაპ, საქონელზედ და 7 კაპ. თხა-ცხვარ ზედ. ჯავახები, გარდა რამდენიმე (ნახსენები აბაშიძე, ფალავანდიშვილებისა, ე.ი) ბეგებისა და მასთან აღებისა (თარაქამებიდანაც არიან აღები, გოკიაში სულ გლეხები არიან).

საზოგადოდ ჯავახები მეურნეობას მისდევენ, ხვნენ და თესვენ მიწასა, ინახავენ და ამრავლებენ გასაყიდს ფეხმსხვილს და თხა-ცხვარსა. მისდევენ მეფუტკრეობასა და ვაჭრობას კარგად ახერხებენ. მოცლილ დროს კი ჯავახები გარეთაც დაიარებიან სამუშაოდ ბათუმსა, ნავთის ქარხნებში და იმერეთს მიწის სათხრელათ.

ჯავახეთი მთას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ბარსა, რადგანაც მაღლობი მდებარეობა აქვს (ზღვის ზევით 10 820 ფუტია). ზამთარი მეტათ ცივი, სუსხიანი და ხანგრძლივია აქა. სრულს ექვს თვეს სტანს აქეთ ზამთარი, ოქტომბრის ნახევრიდან აპრილის ნახევრამდინ, აპრილის დამლევამდისაც თითქმის ზამთარს შეიცავს ისეთი სიცივეები იცის.

ცივი ჰავის გამო ჯავახეთი მოკლებულია იმ მშვენიერ ბაღების და ვენახების დახატულს სურათსა, რითაც დანარჩენი საქართველოს კუთხეები მოწალკოტებულია. იმოდენა უზარმაზარს, თვალუწვდენს ვაკე მინდორს გახედამ და თვალი ცრემლით გევსება, როდესაც ერთ ჩირგვსაც კი ვერ ხედავთ და მოტიტვლებულია ხელის გულს ვითა.

მტკვრის და თაფარავანის ხეობაში თუმცა მშვენიერი ბაღები და ვენახებია გაშენებული, მარა მცირე ადგილასაა, სულ რაოდენიმე სოფელში: მაგ. ხიზაბავრას, საროს, ხერთვის, შვიდრევანტას, თოკს.

საკვირეველია, ამ ხეობაში ისეთი ცხელი ჰავაა, რომ სათბილ ქვეყნო ხე-ხილიცა ხარობს, მაგ., წირანი, ნუში, ვაზი, ატამი და სხ. მსხალი, ვაშლი და ჭანჭურიც საუცხოვო იცის, მეტადრე თუთა.

თუმცა ჯავახეთის დასავლეთი ნაპირა (საზღვარზედ – აღვწერეთ ხე-ხილიც ხარობს, მეთქი, მაგრამ ჯავახეთი მაინც

უხილო ქვეყნათ ითვლება. ამას ხალხური ანეგტოტიც კარგად ამტკიცებს და ახასიათებს:

„ერთხელ, ერთი იქითა ნაპირის (აღმოსავლეთის) ჯავახი წამოსულა მგზავრათ დასავლეთისკენ და ხიზაბავრის ვენახებში რომ მოსულა, მსხმოიარე კაკლის ხე დაუნახავს, ვაშლი გონებია; მგზავრსა ქვა უტყორცნია და ჩამოუყრევინებია, და რომ გაუკბეჩია დაუმწიფებელი კაკალი და პირი გამოუშხამავს წენგოს, დასწოლია იქვე მომდინარე მტკვარსა პირის გამოსარეცხათ და უთქვამს თავისთვის, რა მწარე ვაშლი სცოდნია აქეთაო“.

ჯავახები თუმცა საზოგადოდ ბაღის ხილს მოკლებულნი არიან, მარა მინდვრის ხილი კი ბევრი აქვთ: მაგ., ღიმი, ატოლი და სხ. ამაზედ შაირიც თქმულა: „ჯავახეთის ხილია, ატოლი და ღიმია, ისიც რომ გამოელევათ, გამოუწყდებათ ლხინია“.

ჯავახებმა, ამ უკანასკნელ წლებში, ბევრგან სცადეს ხეხილის მოშენება და კარგათაც იხარა; გამოიფურჩქნა მშვენიერი ყვავილიდან, დანაყოფდა, დაიზდა, მარა დამწიფების დროს კი უდროვო სიცივეებმა მოუსწრეს და მოუშრიტეს ნაყოფი, იმისთანა დღე დააყენა ვაშლს, მსხალს და ჭანჭურსა...

უდროვო სიცივეში ბოსტნეულზედაც ისე იმოქმედეს, როგორც ხეხილზედ, ამიტომაც ერთსაც და მეორესაც მოკლებულია ჯავახის ხალხი. ნაადრევმა ზამთრებმაც ხომ თვით ჭინახულის აღებასაც შეუშალეს ხელი. მოგეხსენებათ, ჯავახეთში კალო მაშინ იწყება, როდესაც სხვაგან დიდი ხნიდან გათავებულია ეს, და იმ დროს ხილსა ჰკრეფენ და რთველობენ. ოქტომბერში კალო გაჩაღებულია ჯავახეთში. ამის დამლევს კი, ხშირათ თოვლი მოვა ხოლმე; მაშინ მეკალოე ჯავახები ან გაზაფხულისთვის ინახავენ გასალეწათ თავიანთ მჯასა (როდესაც თოვლი ადგება), ან და ძალა უნებურათ წამოხურულს კარაპნებში უნდა გალეწონ და ისე იწვალონ.



უტყეობაც დიდს ზარალს და შეწუხებას აყენებს ჯავახს სახელების სანაშენო მასალას, ის 40-60 ვერსის სიშორეზედ ეზიდება „ოთის ტყიდან“, ხარებითა. საწვავი შეშა ხომ სრულებით არ აქვთ და ხმარობენ წივას.

უტყეობავე ამიზეზებს ჯავახეთს, რომ მდინარეები მცირეა. სულ სამიოდე, თაფარავანის, ორჯვის და ვარევნის წყალი, ორი უკანასკნელი, ისე ჩატარებია, რომ მისი დასახელებაც მეტია აქაურ მდინარეში.

მდინარეებს მოკლებული ჯავახეთი კი ტბებით მდიდარი ქვეყანაა. ამოდენა ტბები საქართველოში სხვაგან არსად არ არის და თევზიც უხვი, კალმახი ბევრი იცის აქ. ტბების გამო, წურბელებიც ბევრია ჯავახეთში, ამათ სარგებელია, ხშირად დასავლეთ საქართველოში ეზიდებიან მას გასაყიდათა.

ჯავახეთის ტბებ შორის შესანიშნავია: წითელი საყდრის ტბა თაფარავნის და საღამოს ტბები, კარწახის ტბა, არმაზის ტბა, ბატების ტბა, ხანჩალის და სხ.

წითელი საყდრის ტბაზე, ზეპირგადმოცემით, უწინ სოფელი ყოფილა, რომელსაც ჩაკოკბილი მდებარეობა ჰქონია. იმ სოფელს, მაღლობზედ წისქვილის წყალი მომდინარეობდა; სადღაც ქმნილა, რომ გადავარდნილა ეს წყალი სოფლისაკენ. პირველი ღამე ყოფილა. გათენებამდი უდენია ამ წყალსა ჩაღრმავებულს სოფელში და კიდეც ამოუვსია და გადახეთქილა თავზე წყალი. ეკკლესიის კოკოლის წვერზედ ვერ აუწევია და ეს წვერი დაკუნძულებულა. ეს კუნძული დღესაც მოსჩანს განაპიროდან რამდენიმე საჟენზე.

თაფარავნის ტბიდან მდ. თაფარავანი გამოდის და ერთვის საღამოს ტბას რვა ვერსზედ და შემდეგ ისიც უშვებს თაფარავანს და 30 ვერსზე დასავლეთისკენ მტკვარს ერთვის, ამის თაობაზე შაირიც არის დარჩენილი: „ავიარე ხერთვისსაო, იქ ორი წყალი ერთვისაო“.

ჯავახეთი თუმცა ურწყავია, მაგრამ კასპიის მხრიდან მომავალი ღრუბლების შემწეობით არ აკლია წვიმები, რასაც კარგი მოსავალი მოჰყავს; ამას ადგილობრივი ნოყიერი მიწებიც ხელს კარგათ უწყობს და ერთნაირად ამრავლებს ჭინახულსა.

ჯავახის საჭმელი ქერი და პურია და ესევე მოჰყავს ადგილობრივ მიწასა ბევრი. ამ 20-25 წლის წინათ, ისეთი მოსავალი იცოდა ჯავახეთში, რო ადგილი არ ჰქონდათ შესანახი მოსავლისა. აი იმდროინდელ დროებში გამოთქმული შაირი ქართულ ანბან დედაენაშიაც ინახება დღემდის:

„მე ჯავახეთს რა მიშავდა, მთვარე იდგა მზესავითა,
კალმახი და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა“.

ჯავახეთის მიწა მეტათ ღონიერია; ფერათ შავი ყამირი და ფხვიერი საგუთნარია. არის თეთრი და წითელი მიწაც, მარა უკანასკნელი მცირეა. გუთნის მუშაობას 4-5 კაცი და 6-7 უღელი ხარ-კამეჩი სჭირია; და დღეში დესეტინა ნახევარ მიწას გაიმუშავებენ (ხვნა-თესვაში).

ჯავახ მამაკაცს მიწის მუშაობაში დედაკაციც ეხმარება და თანაბარს უღელს უწევს მუშაობაში. უღელზედ უჯდება, ის ხარს წინ უძღვება, კეტებით ბულულებს ეზიდება დასაგროვათ. სადილ-ვახშამ უზიდავს მეყანულთა. კალოზედ უჯდება გასალეწათ. ხვავს აწევს არნადით, ანიავებს, ჯვლებს იკიდებს ზურგზედ და სხვ.

ამას გარდა დედაკაცმა ქალის საქმეც უნდა ითაოს ოჯახში. საჭმელ-სასმელი, დახვეტ-დაწმენდა, ჭრა-კერვა, შვილების ზდა და მასთანა. დედაკაცივეა საქონლის პატივის დამხვეტი და გადამყრელი ხარძლებით გარეთ სანაგვეზედ. ძროხებს და თხა-ცხვრის მწველელი და ნაწველი რძის ერბო-ყველად დამმუშავებელი; ერთი სიტყვით, ჯავახ დედაკაცს მამაკაცზედ მეტი საქმე აქვს; არც ზამთარშია მოსვენებული საბრალო ქალი. ახლაც კი, 20-30 სულს საქონელს ხელით წყალი უნდა უზიდოს და ასვას და გალილიან ღამეებშიც იჯდეს უნდა და მატყლ-ბალანს ართავდეს საქსოვისთვისა და ამოდენა საქმის აღმსრულებელი, ნაცვლად იმისა, რომ მამაკაცისგან ღირსეულათ დაჯილდოებული იყვეს გარჯისთვის, ის, პირიქით, დაძაბუნებული და დაჩაგრულია ყველაფერში და ცემა-ტყეპასაც დიდი მოთმინებით ითმენენ; გარდა ამისა, სიშიშვლესაც. წარმოიდგინეთ, მწარე ზამთარში ბევრგან ფეხშიშველასაც ატარებენ ისეთ ოჯახის მუშა ქალს. ამავე სასჯელს თვით რავდენიმე დღის მელოგინეც ეწევა...

საზოგადოთ. ჯავახეთში, მამაკაცს მეტი გავლენა აქვს დედაკაცზე, უფრო მეტადრე, წვერთეთრასი, რომლის ბძანებლობის და მორჩილების ქვეშ უნდა იმყოფებოდეს მთელი ოჯახის წევრი, რომელნიც ხშირათ 20-30 სულს შეადგენს. ერთ უფროსის მეოხებითა, რომ ოჯახობაში ბევრდებიან და გვიანობამდი არ იყრებიან რამდენიმე ძმა, რომელნიც მისი ბძანების ქვეშ მორჩილობენ.

ბოდიშს ვიხდი მკითხველთადმი და აქ მოვიყვან ნიმუშად ჯავახეთის სახლ-ოჯახობის გამგებლობის მაგალითს:

1882 წ. სოფ. ხიზაბავრაში ცხოვრობდა კიდევ ჭარმაკი 70 წლის მოხუცი, ველიჯანათ (ხონხელათ) პეტეი. მოხუცი პეტე მართავდა ოჯახში 47 სულის ბედ-იღბალსა. ამას ორი ძმაც ჰყავდა. ატო 67 წლისა, და აკო 62 წლისა. ცოლ-შვილი სამთავ ჰყავდათ. პეტეს 3 ვაჟი ჰყავდა, მათში ორი დაცოლშვილებული 8 სულიც ისინი. აქ ამათი შვილიშვილები არ გვაქვს ჯერ ამის ანგარიშში, აკოს 5 ვაჟი დაცოლშვილებული, – 10 სული. ასე სამი ძმის ცოლ-შვილს რძლებიან შეადგენს 8 ს.+10 ს= 26 სულს. ამ ოჯახიდან 3 ქალიშვილიც გათხოვილი ჰყავდათ, რომლის ანგარიში არ შედის აქ. 21 ყმაწვილიც ამ უფროსი ძმათა შვილებსა ჰყავდათ, ე.ი. 7 ცოლიანსა შეადგენს 26 ს+21 ს. = 47.

აქ, ისიც უნდა გავიხსენო, რომ ამ ოჯახობაში 5 აკვანი ედგათ. ესენი რადგან ერთს სახლში ვერ მოთავსდებოდნენ, სიმრავლის გამო, ამიტომაც სამს (ერთ მეორის ახლო) შენობაში იდგნენ თვითეული ძმა თავის ჩამომავალი რაიონითა თითო სახლში, ხოლო სმა-ჭამაში ერთათ იყვნენ, წვეულება (თუ ქორწილი) გეგონებოდა.

ქალები ცალკე და კაცები თავისთვის, ჯგუფად დასხდებოდნენ, რომელთაც წინ დიდრონი ფეშხუმები და ზოგს კი ტაბაკი, ლასთები ედგათ სუფრათა, რაზედაც სამი ფუთი პური მაინც უნდა დაეწყოთ, და 12-15 დიდრონი ჯამი სათვითაო კოვზებითა, რომელსაც თითოს სამი-ოთხი უტლაკუნებდა კოვზით თვითეულს ჯამს და სჭამენ შეჭამანდსა, ისიც დაგირჩებათ უმნიშვნელო, იმათი ორყურიანი უშველებელი ქვაბი, რაშიაც 47 სულის შეჭამადის მოდუღებას კისრულობდა ხოლმე ყოველ დღე.

გასაკვირველი აქ კიდევ ის არის, რომ ამოდენა ხიზანში ერთი მეორის წყენა ძმებ შორის, თუ რომლებ შორის, იშვიათი იყო. ყველა ესენი, უფროსი მოხუცი პეტეს, რიხის ქვეშ იმყოფებოდნენ. ყველა მის ბძანებას ვერ გადავიდოდნენ, ვერც ქალნი და ვერც კაცნი ყმაწვილებითურთ.

პეტეს მიენდებოდა, გარდა იმისა რომ მის ბძანების ქვეშ ყოფილიყო 74 სულის გარემოება. მთელი ოჯახის შინაურგარეული მმართველობაც. მაგ. მიცემა საერთო, ხარჯების გაცემა და ვალების აკრეფა. საყიდელი რამ ოჯახისთვის, ნავთი, საპონი და სხ, ფარჩა, რის ცნობას აკო და ატო თავიანთ ნაყარს რაიონებში გაიგებდნენ, თავათ პეტეც თავისაში! იკითხებდნენ რძლებში, ბავშვები თუ ვის რა სამოსი აკლდა და ამ ცნობებით რა გაიგებდა უფ. მმართველი პეტე, ისიც იმ დაგვარ იყიდდა ალიბეზს თუ სამოსელსა და სხ, და ამ გვარათ საერთო მმართველობას უწევდა ოჯახსა.

ატოს მიენდობოდა ყანა, ჭალის თუ ბაღ-ვენახის მოვლა: ამის ხელში იყო, ყოველი მუშა ხარებითურთ და იარაღითა, საჭიროებაში გაეგზავნა, სადაც მოთხოვნილება იქნებოდა.

აკოს კი თხა, ცხვარი და (ძროხა) საზოგადოდ, საქონლის მოვლა მინდობილი ჰქონდა, ამის საქმე იყო მეცხვრეთ, ვინ და საით გაეგზავნა. დაეპარსა თხა-ცხვარი, გაეყიდა თუ ეყიდა ესენი და სხ.

როგორც ატო და აკო თავიანთ ხვედრს საქმის ანგარიშებს პეტეს გადასცემდნენ, რომ მასაც სცოდნოდა საერთო ოჯახში მომხდარი ცვლილებები. და თუ უფროსი პეტე შენიშნავდა რაიმე ნაკლს, გაუსწორებდა ამათ და ისინიც ვალდებული იყვნენ დამორჩილებოდნენ უფროს ძმასა და თვითონ კი უნდა დაემორჩილებინათ თავიანთ ხელქვეითნი წესით ერების შეურყევლობისათვის.

უფროსი მმართველი პეტეს ცოლს მიენდობოდა, ყოველივე საჭმელ-სასმელი, მარანი, ერბო, ყველი, ფქვილი და მისთანობა იყო ოჯახში, რასაც გამოზოგებით ახმარდა მის ოჯახს.

ატოს ცოლს მიენდობოდა მხოლოდ პურის ცხობა თონეში. ეს ადამიანი კვირაში ერთხელ ანთებდა თონეს, ზელდა, რძლების მოხმარებით, ორ ჯამს ფქვილსა. ამოდენა პურს სულ ის ადამიანი აკრავდა გახურებულ თონეში და ამოჰყრიდა ხოლმე, რომელსაც მთელი სახე-პირი დამწვარი ჰქონდა და წურწულით გადმოსდიოდა ოფლი გათენებიდან ვახშმობამდინ. აკოს ცოლს მიენდობოდა მთელი თხა-ცხვრის და ძროხების წველა და ნაწველი რძის დამუშავება ერბო-ყველად. ამისავე ხელი იყო მატყლ-ბანალის შენახვა და საჭიროებაში დამუშავება, მისი ქათამ-ბატის კრუხად დაჯდენა და გამოჩეკილების გაზდაც სულ ამის საქმე იყო. ქონება ამათი ველიჯანათ პეტეს 20 დესენტ. სახნავ-სათესი მიწა ჰქონდათ. 2 დესეტინა ვენახი მტკვრის ხეობაში, 13 სახლი, 300 სული თხა-ცხვარი, 10-13 ძროხა, 2-3 ცხენი, 3-4 ვირი, 4-5 ძაღლი, 3 კატა და 200 ფთაზე მეტი ქათამ-ბატი, 7 - 8 ხბო-ხარი, 6 უღელი გამოზამთრული 7-8.

ჯავახთა ნაწარმოებს შეადგენს: პური (დიკა, დოლი, ჭვავი,), ქერი, სელი (საიდანაც ზეთსა ხდიან), ოტკა (პურისას ხდიან), ერბო, ყველი, მატყლი, ბალანი, თაფლი, სანთელი, ხალიჩა, საჩოხე შალი, წინდა, პაიჭი, ხურჯინი, ფიჩვი, ზეთი, კვერცხი, შინაური ფრინველი და საქონელი, კალმახი, წურბელიც და სხვა.

მოჭარბებულს ადგილობრივსვე ჰყიდიან ჯავახნი ფულზე, ან სცვლიან საჭირო საქონელზედ, ხოლო კვერცხი, ნაქსოვი, წურბელი და ფეხმახვილი საქონელი გააქვთ ადგილობრივ ვაჭრებს დასავლეთ საქართველოში.

ჯავახელების ვაჭრობა დღითიდღე წინ მიდის და სწრაფად ძლიერდება აღებ-მიცემლობა ცვლაზედ მოქმედებს, მაგ. შეტანილ ცოცხს ქერზედ სცვლიან და ამას კი სხვაზედ, გარეთ გატანილს ნაწარმოებს კი ფულზედ ასაღებენ.

ჯავახელები სცხოვრობენ ჯგუფად და არა დაფანტვით, როგორც დას. საქართველოში; სახლებს იკეთებენ ქვა-ტალახისას მიწაში. მათი სახლები დაყოფილია რამდენიმე თვლათ. ახორი და ოდა ერთ თვალშია მოთავსებული, რომელიც გადამკედლილი აქვთ კაცის სიმაღლეზედ ან ძელებით, ან ფიცრით (კაცის სიმაღლეზედ) ზევით კი გაერთიანებული სადგომი და ახორია.

ახორში დაბმული ჰყავთ (ბაგეებზედ) ძროხა და ხარ-კამეჩი (20 სულიდან 40 სულამდე). ხოლო ოდაში თვითონ ხიზანი ცხოვრობს. ასე ადამიანი და საქონელი ერთ თვალ ოთახში ცხოვრობენ და ადვილი წარმოსადგენიცაა თუ რა უარესი სუნი, სიბინძურე იუფლებს იმათ სადგომში.

ჯავახის ოდა ასეა მოწყობილი: კარიდან პირდაპირ ბუხარია, ბუხრის პირდაპირ კი მაღლა ერდო (სანათური) აქვს ოთახს. ახორშიაც ერთი ორი (სანათური აქვს და გვერდებზედაც, აქეთ იქით, რომელზედაც ჯამები და ბოთლები მობწკარული აქვთ.

გადამკედლილ მხარეზედ გაბმულია ჩათო, სადაც ჰკიდია ტანისამოსები და ძველ-ძველი საცვალი; იქვე ჭრელი ან თათრი ქალებისა, კიდობანია, რაშიაც თავის ნამზითვი და ტანისამოსი აქვს მოთავსებული. იქვე, კარებთან აკეცილი აქვთ ძირითადგან თავამდი, ლოგინები და ზევიდან ჭილობები, ფიჩვები აქვთ დაკეცილი, ოთახი სრულიათ მომიწულია.

მ.პ.დ.მუღაშოვი-პაწაძე

*იბეჭდება შემოკლებით*

*ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1906 წელი, N 8-9-10*

## დურმიშხან ბერიძე

***

ისევ ჩამთვლიმა,
ჩამეძინა,
მოდის ზამთარი,
ისევ მომესმის შორეული,
შენი ხმა ლბილი,
ო, ეს ფიქრები
უცაბედი
და მინავლული...
ბილიკთან ვდგავარ,
გითვალთვალებ, –
როდის ჩაივლი...
ისევ შრიალებს
მხრებგაშლილი
ტყემლის ძველი ხე,
ასე მგონია
გუშინ გითხარ
ჩემი სათქმელი,
ვერ დავივიწყე
ის დღე, როცა ხელი შეგახე,
ვდგავარ და გიცქერ,
წახვედი და
აღარ დაბრუნდი.
ცაც ისევ დარჩა
როგორც იყო
მთის თავზე მდგარი,
ქარმაც წაიღო,
წამოხვეტა
რაც რომ მებადა,
ო, ღმერთო ჩემო,
როგორ სწრაფად
გასულა ეს დღეც,
თვალის გახელას
ველარ ვასწრებ, _
უკვე დაღამდა.

***

ასეა ძმაო, ცხოვრება ჩვენი
ზეცა მაღალი დიდზე დიდია,
მე დავწანწალებ, ლუკმა-პურს ვეძებ,
შენ ეს ქვეყანა ფეხზე გკიდია.
შენა ხარ ჩვენი „მზეც და სინათლეც“,
შენია ეს მთაც ცაში აწვდილი,
შენ ოქრო გახრჩობს,
ფული გადარდებს,
მე გზაზე ვდგავარ ხელებგაწვდილი.
ცხოვრება მიდის მძიმეზე მძიმედ,
მწვავს ეს სინათლეც
და მკლავს ბნელეთიც,
აქ, უცხოეთში ხვალის დღე მაკრთობს,
შენ ლობის იქით არ იხედები.
წავა ყოველი,
დრო არ მოიცდის,
ეჰ, საქართველო, გულს მიკლავს,
მტკივა,
შენი მზე იქით,
ზღვის იქით ხარობს,
მე აქ ვარ, –
აქ ვარ,
და...
არ ვიცი, ვინ ვარ.

## ციური ასპანიძე -მესხიშვილი

### ასპინძის ომის ფრთოსნები

მაშინ, როცა, აპრილის თვეს, იღვიძებდა მთა და ველი,
მზემ მდინარე შემიღება ლილისფერი აკვარელით!
მტკვარს ვენები დაებერა დავით მეფის ცისფერ სისხლით,
დენთის სუნი დატრიალდა, – დაიფარა ზეცა ნისლით...

გაზაფხულზე, იგრიკის თვეს, მზემ რომ მარსში გაიღვიძა,
მეფე ერეკლეს წინაშე, ტოტლებენი გაიბღინძა...
დედოფალი ოსმალებთან ბრძოლას ისე ავალებდა:
„რუსულ სულით, ქართულ ხორცით," როგორც რუსეთს აამებდა!..

თუმც ე რ ე კ ლ ე მწყრალად იყო ტოტლებენის ღალატითა,
ტანს მაინც არ იმშვენებდა, ხანის გრძელი ხალათითა.
მას პატარა კახი ერქვა, ჰქუხდა დიდის არაკითა,
პრუსიის და ფრანგთა მეფეს, არ რჩებოდა არაფრითა!..

სავსე იყო სიქველით და ნათელს ჰფენდა გზას გავლითა,
(გრაფისაგან განსხვავებით, –არ ხარბობდა ნადავლითა!..)
ეტყობა რომ ზეცაშივე, მფარველობდა დიდი ზევსი,
უფლისწულად დაბადებულს, ძალა ჰქონდა ჰერაკლესი!..



მხარზე ანგელოზი ესვა, ხმალი ჰქონდა შიმშერისა,
ნადირ-შაჰის ნაჩუქარი, ვით ბეჭედი გიშერისა.
– „ხმალი წუნკლებს!" –რომ დასძახა და აღმართა ბაირაღად!–
მორახტული ბედაურით, ბრძოლაში რომ გაილაღა...

ლოცვას სთხოვდა თამარ მეფეს, – შემწეობას დავით სოსლანს,
ხმლით ეკვეთა ურჯულოს და შეებრძოლა ლეკს და ოსმალს...
სულ თავ-ბედი აწყევლინა ახალციხის გოლა ფაშას,
ჩალმით ყველა გამორჩეულს, აფარებდა ქალის თავშალს!..

ბეგებიც წყალს გაატანა: ქურმუხ, არტან, შავშეთისა,..
მხოლოდ ღმერთით თუ იცოდა განსხვავება შავ-თეთრისა!
კოხტა ბელადს რომ ეძახდნენ დაღესტანში მალაჩილას, –
ერეკლესთან ,,დავლურის" დროს, ისიც აღარ ღირდა ჩირად!..

ღამით ხიდი ჩამოშალეს: სვიმონ, აღაბაბ, ხუნდიამ!..
თანაც ისე, მტრის ბანაკში, ვერაფერი გაუგიათ...
მტკვარს მიჰქონდა ცოცხალ-მკვდარი წივილ-კივილ-ტირილითა,
მალაჩილას შავი რაშიც მიცურავდა ტივივითა!..

ამ ბრძოლაში იღვრებოდა უფრო მეტად ძმათა სისხლი,
არემარეს აყრუებდა „ვ ა ი, დ ე დ ა ს !" ღაღადისი...
მზე და მთვარე დაეჭირა მეფეს ხელში დაფდაფებად,
თევზი აღარ დგაფუნობდა! – ხიდთან წყალი ქაფქაფებდა...

მაშინ, როცა აპრილის თვეს, იღვიძებდა მთა და ველი,
ასპინძასთან შეიღება მტკვარი წითელ აკვარელით!..
თვალზე ცრემლი მოსდიოდა ფუძეს მიკედლებულ მერცხალს,
მთვარეს ხმალი დაუვარდა და ლომთა მზეს ამის შერცხვა!..

უფლისჩიტა ჩაფრენოდა თეთრი არაბულას ფაფარს,
ჩიტბატონას უყვებოდა კახთა მეფის ახალ ამბავს:
ხერთვისთან რომ გაიმარჯვა და აფრინა მალემსრბოლი,
როგორ ჩამოაგდო ციდან, მთვარე – მშვილდისარის სროლით...

ნიშს უგებდა ახლა მეფე (გრაფს!), ოსმალთა ალაფითა,
(სურამში რომ დაბანაკდა თავის ურცხვი მარაქითა)...
პეტერბურგში გაუგზავნა ოცდახუთი(!).. თურქთა დროშა,
სამი ლეკიც მიაყოლა, – რაც უღირდა მეფეს გროშად!..

სწამდა მეფეს, ერთმორწმუნე მოუტანდა საქმეს „ტკბილსა,"
რა იცოდა, მის შვილიშვილს, რომ მოსჭრიდა მერე კბილსა?!..
მანაც სცადა გასწორება შეცდომის თუ იმ ნაკლისა...
კახთა მეფის მსგავსი მეფე, ერმა ბევრჯერ ისაკლისა...

ძველ სამცხეში, ივერთ მეფეს, უმზადებდა ნადიმს ქარი
და მზად იყო საზეიმოდ ნარიყალაც, ნადიკვარიც...
ძღვნად მიართვეს ჯავახებმა ფურირემი (მეწველი თან), –
ქრისტეს დროშა აფრიალდა, ღვთისმშობელის შეწევნითა!..
..........................................................................................
ასპინძის მთებს ექოსავით ახლაც ესმით მოთქმა მტრისა
და სევდიანი დუდუნი მრავალჭირნახული მტკვრისა.
არც არავის ავიწყდება თქმა-წარწერა მეფის ხმლისა:
„მე ვარ ავი მუსაიფი, კახთ ბატონის ირაკლისა!.."

## თამარ მეფის განღმრთობასთან დაკავშირებით

### ნომადი ბართაია

ქრისტიანულ სამყაროში მოხდა უპრეცედენტო რამ - მიწიერი არსება - XII საუკუნის ქართველთა მეფე თამარი - მისი სამი ისტორიკოსიდან ერთ-ერთის - ჟამთააღმწერლის მიერ, განცხადებულ იქნა ზეციურ არსებად - ღვთის მეოთხე ჰიპოსთასად და მას მამის, ძისა და სულიწმინდის გვერდით მიეჩინა ადგილი: „მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარისა, სამგზის სანატრელისა და სამებისაგან ოთხად თანააღზევებულისა, რომელი ეთეროან იქმნა ხელმწიფეთა შორის" („ქართლის ცხოვრება" 1959 / 3).

გასაგებია, რომ თამარი უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა ხალხში, რაზეც ნათლად მეტყველებს თუნდაც ის, რომ საქართველოში დღემდე ლამის ყოველი მეორე ქალი, სალოცავი, ხიდი თუ წყარო, მის სახელს ატარებს.

მაშინ, როცა ქალს არავითარი პოლიტიკური უფლება არ გააჩნდა, ქალის გამეფებამ და შემდეგ მისმა დიდმა საქვეყნო და ჰუმანურმა ქმედებებმა, რომლითაც მან გაუსწრო კიდეც ეპოქას, სიცოცხლეშივე შარავანდედით შემოსა მისი სახელი. იქმნებოდა მასზე ლეგენდები, უძღვნიდნენ ლექსებს და უმღეროდნენ მას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ შორეულ ქვეყნებშიც.

და მაინც უცნაურად გამოიყურება ის, რომ ვინმეს მიწიერი არსებისთვის უფლის გვერდით მიეჩინა ადგილი.

რა მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე?

რაც არ უნდა ქართული მესიანური იდეა დავინახოთ თამარის ისტორიკოსის ამ სიტყვებში, ვფიქრობთ, მაინც ანგარიშგასაწევია მაშინდელ მახლობელაღმოსავლეთში გაბატონებული სპარსულენოვანი სახოტბო პოეზიის მხატვრული აზროვნებისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

მახლობელ აღმოსავლეთში ამ დროს სალიტერატურო ენად გაბატონებული იყო სპარსული. დიდია ამ დროის სპარსული მწერლობის გავლენა ქართულ ლიტერატურაზე. სწორედ მაშინ შემოვიდა ჩვენში სპარსული ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი უკვდავი ნიმუშები, როგორებიცაა: „ვისრამიანი" (რომანტიკული), „შაჰნამე" (საგმირო), „ქილილა და დამანა" (დიდაქტიკური)...

საეჭვო არ უნდა იყოს ის, რომ მე-12 საუკუნეში გვექნებოდა დიდი ქართული სახოტბო პოეზია, რის დასტურადაც ის ფრაგმენტებიც ღაღადებენ, რომელიც „თამარიანისა" და „აბდულმესიანის" სახით არის მოღწეული დღემდე.

არას ვამბობთ იმ სპარსულ ეპიკურ ტილოებზე, რომლებაც ასევე ვერ მოაღწიეს ჩვენამდე, მაგალითად, ონსორისა (XI) და ნიზამი განჯელის (XII) პოემებმა, რომელთა ქართული თარგმანების არსებობა, სხვადასხვა წყაროებით, ქართულ მწერლობაში ეჭვს არ იწვევს (კეკელიძე 1981 / 292-293).

და აი, ამ დროს, ჩვენი ვარაუდით, შეუძლებელია, მახლობელი არ ყოფილიყო ჩვენთვის ის დიდი სპარსული სახოტბო პოეზია, რომელიც უკვე განვითარების მწვერვალს იყო მიღწეული და სწორედ რომლისთვისაც არის დამახასიათებელი მაღალფარდოვანი გაზვიადებული მხატვრულ-მეტაფორული აზროვნება, სადაც, მაგალითად, მეფე უფლის აჩრდილად („ზელ-ე ხოდა") არის წარმოდგენილი დედამიწაზე.

დიახ, დედამიწაზე და არა ცაზე, რადგან ისლამის მიხედვით ალაჰი ერთადერთია.

რადგან XII საუკუნის სპარულენოვანი სახოტბო პოეზია ვახსენეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გაკვრით, მის სტილურ თავისებურებასაც შევეხოთ.

სპარსულ ლიტერატურაში არის სამი მთავარი სტილი, სამი მშვენება სპარული მწერლობისა: ხორასნული (IX-XIIსს.), ერაყული (XII-XVIსს.) და ინდური (XVI-XVIIIსს).

რადგან თამარის პოქა სპარსული ლიტერატურის ხორასნულ სტილს ემთხვევა, ორიოდე სიტყვით, მასზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ხორასნული სტილი იყოფა სამ ეტაპად: სამანიდური, ღაზნევიდური და სელჩუკური, რომელთა ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:



I სამანიდურისთვის (Xს.): ენობრივი სისადავე, სინამდვილის რეალურად აღქმა...

II ღაზნევიდურისთვის (962-1040 წწ): რთული ენობრივი პოეტური მეტყველებისკენ მიდრეკილება...

III სელჩუკურისთვის (XI-XIIსს.) ენის რთული, მაღალფარდოვანი კონსტრუქციებით დამძიმება და რელიგიური თემატიკის გაძლიერება... (ბართაია 2002).

თამარის ისტორიკოსი, ჩამოთვლილთაგან, ყველაზე უფრო ახლო ურთიერთობას სორედ ამ უკანასკნელთან ავლენს, რომელიც ამ დროს გაბატონებული იყო მახლობელ აღმოსავლეთში.

უფრო ნათლად რომ გამოიკვეთოს თამარის ისტორიკოსის ხელწერა, შევადაროთ იგი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხრობას.

ამონარიდით ლევან ბრეგაძის წერილიდან:

„სხვა ადგილას ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მეფე გამუდმებით ლაშქარს იყო, სწრაფად იცვლიდა ადგილსამყოფელს, ამიტომ მასთან, როგორც უზენაეს მოსამართლესთან, შეხვედრა უჭირდათ „მოჩივართ, დაჭირვებულთ და მიმძლავრებულთ", ანუ მათ, ვინც მისგან სამართალს ელოდა. როცა გაიგებდნენ, ამა და ამ ადგილას უნდა გაიაროსო, მისგან მეფობრივი განკითხვისა და შეწევნის მომლოდინენი მისი ყურადღების მისაქცევად „აღვიდის ბორცუსა რასმე, გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა თუ ხესა, ვითარცა ზაქე". ეს ის ზაქეა, რომელზედაც სახარებაშია საუბარი (ლ. 19, 1-10), ტანმორჩილი უფროსი მეზვერეთა, რომელიც ხეზე ავიდა, რათა უკეთ დაენახა ქრისტე. როცა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებას კითხულობთ, ატყობთ, რომ ეს კაცი დავითს აღმერთებს, მას მეფე ქართველთა განმაახლებლად, მხსნელად, მესიად მიაჩნია, აქილევსი და ალექსანდრე მაკედონელი მასთან ვერ მოვლენო, წერს. გრძნობთ, ერთი სული აქვს, ქრისტე ღმერთს შეადაროს ხელმწიფე, მაგრამ ამას არ აკეთებს – მოკვდავის, თანაც საერო პირის, თუნდაც იგი დავით აღმაშენებელი იყოს, მაცხოვრისთვის შედარება მკრეხელობა იქნებოდა. მაგრამ იმას ვინ დაუშლის, დავითის სანახავად ხეზე ასული ხალხი ქრისტეს სანახავად ხეზე ასულ ზაქეს შეადაროს? ქვეტექსტი ნათელია: თუ დავითის სანახავად ხეზე ასული ხალხი ზაქეს ჰგავს, მაშინ დავითი იმას ჰგავს, ვის სანახავადაც ზაქე ხეზე ავიდა! ქვეტექსტის საშუალებით სასურველი აზრი ისე მიეწოდა მკითხველს, რომ ეტიკეტი არ დარღვეულა. სხვა ფუნქცია ამ შედარებას არა აქვს" (ლ. ბრეგაძე, „სიტყვა ძველი, სიტყვა ახალი", გვ. 236-237, თბ. 1988).

დიახ, განსხვავებით თამარის ისტორიკოსისგან, დავითის ისტორიკოსს, როგორც ლევან ბრეგაძე წერს, „ერთი სული აქვს, ქრისტე ღმერთს შეადაროს ხელმწიფე, მაგრამ ამას არ აკეთებს – მოკვდავის, თანაც საერო პირის, თუნდაც იგი დავით აღმაშენებელი იყოს, მაცხოვრისთვის შედარება მკრეხელობა იქნებოდა. მაგრამ იმას ვინ დაუშლის, დავითის სანახავად ხეზე ასული ხალხი ქრისტეს სანახავად ხეზე ასულ ზაქეს შეადაროს?„

ამგვარად, დავითისა და თამარის ისტორიკოსები, თავიანთ მემეფთა მიმართ, ეტიკეტს არ არღვევენ.

მოდით, დავსვათ ასეთი კითხვა:

დავითისა და თამარისთვის რომ შეგვენაცვლებინა ადგილები, დაირღვეოდა თუ არა მათ მიმართ იმდროინდელი ეტიკეტი?

ალბათ, არა, დავითს მიეწერებოდა ის, რაც თამარს და პირიქით - თამარს ის, რაც დავითს და ძნელი მისახედრი არ არის, ვინ გახდებოდა ღვთის მეოთხე ჰიპოსთასი.

ცნობილია, რომ ისტორიულად მეფე, სხვადასხვა ხალხებსა და ეპოქებში თუ როგორ იყო აღქმული, როგორც ღმერთთან გატოლებული არსება, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. მხოლოდ ვიტყვით იმას, რომ გადმოცემის მიხედვით, ჯერ კიდევ ეგვიპტის პირველი ფარაონი თვით ღმერთი „რა" იყო, ხოლო შემდგომი ფარაონები კი განკაცებულ ღმერთებად ითვლებოდნენ.

უფრო აქეთ, 332 წელს კი ალექსანდრე მაკედონელი იქნა აღიარებული ეგვიპტის ფარაონად, ანუ დედამიწაზე განკაცებულ ღმერთად.

ამჯერად ჩვენ მხოლოდ კონკრეტული პირითა და ეპოქით ვიფარგლებით, სადაც ქების ობიექტის განმღრთობაში, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ვარაუდით, სახოტბო პოეზიასაც უნდა მოეხდინა გარკვეული გავლენა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ თუმცა ჟამთააღმწერლის მიერ თამარის განმღრთობას ოფიციალური აღიარება არ მოჰყოლია, ქართველი ხალხის ხსოვნაში იგი მაინც ღვთიური შარავანდედი არის შემოსილი.

*2020*

ასპინძის ომის 250 წლისთავისათვის

# ერეკლეს ხმალი გურიაში







საქართველოს ნებისმიერი მუზეუმი იამაყებდა ისეთი რელიქვიით, როგორიც ერეკლე მეფის ხმალია, ხმალი მეფისა – „პატარა კახისა“, რომელიც ექვს ათეულ წელზე მეტ ხანს ცხენზე ამხედრებული საქართველოს ფარი და მტრის რისხვა იყო.

როგორც ამბობენ, მეფე ერეკლე ერთ-ერთი იყო იმ ეპოქის მეფე მხედართმთავრებს შორის, რომელიც უშუალოდ მიუძღოდა ჯარს ყველა ბრძოლაში და მისი ხმლის ელვარება შიშის ზარს სცემდა მოწინააღმდეგეებს.

დღემდე არავინ იცის, დანამდვილებით, რამდენი ხმალი ჰქონია და უტარებია ბრძოლის ველზე მეფეს, თუმცა, ცნობილია, მისი რამდენიმე წარწერიანი ხმალი, მათ შორის, საქვეყნოდ ცნობილი წარწერით: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“.

წარწერიანი ხმალი, რომლის შესახებაც მინდა გიამბოთ, წლების მანძილზე ამშვენებდა ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ექსპოზიციას. ხმალი რომ ნამდვილად ერეკლე მეფისა იყო, ამაზე მოწმობს მასზე არსებული წარწერა.

მუზეუმის საინვენტარო წიგნის ჩანაწერებში ვკითხულობთ: საინვენტარო N 17, 1941 წელი, 21 იანვარი. ხმალი ქართული, მეფე ერეკლეს ნაქონი, ვადა ხმლის დაფერილია ვერცხლით და ოქროთი მოვარაყებული ლითონით, პირზე ვადასთან ახლოს აქვს წარწერა: „მე მეფემან ერეკლემ ი.დადიანს ვუძღვენი“.

ხმალი წარმოადგენს ქართული ხელოსნობის ბრწყინვალე ნიმუშს. მისი მთლიანი სიგრძე 93 სანტიმეტრია, პირის სიგანე – 3.5 სანტიმეტრი.

ხმალი თხელია, მსუბუქი, დრეკადი და პირბასრი, სიბრტყეზე გასდევს ორი ოვალურად ამოკვეთილი სიგრძივი ღარი, რომელიც ბოლოში ვიწროვდება და უერთდება ასევე თანდათან მორკალურ ხმლის წვერს. ხმლის ვადა 13 სმ. სიგრძისაა. იგი მოოქროვილი ვერცხლისაა. ვერცხლის მოოქროვება ხმლის ვადაზე იღებს დაწინწკლულ გამოსახულებას, ხმლის ვადის ბოლოს მოოქროვილ ვერცხლში ჩასმულია ელვარე სამკუთხედი, რომელიც ხმლის ვადის მოჭედილობის ძირითად კომპოზიციას აძლევს დასრულებულ იერს და საოცარი სიფაქიზით შესრულებულ ამ უნიკალურ ნივთს კიდევ უფრო მიმზიდველსა და მოხდენილს ხდის, აძლევს მას ფანტასტიკური ფრინველის თავის გამოსახულების ფორმას. ხმლის ვადიდან 4 სანტიმეტრის დაშორებით მკაფიოდ შესრულებული მხედრული წარწერა აქვს: „მე მეფემან ერეკლემ ი.დადიანს ვუძღვენი“.

თუ ვინ იყო წარწერაში მოხსენიებული დადიანი, ამის შესახებ არსებობს რამდენიმე მოსაზრება:

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ყოფილი დირექტორის, აწ განსვენებული ბატონი ენვერ გოგუაძის აზრით: „ერეკლეს ხმლის წარწერაში მოხენიებული დადიანი მე-18 საუკუნის დასაწყისში ოდიშის სამთავროს გამთავრებული ჩიქვანთა საგვარეულოს მეოთხე წარმომადგენელი კაცია, მეორე დადიანია, რომელიც 1745 -1788 წლებში განაგებდა ოდიშ-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის ქვეყანას.

ოდიშის სამთავრო აღნიშნულ ხანაში დინასტიური ხაზით დაკავშირებული იყო ქართლ-კახეთის სამეფო კართან. ერეკლე მეორის მესამე ცოლი, დარეჯან დედოფალი, რომლისგანაც მეფეს 19 შვილი ეყოლა, იყო ასული სწორედ ზემოხსენებულ კაცია დადიანისა.

როგორ და რა პირობებში უბოძა კაცია დადიანს თავისი ხმალი, ამის შესახებ საისტორიო წყაროები არაფერს იუწყებიან, რის გამოც შესაძლებელია მეტ-ნაკლები მოსაზრების გამოთქმა.

როგორც ცნობილია, 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის მხარეზე ჩაბმულმა ერეკლე მეორემ, რომელსაც ამ შემთხვევაში გარკვეული პოლიტიკური მიზანსწრაფვა – თურქთაგან მიტაცებული მესხეთ-ჯავახეთის შემოერთება სურდა, 1770 წელს, ასპინძასთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა თურქ-ოსმალთა ჭარბი ძალები.

მაგრამ ერეკლე მეფის სიმამრსა და ოდიშის ძლიერ გამგებელს, კაცია დადიანს, ამ საომარ ჭიდილში მონაწილეობა არ მიუღია, უფრო მეტიც, როგორც აკადემიკოსი გულდენდშტედტი აღნიშნავს: მართალია დადიანმა რუსეთის მომხრედ გამოაცხადა თავი, მაგრამ რამდენჯერმე შემჩნეული იქნა იმაში, რომ მოლაპარაკებას აწარმოებდა თურქებთან, რომლებთანაც იგი უფრო ახლო ურთიერთობაში იყო, ვიდრე ქართველ მეფეებთან, – ერეკლე მეორესთან და სოლომონ პირველთან. აქედან გამომდინარე, მოსაზრება, თითქოს ერეკლე მეორემ თავის ხმალი ასპინძის ბრძოლაში მონაწილეობისათვის უძღვნა თავის სიმამრს, დადიანს, იმთავითვე მიუღებელია.

ასპინძის ომში გამარჯვებამ გარკვეული გავლენა მოახდინა კაცია დადიანის ორჭოფულ პოლიტიკაზე ანტითურქული ძალების სასარგებლოდ. საქართველოში რუსეთის რწმუნებულის – მურავიოვის მიმართ 1770 წლის 1 ივლისს გამოგზავნილ წერილში, ერეკლე მეორე კიდეც აღნიშნავს: „ასპინძასთან გამარჯვების მეოთხე დღეს დადიანთან ჩემი კნიაზი გავგზავნე და ჩემი ჰამბავი და ეს გამარჯვება მივსწერე“ (ცაგარელი, „გრამოტი“. ტ. II, გვ.33). არის ასეთი მოსაზრებაც, რომ, იმ „კნიაზს“, რომელმაც ასპინძის ბრძოლაში ერეკლე მეორის გამარჯვების ამბავი აცნობა კაცია დადიანს, ამაყი მთავრისადმი თან უნდა ჩაეტანა ერეკლეს მიერ საჩუქრად ბოძებული ასპინძასთან თურქთა შემმუსრავი ხმალი, რაც გარკვეული გაფრთხილება უნდა ყოფილიყო კიდეც ოდიშის მთავრის მიმართ მისი შემდგომი პოლიტიკური კურსისადმი.

1770 წლიდან ერეკლე მეორის ბოძებული ხმალი კაცია დადიანისადმი ძვირფას რელიქვიად დარჩა ოდიშის ძლიერი სამთავროს კარზე და მის გამგებლობაში იმყოფებოდა 71 წლის განმავლობაში. კაცია დადიანიდან მოკიდებული, ვიდრე დავით დადიანამდე, – 1841 წლის გურიის გლეხთა ანტიფეოდალური აჯანყების დაწყებამდე“ (ენვერ გოგუაძე, „ერეკლეს ხმალი მახარაძის მუზეუმში“).

ლეგენდა, თუ როგორ მოხვდა ერეკლეს ხმალი ოზურგეთის მუზეუმში:

1841 წლისთვის უკვე გაუქმებულია გურიის სამთავრო. ამის შემდეგ იგი ოზურგეთის მაზრად იწოდებოდა. დამყარდა სამოქალაქო მმართველობა და შემოღებული იქნა, როგორც რუსეთის სხვა მხარეებში მოქმედი, ფულადი გადასახადები, რაც გურიის მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა და დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. გადასახადებზე უარის თქმა, დაუმორჩილებლობა, საბოლოოდ, გურიის 1841 წლის აჯანყებაში გადაიზარდა.

1841 წლის ზაფხულში, როდესაც აჯანყებულებმა სრული კონტროლი დაამყარეს მთელ გურიაზე, – გადაკეტეს ოზურგეთ-ქუთაისის სარკინიგზო გზა, აიღეს მაზრის უმნიშვნელოვანესი ცენტრი – შეკვეთილის ციხე და ნავსადგური, ალყაში მოაქციეს ქალაქი ოზურგეთი. მთავრობამ დახმარებისათვის ოდიშის მთავარ დავით დადიანს მიმართა.

18 აგვისტოს დავით დადიანის მეთაურობით, გურიისაკენ დაიძრა სამეგრელოს მილიცია – სახალხო ლაშქარი 1000 კაცის შემადგენლობით, მაგრამ აჯანყებულთა 2000 კაციანმა რაზმმა 23 აგვისტოს გრიგოლეთთან ახლოს დედაბერას წყლებთან შეაჩერა დადიანის 1000 კაციანი თავადაზნაურული რაზმი. დამარცხებული მოწინააღმდეგეები აიძულეს დანებებულიყვნენ და თავისუფლების ნაცვლად იარაღი ჩაებარებინათ.

გადმოცემის მიხედვით, დადიანის ლაშქარმა თოფ-იარაღი სრულად ჩააბარა აჯანყებულებს და ასევე ისინი აიძულეს გადაჯვარედინებულ თოფებქვეშ გამძვრალიყვნენ:

„თოფ-იარაღ ანაყარი
ალაიაში გააძვრინეს
და თავადებს ცემით ოფლი
შით კბილებში გაადინეს“-ო.

აღნიშნულია ამის შესახებ გურულ ფოლკლორში.

იმ თოფ-იარაღებში, რომლებიც აჯანყებულმა გურულებმა მოლაშქრეებს აჰყარეს, როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, დავით დადიანის პირად მფლობელობაში არსებული ერეკლე მეორის ხმალიც ყოფილა, რომელიც, როგორც ნადავლი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში (დღევანდელი ჯვარცხმა), აზნაურმა ვინმე ბერიძემ ჩაიგდო ხელში. ასე აღმოჩნდა მეფე ერეკლე II-ის ხმალი გურიაში, სოფელ ჯვარცხმაში, ბერიძეების ოჯახში, სადაც 100 წლის განმავლობაში ინახებოდა და 1941 წელს ოჯახმა იგი მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მიჰყიდა 500 მანეთად.

ოზურგეთის მუზეუმში ერეკლეს ხმალი 1983 წლამდე ინახებოდა. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის პომპეზურად აღნიშვნისათვის მოხდა ისე, რომ მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა 1983 წლის 10 ივნისს, მეფე ერეკლეს ხმალი თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა უკან დაბრუნების პირობით, მაგრამ, ჯერჯერობით, ეს პირობა არ შესრულებულა.

თუ ვინ არის ის პიროვნება, რომელსაც ერეკლემ ხმალი ასეთი წარწერით გადასცა: „ვუძღვენი ი.დადიანს“ – ისევ საკვლევი თემაა.

ერეკლეს ამ ხმლის ისტორიის შესწავლა მომავალი თაობის ეროვნული მოვალეობაა.

*მანანა ლომაძე,*
***ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი***

# ხიმიკაურის ხმალი

მეფე ერეკლეს დროს ხევსურეთში ერთი სახელოვანი ვაჟკაცი ყოფილა, ძაღლიკა ხიმიკაური. მასზე ლექსიც შეუთხზავთ:

ძაღლიკავ ხიმიკაურო,
ლიქოკის ზღურბლო, ზღუდეო,
ბევრს ააგლიჯე კალდიმი,
თეძოზე დაიკიდეო.
არ მოგრჩა გაუტეხელი,
მტერს ვისაც აეკიდეო.

ერეკლეს ხმლით თავგაჩეხილი კოხტა ბელადი სულს რომ ღაფავდა, მეფის მხარდამხარ შვიდი ხევსური იბრძოდა, მათ შორის ძაღლიკა ხიმიკაურიც. ლეკ-ოსმალომ სარდლის უბედურება რომ დაინახა, არწივდაქროლებული წეროს გუნდივით გაიფანტა. ამასობაში ქართველებს დამხმარე ჯარმაც მოუსწრო. „ხმალი ამ წუნკლებსო!“ – შეუძახა ერეკლემ თავის ვაჟკაცებს. გამარჯვებით გამხნევებული ლაშქარი დაერია ლეკ-ოსმალებს და ბალახივით დაუწყო თიბვა. განსაკუთრებით ძაღლიკა ხიმიკაურს გამოუჩენია თავი. თითო შემოკვრით კაცს თურმე შუაზე სხეპდა. ერეკლეს გულში ჩავარდნია მისი ხმალი. ომის დროს რაღას ეტყოდა, მაგრამ მეორე დღეს დაიბარა, – ოღონდ ეგ ხმალი დამითმე და რაც გინდა, მთხოვეო.
– ბარევალ ე ხელნ დამჭრენ, ერეკლევ! – იუკადრისა ძაღლიკამ.

– ჩემს ხმალს მოგცემ, – უთხრა მეფემ, – სართი კიდევ სხვა იქნება.
– ვაი დედასა მტრისასა, ბატონიშვილო, ეგ ხო ჩემ მოკვლა იქნების?! მამკალ კიდეც, რაკი ხმალს გამამართომ! ერეკლემაც იცოდა, რომ კარგი ვაჟკაცისთვის კარგი ხმალი მეორე სიცოცხლე იყო, მაგრამ რა ექნა, რომ თვითონაც ვაჟკაცი იყო და ხიმიკაურის ხმალი მეტისმეტად მოსწონდა... ბოლოს დაუთმო ძაღლიკამ და სანაცვლოდ სხვა ხმალი და ერთი თოფი მიიღო, რომელიც ვაჟა-ფშაველას დროს ხევსურეთში, ხიმიკაურების ოჯახში ინახებოდა. ვაჟას თქმით, ამ თოფს ხევსურნი „ბატონიაანთეულ თოფს“ ეძახდნენ.

მას შემდეგ, როცა კი ერეკლე ლაშქარს დაიბარებდა მთიდან, პირველად ხიმიკაურს მოიკითხავდა, მაგრამ განაწყენებული ხევსური სალაშქროდ გამზადებულებს აბარებდა: – უთხარით ერეკლე ბატონიშვილს, ავად არისთქო ძაღლიკა...

ზემოთ მოთხრობილი ამბავი ვაჟა-ფშაველას ჩაუწერია 1902 წელს და საგაზეთოდ გაუმზადებია. ამავე წელს დაუწერია პოემა „ძაღლიკა ხიმიკაური“, რომლის ფინალშიც მეფე ხმალს პატრონს უბრუნებს. სიუჟეტი ასეთია: ერთხელ ერეკლე ომში დაიბარებს ძაღლიკას. განაწყენებული ვაჟკაცი ადგილიდან ფეხს არ იცვლის. სალაშქროდ გამზადებული ხევსურნი წინამძღოლს უხმობენ. ძაღლიკა მაინც არ მიდის. ბოლოს, ცოლი შეარცხვენს: რად გინდა ხმალი, თუ მოხმარების თავი აღარა გაქვს და აღარც გული გერჩისო! აღელდა ძაღლიკა, გაჰყვა ლაშქარს და მეფესთან გამოცხადდა. ერეკლეს წესად ჰქონდა – იარაღს უმოწმებდა თავის მებრძოლებს. ბოლოს, ძაღლიკასაც უწია ჯერმა. ხიმიკაურმა ქარქაშიდან ამოსწია სატევარი და... ყველა განცვიფრდა – ხის ხმლით წამოსულიყო ომში ხევსური. ერეკლეს წამით სახე შეეცვალა, მერე გაახსენდა ძველი ამბავი, გულიანად გადაიხარხარა, ხიმიკაურისეული ხმლის მოტანა ბრძანა და უთხრა:

მაინც იძაღლე, ძაღლიკავ,
წაიღე, გერტყას, შენია!
ვინაც წელზეით შემოგხსნას,
ის ღმერთს ნუმც დაურჩენია!“

გახარებული ხევსური მუხლებზე მოეხვია მეფეს, მერე კი კაფა და კაფა მტერი. არსებობს ამბის სხვა ვარიანტიც, რომელიც 1937 წელს ჩაუწერია თელავის მუზეუმის დირექტორს ალექსანდრე მამულაშვილს: ასპინძის ომში ერთ თუშს, გვარად დილოიძეს, დიდი ვაჟკაცობა გამოუჩენია. მეფემ დილოიძე იხმო და ჯილდოდ მთელი წალკის ხეობა შეაძლია. თუში უკმაყოფილო დარჩა: მიწა-წყალი რომ მინდოდეს, განა ჩვენში მთა-ველი ცოტააო? – მიუგო მეფეს, – მე მეომარი ვარ, უმჯობესია, კარგი იარაღი მომცე, უფრო გამომადგებაო.
– რა იარაღი გიბოძოო? – ჰკითხა მეფემ. იმავე ომში იბრძოდა ერთი სახელოვანი მეომარი ძაღლიკა ხიმიკაური. მისი გორდა ხმალი დილოიძეს ძალიან მოსწონებოდა. ამ ხმალზე შევარდნოდა გული. მეფემ ხიმიკაური დაიბარა და ხმალი სთხოვა. ძაღლიკა უარს როგორ ეტყოდა ერეკლეს! სამაგიეროდ, მეფემ თავისი ოქროსზარნიშიანი თოფი უბოძა. დილოიძე კმაყოფილი დარჩა, ხიმიკაური კი ნაწყენი.

დიდხანს არ გაუვლია, რომ მტერი ისევ შემოესია საქართველოს. მეფემ ისევ შეკრიბა ლაშქარი. დილოიძემ სიხარულით მიაშურა ბრძოლის ველს - დრო იყო, მტრის კისერზე გაესინჯა საყვარელი იარაღის ფხა, ძაღლიკა ხიმიკაური კი გაჯიუტდა: განა მე დიაც ვიყავ, მეფემ ხმალი რომ წამართვა და სხვას მისცაო?! ბოლოს, საქმეში დედაკაცები ჩაერივნენ. ერთმა მათგანმა მანდილი მოიხსნა და ძაღლიკას მიმართა: თუ დიაც ხარ, აჰა, მანდილი დაიხურე და ჩვენთან დაჯექიო. ძალიან ეწყინა ხიმიკაურს და იძულებული გახდა, ომში წასვლაზე დათანხმებულიყო. იარეთ და დაგეწევითო, – უთხრა ხევსურებს. გამოთალა ხის ხმალი, ჩამოიკიდა წელზე და ჯარს წამოეწია.

მეფეს რომ წარუდგნენ, ერეკლეს ეუცხოვა ხის ხმლის დანახვა. ერთბაშად ვერ მიუხვდა ძაღლიკას, ჩაფიქრდა, მერე გულიანად გაიცინა, მხლებელს სამეფო ხმლის მოტანა უბრძანა და ხიმიკაურს გადასცა. ძაღლიკას შუბლზე ნაოჭები გაეშალა და მტერს მედგრად ეკვეთა.

მასალა მოამზადა
კახაბერ კენკიშვილმა

# თქმულებები

***

როდესაც ასპინძის ომი უნდა დაწყებულიყო, ამ დროს თათრობა ამონდა: ეს შიდა ქართველი გავწყვიტოთ, თორემ თავიანთ ხელმწიფისკენ გადავლენო. ამ შიშით ჩვენ სოფელ მუსხის მთელი მცხოვრებნი გავიხიზნეთ ტობის კლდიებშიო.

სოფელში დარჩა ოქრომელიძე იესაი, თათრულ ტანისამოსით, მაგრამ მაინც იცნეს, რომ ის ქართველი იყო. მას რომ ძალა დაატანეს, მანაც შიშით უჩვენა მთელ სოფლის შენახულობაო.

ჩვენ როცა კლდეში ვიმალებოდით, ამ დროს ერთ-ერთი თათარი დაგვზვერავს. ანდრიაწმინდელი თომა ტაბატაძე მოჰყვა, — ჩვენთან თომამ რომ ეს კაცი დაინახა, მოინდომა ამ კაცის მოკვლა, რათა ანბავი არ წაეღო, მაგრამ ხალხმა არ გაუშვა, ვინაიდან თოფის ხმაზე მოგვაგნობენო. ეს მზვერავი დაბრუნდა უკან, შეადგინა ჩათა, დაეცა დამალულ ხალხს და მთლათ გაცარცვეს. აქედან დადეშლიენთ, ანუ ივანიძე ივანემ, მარკოზამ, ნიკომ, თავი შეაფარეს რუსთავ, ზანდარიენი ოშორას წასულან, თოფლიენი, ანუ მაისურაძეები წასულან მუსხს და ვირით ჩუმათ ვაშლს წაიღებსო, იქაც რო შეუწუხებიათ თათრებს, იქიდანაც წასულან ბალანთას, ჯავახეთში. გაზაფხულამდის დარჩენილან და ზაფხულში ჩამოსულან სოფელში.

ამ ამბავზე წინ პაპაჩემი გიორგი მაისურაძე იტყოდა: რუსთავს ქვევით არის ღრმა ღელე, რომელიც დიდვრიან და ხშირი ეკლით ყოფილა დაფარული. იქ იმალებოდნენ ლეკები, ამიტომაც ლეკთა ხევს ეძახიან. მინდორზე რაკი ვინმე გამოჩნდებოდა, დაიჭერდნენ და რუსეთში ჰყიდდნენ. სწორეთ მაშინ პაპაჩემი და რამოდენიმე გამოქცეულიყო. მამაჩემი რომ გამოქცეულიყო, რუს მებატონეს ლეკებისთვის მოეთხოვა, ან ფული და ან კაცი მომიყვანეო.

ლეკები წამოვლენ და ისევ მეორეთ დაიჭერენ და წაიყვანენ. პაპაჩემი ორ-სამ წელიწადს დარჩება, მერე ისევ გამოიქცევა. ამიტომაც პაპაჩემს „რუსეთელს" ეძახდნენ.

***

დღევანდელი მუსხის მიჯნაში ყოფილა ექვსი სოფელი: მუსხი, ძველა მუსხი, ზეფენაი, თელვანა, პატრაშენი, ძველ წითელ კლდე.

ამ დროს შემოსულა იენგიჩარები. დაბანაკებულან ძველა მუსხის გვერდით, რომელსაც დღესაც ეწოდება „იენგიჩარების ყანები". იმ იენგიჩარებს აუოხრებიათ ეს ექვსი სოფელი, — ქვა-ქვაზე აღარ გაუჩერებიათ, მხოლოთ ვინც გადარჩენილან, ამ ექვს სოფლიდან მოგროვილან დღევანდელ მუსხში. მუსხში ქართველების მოშენების შემდეგ, რაც ყველი-ერბო თუ ფული გვქონდა, იენგიჩარებისთვის ვინახავდით. იენგიჩარები რომ მოვიდოდნენ, სულ ერბოიანი ფლავი უნდა გვქონოდა, ცხენებისთვის ბლომათ ქერი. მერე იტყოდნენ: თქვენი პური რომ ვჭამეთ, ჩვენც კბილები გაგვიცვდა და ცხენებსაცაო. აბა, ამათ ფულს შიშით იმავე წუთს ვაძლევდით. ხალხს ძალიან გაუჭირდა სხვა გადასახადებისგანაც, ოჯახში თითოეულ კაცს უნდა გადაეხადა 35 ყურუში (შაური) და წელიწადში მთლიანად ოჯახი ამდენ ფულს ძლივს შოულობდა, თუ ორი-სამი ძმა იქნებოდა, რა უნდა ექნაო? ვინც გათათრდებოდა, ის გადასახადებისაგან თავისუფალი იყო. მაგალითად მუსხიდან გათათრდნენ თომა, ანუ თორომან, სიმონ მაისურაძე — უსეინაია, ხოლო ქურდაძე — სვილეიმანაი, ისიდორ ქურდაძე — ალიაი, ქიტე ქურდაძე — იბოი. ქალა თაფის ხანდაკში რომ ხალხს ჩაჰყრიდნენ, ცოცხალ ხალხს დაყრიან ძირს, ზედ წააყრიან მიწას და ფერხულს დააბებენ, — ძლივს გავტყეპეთო, — იტყვიან მერე.

*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის ფ.400*

## ასპინძის ომზედ თქმულება

შენ ერეკლეო, მხარ-ბეჭ
　　　უნაგრიანო,
შენი ნახოცი ლეკები ასპინძის
　　　ბოლოს ჰყრიანო,
ეხვევა ყვავი-ყორანი კაჭკაჭნი
　　　თვალებს თხრიანო.

ასპინძაში რომ უომია მეფე ერეკლეს და ლეკები წყალში რომ ჩაუყრია, იმ ხიდის ბურჯი დღესაც ეტყობა მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ, რავდენჯერაც გამივლია და, ანუ, ჩამივლია იმ ბურჯთან, ყოველთვის მომგონებია ერეკლეს ომი, თითქოს იმისი ძახილი ყურთა მსმენია, თითქოს ამ წუთში ხდება ომი. და როცა დაუკვირდები, მაშინ ვიტყვი ჩემ თავათ, რომ ახლა კი არ ხდება ომი, ეს მოხდა მეთვრამეტე საუკუნეში.

მეფე ერეკლეზედ კიდევ ბევრი თქმულებაა, რომ მეფე ერეკლეს ომი რომ ჰქონია, მაშინ უფროსი შვილიო, ტამალაში დამალვია ბორჩალოს თარაქმებით, რომლებიც ომში ჰყოლიათ მეომრებათო. შვილს უფიქრია, მე მამაჩემ არ



ნახ. მიხ. იაძისა

მივეშველები და როცა მამაჩემ დაამარცხებენ, ტამალიდგან მე მაშინ თარაქამათა ჯარს წამოვიყვან, ამით ლეკებს შევაშინებ, გავიმარჯვებ და საბოლოოთ სახელი მე დამრჩებაო. ასე იტყოდა ჩემი პაპა ვასილი პავლეს ძე ჯვარიძე.

ერთხელ შევეკითხე პაპაჩემს: პაპა, ძველი რაიმე ამბავი გეცოდინება და მითხარი-მეთქი. მან მითხრა: შვილო, ეხლა რუსთავია, იცი, ჩვენი ამაღლების სერიდგან რომ სჩანს. მანდ უწინ ქალაქი ყოფილა, რომელსაც მაგარი ციხე ჰქონია გარს შემორტყმული. რომელიც ეხლა ციხე აღარ არის, მხოლოთ რუსთავ გამოსწვრივ, წყალთბილის ქვეშ, ერთ გორაზე, ფოშტის გზის ზევიდგან, დარჩენილია ერთი კოშკის კედელი და მაგ ქალაქში ყოფილა ერთი პოეტიო, რომელსაცაო შოთა რქმევიაო სახელად. ისაო, ისრეთი ჭკვიანი კაცი ყოფილა, რომ ქაჯის ენა სცოდნიაო. მე წერა-კითხვა არ ვიცოდიო, მხოლოდ ძველები ესრედ იტყოდნენ, რომ დიდი ნასწავლი კაცი ყოფილაო, რომ მას დაუწერია ერთი წიგნიო, რომელსაც ვეფხის ტყაოსანი რქმევია. ეს წიგნი შოთას თამარ მეფისთვის გადაუცია. მემრე თამარ მეფეს ძალიან დაუსაჩუქრებია პოეტი. ესე რომ სთქვა, საუბარი შეწყვიტა. კვლავ შევეკითხე, სთქვი, კიდევ სხვა რამე, შენ რა ნახე, შენ სიცოცხლეში-მეთქი. მან ესრეთ მითხრა, ახალციხე რომ აიღო რუსმა, მე მაშინ ცხრამეტი წლისა ვიყავი, თათრებმა ისრე გაგვცარცვეს, რომ თითზედ გადასახვევი აღარაფერი დაგვრჩა, სულ თივებში ვიწექით. ძროხა სულ წაგვართვეს და ცხვარი საროში შევაფარეთ, მემრე ამბავი დაჰყარეს, რომ საროს უნდა დაჰკრან, იქიდგან ცხვარი წამოვასხით, რომ ასპინძაში ჩვენ მეგობრებთან სუბანიენთან უნდა შეგვეფარებინა თავი. ამ დროს მცარცვავი თათრის შაიკა ხულიშაში წინ გადვიდგა და ცხვარიც იქ წაგვართვეს ორასი სული, მაგრამ ხალხს არ ხოცავდნენ. მემრე ჭობარეთში გადმოვედით, სადაც შვიდი კომლი გავხდით და გავაშენეთ ესე ვერანა.

*პეტრე სუდაძის გადმოცემა. სოფ. გოკია, სამცხ. ჯავახ. სახ. მუზ. ფ. N3485, ჩაწერილია ვახტანგ სუდაძის მიერ 1937 წელს. მოგვაწოდა გრიშა ჯვარიძემ და ლევან ლაფაჩმა 2019 წელს*

## ბნელა

აწყვიტის გვერდით არის ნასოფლარი ბნელა. ლეგენდა გვიამბობს: ხერთვისში ოსმალები იდგნენ. ერთ იქაურ კაცს უბრძანეს, რჯული შეიცვალეო. ის გაექცა მათ და ერთ ციხეს შეაფარა თავი, მაგრამ შეიპყრეს და გათათრება მოსთხოვეს. კაცმა უთხრა, მადროვეთო. მერე მაჯა გადაიხსნა და ციხის კედელზე საკუთარი სისხლით დაწერა: „სიცოცხლე აქ დამიბნელდა, ამ ადგილს ერქვას ბნელაო".

ასე მოკვდა ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული ერთი უსახელო ქართველი.

## როკეთი

დიდი ხნის წინათ ეს ადგილი გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული. ხეთა სიმრავლეს შეუფერხებია მომხვდური. მტრის სარდალს უბრძანებია, როკეთ, ე.ი. კაფეთ ტყე და ადვილათ გავალთო. მერე ამ გაჩეხილი ტყის ადგილას სოფელი გაუშენებიათ და დღემდე მას როკეთს ეძახიან.

## ქალთა ჯვარი

შაჰ-აბაზის ერთ-ერთი შემოსევის დროს სამცხე-ჯავახეთი უმოწყალოდ აუოხრებიათ. შაჰს შეუტყია. რომ ერთ ქართველ სარდალს ულამაზესი ცოლი ჰყოლია, — უბრძანებია, ორივენი შეიპყარით და მომგვარეთო. მისი ბრძანება შეუსრულებიათ. ქალის მშვენიერებით მოხიბლულ შაჰს ქმარი იქვე მოუკვლევინებია, ქალისათვის კი ჯვარი ჩამოუგლეჯია, უნდა სარწმუნოება შეიცვალოო. ქალს მუდარით უთხოვია, ნება მომეცით უკანასკნელად ვემთხვიო ჯვარსაო. იმათაც ნება დაურთავთ. ჯვარში ქალს საწამლავი ჰქონია, შეუსვამს და უსულოდ დასცემია ქმრის გვამს. მათი ურთიერთგადაჭდობილი სხეულები ჯვარივით იყო თურმე, გართხმული მიწაზე. შაჰის ერთ მსახურს, დაზაფრულს, წამოუძახნია: ეს ქალთა ჯვარია, უფრთხილდითო.

## ქვაცხელიები

დღეს ამ ნასოფლარ-ნაეკლესიარში მიწისქვეშა სამალავია შემორჩენილი. როცა მას აკეთებდნენ, თურმე, ერთი კაცისთვის რძალს სადილი მიუტანია. მამამთილს უთხოვია, ერთი ქვა მომიტანე, დავჯდეო. მზეზე გახურებულ ქვას ხელი დაუწვია ქალისათვის. ვაი, მამა, ქვა ცხელიაო, — დაუყვირია. ამიტომ დარქმევია სოფელს „ქვაცხელია".

## ჯვრის ყანა

ერთი გლეხი საყანეს ხნავდა. ამ დროს მღვდელს ჩამოუვლია, მოუხსნია ჯვარი, ყანის შუაგულში დაუდია და მანამ არ აუღია, სანამ ხარებს სამჯერ არ შემოუვლიათ სახნავისათვის. იმ წელს გლეხს კარგი მოსავალი მოსვლია.

მეორე გაზაფხულს ის უკვე თავად სწვევია მღვდელს და მოუთხოვია, წელსაც შეაშველე შენი ჯვარი ჩემს მიწასაო. ამ ადგილს ხალხი დღესაც „ჯვრის ყანას" ეძახის.

მთქმელი შოთა ივანიძე, 73 წლის.
ს.ჭობარეთი, ჩაწერილია 1995 წელს
მაია ივანიძის მიერ

## ახალი გამოცემები

# „ორნამენტები ქართულ მეჩეთებში"




ახლახან გამოიცა კატალოგი — „ორნამენტები ქართულ მეჩეთებში", სადაც წარმოდგენილია სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის მეჩეთების ფოტოები და ესკიზები, მათ შორის ასპინძიდან — სოფელ ოთისა და ოშორის მეჩეთების ორნამენტები. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი მეჩეთი, რომელიც დღეს სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაშია, ძირითადად აშენებულია საქართველოში რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში და მათ მშე-



ნებლობაში მუსლიმ ქართველებთან ერთად ქრისტიანი ქართველებიც ღებულობდნენ მონაწილეობას, ისევე როგორც ეკლესიების მშენებლობაში — მუსლიმები, რასაც უდის ერთ-ერთ კათოლიკურ ტაძარზე დღემდე შემორჩენილი კედლის წარწერაც მოწმობს.

ფაქტია, რომ ეს უნიკალური მეჩეთები საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია და ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვნებასა და მის სიმდიდრეს წარმოაჩენს.

კატალოგი შედგენილია **ნესტან ბლუაშვილის** მიერ და მასში გამოყენებულია **ხატია ბლუაშვილისა** და **ქრისტინე მუჯირის** ფოტომასალები. კატალოგის დიზაინერია **გიორგი სისაური**. იგი გამოიცა თურქეთის საელჩოსა და თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს მხარდაჭერით.

## მადლობა

**გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" რედაქცია დიდ მადლობას უხდის ჩვენს ერთგულ მეგობრებს — შპს „არალის" დირექტორს ბატონ ოთარ თათეშვილსა და შპს „CO2+"-ის დირექტორს ბატონ ავთანდილ გელაძეს იმ დიდი დახმარებისათვის, რასაც ისინი წლებია გვიწევენ და გაზეთის დღევანდელი ნომრის ბეჭდვის ხარჯებიც თავის თავზე აიღეს.**

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

**დამფუძნებლები:** ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit–meskheti@yahoo.com